ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 ივნისი ორშაბათი 2011

№ 142 (13439) ფასი 80 თეთრი

# რევანში შარშანდელისთვის

## საქართველო 23:18 ნამიბია



12



4

ფეხბურთში იმედიც თვლით არის

# ანანიძის ახლა გაჭანილს მომავლისთვის ვანგარიშობთ




3

# ჩოგბურთის იმპერიის დედაქალაქში წვიმა იქნება: ემოციების, უეჭველად



უიმბლდონი. ვაჟთა და ქალთა ტურნირების ბადე

14-15

ინტერვიუ რომან ფიფიასთან

# არა საკუთარი თავის ტყვეს ძველ და ნაჩვევ ტყვეს შემოვუშვათ ევროპა ჩვენში!



**თბილისის "დინამოს" მეპატრონე რომან ფიფია კმაყოფილია მადრიდის "ატლეტიკოსთან" გაფორმებული მემორანდუმით და ამბობს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია იმ ჩაკეტილი სივრციდან გამოსასვლელად, რომელშიც ქართული კლუბები იმყოფებიან.**
**რომან ფიფიას რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ველაპარაკეთ.**

**- ბოლო დროს თბილისის "დინამოში" არაერთი საინტერესო ამბავი მოხდა. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს?**

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია პარტნიორობის ხელშეკრულება "პრივატბანკთან" და მადრიდის "ატელტიკოსთან". მაგრამ "ატლეტიკო" არ იქნება ჩვენი ერთადერთი პარტნიორი – ურთიერთობა სხვა ესპანურ კლუბებთანაც გვექნება, მაგრამ მათზე მოგვიანებით შეიტყობთ.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს პარტნიორობა. უნდა მივავლინოთ ბავშვები და მწვრთნელები, რათა ევროპული სკოლა გაიარონ და გაზრდილები დაგვიბრუნდნენ, ესპანელები ჩამოვიდნენ და ამხანაგური მატჩები გამართონ.

ეს ყველაფერი აუცილებელია იმისთვის, რომ ევროპული ფეხბურთის სუნთქვა ვიგრძნოთ. ჩვენი კლუბები დიდი ხანია საკუთარ თავში ჩაიკეტნენ და თავადაც იცით, ამის გამო რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ამიტომაც ვამბობ, რომ ქართული ფეხბურთი ამ იზოლაციიდან უნდა გამოვიდეს.

**- ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა. საერთაშორისო ტურნირის თბილისში ჩატარება ამ უნებლიე იზოლაციიდან გამოგვიყვანდა, მაგრამ რეალურია ასეთი ტურნირის გამართვა?**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ატლეტიკო და დინამო - პრეზიდენტები: ენრიკე სერესო (მარცხნივ) და რომან ფიფია

- ჩვენ ამაზე სერიოზულად ვფიქრობთ. ფინანსური ძალა შეგვწევს და კავშირებსაც არ ვუჩივით. რაც მთავარია, ჩვენ ეს გვინდა და გადაწყვეტილებებსაც აქედან გამომდინარე მივიღებთ. მთავარია, კიდევ ბევრ გუნდთან დავამყაროთ ისეთივე მჭიდრო ურთიერთობა, როგორიც "ატლეტიკოსთან" და ყველაფერს მოევლება.

**- დასახელდა კიდეც კლუბები, რომლებთანაც "დინამო" პარტნიორობას აპირებს – კიევის "დინამო", "დნიპრო"...**

- მხოლოდ ერთ კლუბთან ურთიერთობა საკმარისი არ იქნება. ესპანელებს გადატვირთული გრაფიკი აქვთ და ტურნირზე იოლად ვერ მოვიწვევთ. ამიტომ, საჭიროა ურთიერთობა სამ-ოთხ კლუბთან. ასეთ ტურნირებში მონაწილეობა ევროპულ ფეხბურთში ღირსეული ადგილის დამკვიდრების საწინდარი უნდა გახდეს. მთავარია, ევროპელთა პროგრამები და მეთოდები ავითვისოთ, რისი რეალიზაციის მაგალითიც „დინამოში" ესპანელი მწვრთნელის დანიშვნაა. ვფიქრობ, ჟურნალისტებს დაგაინტერესებთ, რატომ აქვს ალექს გარსიას ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება საწვრთნელი პროცესის მიმართ.

**- ამაზე დინამოელები უკვე ლაპარაკობენ კიდეც...**

- მათი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გაოცებულები და ძალიან კმაყოფილები არიან - კატალონიელი მწვრთნელი "დინამოში" სულ სხვა სავარჯიშო სისტემას ამკვიდრებს, ჩვენთვის უცხოსა და უჩვეულოს.

**- გარსია პირველია, რომელმაც ფეხბურთელები მოსამზადებელი ეტაპის დასაწყისში ტყეში კროსის სარბენად არ შეყარა.**

- სწორედ ამას ვგულისხმობ. ამ საკითხზე კი იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ გარსიას გამოცდილებას, ჩვენთვის ამ ახალ მეთოდს სხვა კლუბებიდან გადმოღებული სიახლეებიც დაემატება და იქნებ ადრე თუ გვიან გავიხსნათ და გავიგოთ, რა ხდება ევროპულ ფეხბურთში.

ამას სჭირდება არა ძალიან დიდი რესურსი, არამედ მონდომება, რაც ჩვენ ნამდვილად არ გვაკლია. ამიტომ მჯერა, რომ თბილისის "დინამოს" კარგი მომავალი ექნება.

**- როდის ამუშავდება "ატლეტიკოსთან" პარტნიორობის პროგრამა?**

- ვფიქრობ, შეთანხმების განხორციელება დაახლოებით სამ თვეში დაიწყება.

## დინამო ევროპულ მომავალს იმზადებს

გაგრა

# გაგრა და ხუბუა პისკოვეცს ელიან
## ნადირაშვილი კოლხეთისკენ?

"გაგრამ" სეზონისა და ევროპის ლიგის მატჩებისთვის მზადება დაიწყო. უკვე გაცნობეთ, რომ გუნდში რადიკალური ცვლილებები არ იგეგმება - ევროპის ლიგის მატჩებამდე დარჩენილ მცირე დროში ეს არასასურველად ჩათვალეს - კლუბის მეპატრონე **ბესიკ ჩიხრაძე** და მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** მხოლოდ ორიოდე პოზიციის გაძლიერებას აპირებენ.

გუნდი 17 ივნისს შეიკრიბა და "მერანზე" ვარჯიშობს. ანატოლი პისკოვეცი საქართველოში ჯერ არ ჩამოსულა, მას თბილისში დღეს ელიან, მთავარი მწვრთნელის არყოფნაში კი გუნდს მისი ასისტენტი **ზვიად ჯელაძე** ავარჯიშებს.

"გაგრას" პრესატაშე **მიხეილ აფხაზავას** თქმით, გუნდი დატოვა მეკარე **ლადო ნადირაშვილმა.** მას კონტრაქტი დაუმთავრდა და, ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, თამაში ფოთის "კოლხეთში" განაგრძოს.

შევიტყვეთ, რომ პისკოვეცი ევროპის ლიგის მატჩებამდე მარცხენაფლანგელ **გელა ხუბუას** დამატებას აპირებს. რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი ფეხბურთელი უკვე გუნდში ვარჯიშობს. 26 წლის ხუბუას გასული სეზონი ტრავმის გამო გაუცდა.

*"ხუბუას ამბავი ჯერ არ გადაწყვეტილა, მასთან კონტრაქტი არ გაფორმებულა, მაგრამ მთავარი მწვრთნელის გარეშე გუნდში ვერავინ ივარჯიშებს, პისკოვეცი კი ხუბუას "ოლიმპში" მუშაობის პერიოდიდან იცნობს",* – ამბობს აფხაზავა.

გუშინ "გაგრამ" მუხრანის ბაზაზე ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა: უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულები ჯერ **თენგიზ სულაქველიძის** აკადემიის 1994 წელს დაბადებულთა გუნდს შეხვდნენ (მწვრთნელი **ვახტანგ კოპალეიშვილი**), მერე კი - **რევაზ ძოძუაშვილის** უგუნდოების ნაკრებს.

საქართველოს თასის მფლობელმა აკადემიელებს 3:0 მოუგო ( გოლები გაიტანეს **გიორგი გრძელიძემ** (2) და "ბაიადან" მიწვეულმა 18 წლის თავდამსხმელმა **მურთაზ ჩანგელიამ**), "უგუნდოებს" კი 2:0 სძლია (21-ე წუთზე "გაგრას" ყოფილმა მცველმა, ამჟამად ძოძუაშვილთან მოვარჯიშე **ჩასემმა** საკუთარ კარში ჩაჭრა, მე-40-ზე კი **შალვა კვანტალიანმა** მეორე ბურთი შეაგდო).

სამწუხაროდ, "გაგრას" თავდამსხმელი და გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა **აბაიომო სეუნი ოვონიკოკო** ვერ ვარჯიშობს და ევროპის ლიგაზე მისი თამაში საბოლოოდ გამოირიცხა – ნიგერიელ თავდამსხმელს ჯვარედინი იოგები აქვს გაწყვეტილი და ოპერაცია სჭირდება. არადა, ბელგიურ "ლოკერენში" მისი გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო.

დილა

# რამდენისთვის გათენდა
## ხალხი გორისკენ დაიძრა

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა გორის "დილამ" სეზონისთვის მზადება გუშინ გორში დაიწყო, შემდგომისთვის კი გუნდის ხელმძღვანელებმა ორი უცხოური შეკრება დაგეგმეს.

გორელთა მთავარი მწვრთნელის **გია ცეცაძის** თქმით, უცხოურ შეკრებამდე "დილა" საკონტროლო შეხვედრას "გაგრასთან" გამართავს, თუმცა მატჩის დღე ჯერ არ დაზუსტებულა.

*„29 ივნისიდან 13 ივლისამდე ყირიმში, სევასტოპოლის მახლობლად, კუიბიშევოს სპორტულ კომპლექსში მოვემზადებით. საკონტროლო მატჩებს ჯერ უკრაინის პირველი ლიგის გუნდებთან ვგეგმავთ, ბოლოს კი – უფრო ძლიერთან.*

*14 ივლისიდან მომზადებას სლოვაკეთის ქალაქ პოპრადში გავაგრძელებთ. სამი მატჩის გამართვა გვსურს, რაზეც ადგილობრივი უმაღლესი ლიგის გუნდებთან მოლაპარაკება დაწყებულია და მეტოქეები მალე გვეცოდინება. გორში კი, სავარაუდოდ, 29 ივლისს დავბრუნდებით"* ,– თქვა ცეცაძემ.

რაც შეეხება ახალწვეულებს, "დილაში" რამდენიმე საინტერესო ცვლილება უკვე მოხდა, თუმცა უფრო მეტი უახლოეს დღეებშია მოსალოდნელი.

*"რამდენიმე ფეხბურთელს დაველაპარაკეთ და მალე გადაწყდება, ვის დავიმატებთ. ახლა მხოლოდ სამი მოთამაშის გვარი შემიძლია დავასახელო: ჯერ კონტრაქტები არ გაუფორმებიათ, თუმცა გუნდში ვარჯიშობენ და შეკრებაზე გამოგვყვებიან თაუზის "თურანიდან" დაბრუნებული მცველი ოლეგ გველესიანი, საჩხერის "ჩიხურას" თავდამსხელი დავით ჩაგელიშვილი და მარტვილის "მერანის" ფორვარდი გია თოდუა. მათ გარდა, შეკრებაზე 1993-94 წლებში დაბადებულ რამდენიმე ნიჭიერ ბავშვსაც წავიყვანთ. ცხადია, მათ ჯერ შემადგენლობაში ვერ ვათამაშებ, მაგრამ თავის გამოჩენის შანსს მივცემ, ვინ იცის, თავს როგორ იყოჩაღებენ"* – ამბობს ცეცაძე.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

„არგენტინის სახლი"
საქართველოს საფეხბურთო კლუბებისთვის წარადგენს




არგენტინელ ცენტრალურ მცველს ვიქტორ ედუარდო მაგნაგოს (იხ. Google) შეღავათიან ფინანსურ პირობებში და სხვა მაღალი დონის არგენტინელ ფეხბურთელებს. აგრეთვე, 16-17-18-19 წლის ქართველ ფეხბურთელებს წარადგენს სტაჟირებაზე არგენტინაში 3-დან 6 თვის ვადით. სტაჟირების შემდეგ ტესტირებაზე არგენტინის კლუბებში. (სტაჟირების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათი სპონსორების მიერ). მსურველებმა დაუკავშირდნენ არგენტინის სახლის წარმომადგენლობას: 8-79-41-53-35; 8-99-23-55-20 მისამართი. ლეონიძის ქ№4. (ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მიღების საათები ყოველდღე. 17-დან 19 საათამდე. შაბათობით. 12-დან 14 საათამდე.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული კლუბები უცხოურ შეკრებაზე

რუსთაველები სლოვენიაში



# მეტალურგმა მეორეც გაიმარჯვა

## სპეცოპერაცია: დობროვოლსკი და აპენდიქსი

18 ივნისს სლოვენიის ქალაქ კოპერში შეკრებაზე მყოფმა რუსთავის "მეტალურგმა" მეორე ამხანაგური თამაში ადგილობრივ „კოპერთან" გამართა.

მატჩის შესახებ ინფორმაცია რუსთავის „მეტალურგის" პრესსამსახურის უფროსმა **შოთა შერმადინმა** მოგვაწოდა.

*"შეიძლება, თამამად ითქვას, რომ თამაში ჩვენი ფეხბურთელების დიდი უპირატესობით წარიმართა. მათ მეტოქე თითქმის ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. პირველ ტაიმში გატანის შანსი ჰქონდათ ლაშა ჯაფარიძეს, ირაკლი ქობალიას, ირაკლი მაისურაძესა და ლუკა რაზმაძეს. ანგარიში მხოლოდ 34-ე წუთზე გავხსენით: ჯაფარიძის პასით ირაკლი მოდებაძემ გაიტანა და პირველი ტაიმი ჩვენების მინიმალური უპირატესობით დასრულდა – 1:0.*

*მეორე ტაიმის განახლებისთანავე მოდებაძეს ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვითარებაში დროულად ვერ გაერკვა.*

*49-ე წუთზე თამაშის სცენარიდან გამომდინარე, მასპინძლებმა ალოგიკური გოლი გაიტანეს - 1:1.*

*თუმცა მატჩი კვლავ ჩვენი უპირატესობით წარიმართა. 55-ე წუთზე რევაზ გეწაძემ საჯარიმოს გარედან საკმაოდ სახიფათოდ, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა.*

*70-ე წუთზე ვაკო ტყემალაძის ჩინებულ ჩაწოდებას მოდებაძე გამოეხმაურა და დუბლი შეასრულა – 2:1.*

*დარჩენილი წუთები ისევ რუსთაველების კარნახით წარიმართა და საბოლოოდ ჩვენმა ფეხბურთელებმა თამაში გამარჯვებით დაასრულეს,"* – გვითრა შერმადინმა.

**"მეტალურგი": ბათიაშვილი - ჯაფარიძე, კვახაძე, მახვილაძე (46. ლომაია), ორბელაძე - მიქაბერიძე (46. ტყემალაძე), რაზმაძე, მაისურაძე, გეწაძე (65. ქავთარაძე) - მოდებაძე, ქობალია (76. პავლიაშვილი)**

ეს "მეტალურგის" მეორე გამარჯვება იყო ამ შეკრებაზე - პირველ მატჩში ავსტრიაში „მატერსბურგთან" 1:0 იმარჯვა.

რუსთაველთაგან არ უთამაშია გამოცდილ **დენის დობროვოლსკის**, რომელსაც წინა საღამოს კოპერის ჰოსპიტალში ბრმანაწლავის სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა. შერმადინის თქმით, ოპერაციამ გაურთულებლად ჩაიარა, ფეხბურთელი თავს კარგად გრძნობს და, სავარაუდოდ, 21 ივნისს გუნდთან ერთად საქართველოში დაბრუნდება.

ზამთარში რუსთაველებს ანთალიურ შეკრებაზე შვეიცარიელი ფიზმომზადების მწვრთნელი **ოლდრიხ შვაბი** ეხმარებოდა - 65 წლის სპეციალისტი, რომელიც „ბაზელში", „ციურიხსა" და „გრასჰოპერში" მუშაობდა, ამჟამად ფიფას ინსტრუქტორია.

თუმცა სლოვენიურ შეკრებაზე შვაბი გუნდს არ ახლავს. მიზეზით რომ დავინტერესდით, შერმადინმა გვითხრა, რომ შვეიცარული გუნდის შეკრებაზე არ ჩასულა, რადგან ამას არც ვგეგმავდითო.

**მერაბ მამულაშვილი**

# ზესტაფონი ავსტრიისკენ, ალადაშვილი უკრაინისკენ

**კახა ალადაშვილი** "ზესტაფონს" ტოვებს და კარიერას, ალბათ, კვლავ უკრაინაში გააგრძელებს. იმერულ კლუბს ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ მოვლენები იმგვარად ვითარდება, რომ ალადაშვილი ისევ ლეგიონერი გახდება.

მან "ზესტაფონს" შარშან ზაფხულს მიაშურა და გუნდის ჩემპიონობაში საკუთარი წვლილი შეიტანა. 27 წლის მარჯვენა მცველმა საქართველოს განვლილ ჩემპიონატში 29 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

ალადაშვილს "ზესტაფონთან" კონტრაქტი 1+1 სისტემით ჰქონდა გაფორმებული. მისი გასხვისებით კლუბი კომპენსაციას მიიღებს და, სავარაუდოდ, ფეხბურთელის სურვილს გაგებით მოეკიდება.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ "ზესტაფონში" **თემურ ღონღაძე** გადავიდა, რომელიც ალადაშვილის ალტერნატივა უნდა იყოს. მის გარდა, მარჯვენა მცველის პოზიციაზე კლუბს **ალექსი ბენაშვილიც** ჰყავს.

რაც შეეხება "ზესტაფონის" მზადებას, როგორც იცით, გია გეგუჩაძის გუნდი ხვალ ავსტრიულ შეკრებაზე მიემგზავრება, შაბათს კი კლუბის ბაზაზე ორმხრივი თამაში გაიმართა. ძირითადი გუნდის ფეხბურთელებს დუბლშემადგენლობის წევრები დაემატნენ, "მწვანეებმა" "წითლებს" 4:0 მოუგეს, გოლები კი **საბა ლომიამ, თორნიკე აფციაურმა, გიორგი ჭანკოტაძემ** და **რატი წინამძლვრიშვილმა** გაიტანეს.

**"მწვანეები": რ. კვასხვაძე (55. იმერლიშვილი), გაგოშიძე, გ. ონიანი, მნათობიშვილი, მ. ღონღაძე, დაუშვილი, აფციაური, ჭანკოტაძე, შ. გრიგალაშვილი (58. შარვაძე), სარდალიშვილი, ლომია (61. წინამძლვრიშვილი).**

**"წითლები": მამალაძე, თ. გრიგალაშვილი, კობახიძე, ხიდეშელი (36. ფერაძე), კიკნაველიძე, გორგიაშვილი, გეწაძე, ძარია (55. გაჩეჩილაძე), ბაბუნაშვილი (58. ჩიხლაძე), წინამძლვრიშვილი (61. ლომია), დვალი (60. ღირდალაძე).**

**ნიკოლოზ გელაშვილმა, ზაალ ელიავამ და ალექსი ბენაშვილმა** ორმხრივ მატჩში ვერ ითამაშეს, მაგრამ ვარჯიშს რამდენიმე დღეში განაახლებენ.

სხვათა შორის, 18 ივნისს "ზესტაფონის" დაარსებიდან შვიდი წელი გავიდა...

**ლევან ჯანეზაშვილი**



ზესტაფონი ვარჯიშს ავსტრიაში გააგრძელებს

ევროტურნირები. წილისყრის წინ



# აქედანა და რომელი?

## დღეს ქართული ოთხეულის გზა გამოჩნდება

დღეს ნიონში, უეფას შტაბბინაში, თბილისის დროით 14 და 15 საათზე, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის საწყისი ორი ეტაპის წილისყრა გაიმართება.

როგორც იცით, „ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგაში მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება და განთესილი იქნება.

საქართველოს ჩემპიონთა სავარაუდო მეტოქეების სია ასეთია: „დაჩია" (მოლდოვა), „პიუნიკი" (სომხეთი), „ბორაჩი" (ბოსნია), „მოგრენი" (ჩერნოგორია), „სკონტო" (ლატვია), „ფეჰერვარი" (უნგრეთი), „ბანგორ სიტი" (უელსი), „ტორსჰავნი" (ფარერები), „ლინფილდი" (ჩრდილოეთ ირლანდია), „ტობოლი" (ყაზახეთი), „ფლორა" (ესტონეთი), „ბრეიდაბლიკი" (ისლანდია), „ნეფთჩი" (აზერბაიჯანი), „შკენდია" (მაკედონია), „შკენდერბეუ" (ალბანეთი), ასევე პირველი ეტაპის ორ წყვილში გამარჯვებულები, რომლებიც ამ ოთხი კლუბის ორ წყვილად გაყოფისა და ორმატჩიანი დაპირისპირებების შედეგად გამოვლინდება: „დუდელანჟი" (ლუქსემბურგი), „ვალეტა" (მალტა), „სანტა კოლომა" (ანდორა), „ტრე ფიორი" (სან მარინო).

როგორც ხედავთ, აქ უმეტესად სუსტი საფეხბურთო ქვეყნების კლუბები არიან წარმოდგენილნი, მაგრამ არის რამდენიმე გამონაკლისი და, შესაბამისად, არასასურველი მეტოქეც. მეორე ეტაპის გადალახვის შემთხვევაში „ზესტაფონი" მესამე რაუნდში განუთესავი იქნება.

„ზესტაფონს" ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი 12 ან 13 ივლისს ექნება, განმეორებით მატჩს კი ერთ კვირაში ჩაატარებს.

ევროპის ლიგაზე საქართველოს სამი წარმომადგენელი ეყოლება. ჩემპიონატის პრიზიორები - თბილისის „დინამო" და რუსთავის „მეტალურგი" ბრძოლას პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებენ, თასის მფლობელი „გაგრა" კი - მეორიდან. უკეთესი საკლუბო რეიტინგის წყალობით „დინამო" პირველ ეტაპზეც განთესილია და მეორეზეც, „მეტალურგი" მხოლოდ პირველ რაუნდშია განთესილი, ევროთასების დებიუტანტი „გაგრა" კი მეორე ეტაპზე განუთესავის სტატუსით ითამაშებს.

პირველ ეტაპზე „დინამოსა" და „მეტალურგის" სავარაუდო მეტოქეები არიან: „გლენტორანი", „კლიფტონვილი" (ორივე - ჩრდილოეთ ირლანდია), „მილსამი" (მოლდოვა), „ბანგა" (ლიტვა), „დაუგავა" (ლატვია), „ოლიმპია" (სლოვენია), „ფლამურტარი", „ვლაზნია" (ორივე - ალბანეთი), „ნარვა", „კალიუ" (ორივე - ესტონეთი), აზალ (აზერბაიჯანი), „ირტიში", „შახტიორი" (ორივე - ყაზახეთი), „ზეტა" (ჩერნოგორია), „ბანანცი", „ულისი" (ორივე - სომხეთი), „ვესტმანაიეარი" (ისლანდია), „რუნავიკი", „ფუგლაფიორდური" (ორივე - ფარერები), „ტრე პენე" (სან მარინო), „ნითი" (უელსი), „კერინგი", „ფოლა ეში" (ორივე - ლუქსემბურგი), „ლუსიტანოსი", „სანტა კოლომა" (ორივე - ანდორა).

„დინამოს" შესაძლო მოწინააღმდეგეები მეორე ეტაპზე: „შახტიორი", „მინსკი" (ორივე - ბელარუსი), „ვროცლავი" (პოლონეთი), "გაზ მეთანი" (რუმინეთი), „ჰაფნარფიორდური", „რეიკიავიკი" (ორივე - ისლანდია), „მეტალურგსი" (ლატვია), „რადი" (სერბეთი), „იორებრო", „ჰაკენი" (ორივე - შვედეთი), „ჟელეზნიჩარი", „შიროკი ბრიეგი" (ორივე - ბოსნია), „ისკრასტალი" (მოლდოვა), „სუდუვა", „ტაურასი" (ორივე - ლიტვა), „ნიუ სეინტსი", „ლანელი" (ორივე - უელსი), „ვადუცი" (ლიხტენშტაინი), ტპს, კუპს (ორივე - ფინეთი), „რენოვა", „მეტალურგი) (ორივე - მაკედონია), „ტირანა" (ალბანეთი), „კოპერი", „დომჟალე" (ორივე - სლოვენია), „ბუდუჩნოსტი", „რუდარი" (ორივე - ჩერნოგორია), „ბირკირკარა" (მალტა), „კეშკემეტი", „პაკსი", „ფერენცვაროში" (სამივე - უნგრეთი), „სანტ ხულია" (ანდორა), „სტრეიმური" (ფარერები), „ხაზარი" (აზერბაიჯანი), „დიფერდანჟი" (ლუქსემბურგი), „მიკა" (სომხეთი), „კრუზეიდერსი" (ჩრდილოეთ ირლანდია), „ჯუვენესი" (სან მარინო), „ფლორიანა" (მალტა).

„მეტალურგისა" და „გაგრას" პოტენციური მეტოქეები მეორე ეტაპზე: „ფულჰემი" (ინგლისი), „დინამო" (რუმინეთი), „ზალცბურგი", „აუსტრია" (ორივე - ავსტრია), „ანორთოსისი", აეკ (ორივე - კვიპროსი), „ჟილინა", „სპარტაკი" (ორივე - სლოვაკეთი), „ნასიონალი" (პორტუგალია), „ვორსკლა" (უკრაინა), „შერიფი" (მოლდოვა), „ელფსბორგი" (შვედეთი), „დენ ჰააგი" (ჰოლანდია), „ლოკომოტივი" (ბულგარეთი), „გაზიანთეპი" (თურქეთი), „ოლიმპიაკოს ვოლოსი" (საბერძნეთი), „დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია), „ბნეი იეჰუდა" (ისრაელი), „მიდტიულანდი" (დანია), თელ ავივის „მაქაბი" (ისრაელი), „ვესტერლო" (ბელგია), „იაბლონეცი" (ჩეხეთი), „ვენტსპილსი" (ლატვია), „თუნი" (შვეიცარია), „ვალერენგა", „ტრომსო", „ოლესუნდი" (სამივე - ნორვეგია), „სენტ პატრიკსი", „ბოჰემიანსი" (ორივე - ირლანდია), „ყარაბახი" (აზერბაიჯანი), „იაგელონია" (პოლონეთი), „რაბოტნიჩკი" (მაკედონია), „აქტობე" (ყაზახეთი), „ვოივოდინა" (სერბეთი), „სარაევო" (ბოსნია), „ჰონკა" (ფინეთი), „ლევადია" (ესტონეთი), „სპლიტი", „ვარაჟდინი" (ორივე - ხორვატია).

დაგვეთანხმებით, ამ ჩამონათვალიდან გამომდინარე, "დინამოს" ორი ეტაპის გადალახვის ჩინებული შანსი აქვს, "მეტალურგსა" და "გაგრას" კი მეორე რაუნდში დიდი ჯაფა დაადგებათ, რადგან იქ განთესილთა შორის ხელწამოსაკრავი გუნდები თითქმის არ არიან, თუმცა სასურველი მეტოქეების დანახვა ამ სიაშიც შეიძლება, ღირსეულად ბრძოლას კი ქართული კლუბები, ვიმედოვნებთ, ნებისმიერ გუნდთან შეძლებენ.

ევროპის ლიგა 30 ივნისს დაიწყება, "დინამო" და "მეტალურგი" პირველი ეტაპის განმეორებით მატჩებს 7 ივლისს ჩაატარებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ლევიმ, დვალიშვილი რჩებაო

როგორც ჰაიფას "მაქაბის" მთავარმა მწვრთნელმა **ელიშა ლევიმ** თელ ავივის რადიოსთან ინტერვიუში განაცხადა, მან **ვლადიმერ დვალიშვილისგან** გუნდში დარჩენაზე თანხმობა მიიღო. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრების 25 წლის თავდამსხმელს ბოლო დროს ხშირად უწინასწარმეტყველებენ კლუბისა და ქვეყნის შეცვლას, მაგრამ, თუ ლევის სიტყვები გამართლდა, ლადო "მაქაბიში" მესამე სეზონს დაიწყებს.

დვალიშვილი "მაქაბიში" 2009 წლის ზაფხულში რიგის "სკონტოდან" გადავიდა და მის ღირსებას საკმაო წარმატებით იცავს. სადებიუტო სეზონშივე ჰაიფელებთან ერთად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე მივიდა, რაშიც ლომის წილი დაიდო, გასული სეზონი კი იმით იყო გამორჩეული, რომ ლადომ ისრაელის ჩემპიონობა და თასის მოპოვება იზეიმა.

განვლილ სეზონში დვალიშვილმა "მაქაბის" შემადგენლობაში 32 მატჩი ჩაატარა (ყველა ტურნირში ერთად) და 15 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლადო დვალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ხსოვნის ტურნირი

# დიდი ათიანის თასი ნორჩ დინამოელს



პრიზი ალექსანდრე ჩივაძისგან

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

18 ივნისს ყველა დროის გამორჩეულ ქართველ ფეხბურთელს დავით ყიფიანს 60 წელი შეუსრულდებოდა და გუშინ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე „ლია სახალისო ფეხბურთის“ პროგრამის ხელმძღვანელების (**ვალერი ჩოლარია, ბადრი ქარქაშაძე**, კოორდინატორი **ბადრი მაჭავარიანი**), დავით ყიფიანის სახელობის ფონდისა და ჟურნალ „ათიანის“ ორგანიზებით ჩატარდა.

ტურნირში 1999 წელს დაბადებულ ბავშვთა ოთხი გუნდი - „ნორჩი დინამოელი“, „ავაზა-ვისოლი“, 35-ე საფეხბურთო სკოლა და „ოლიმპი 2“ მონაწილეობდნენ.

„ავაზა-ვისოლმა“ „ოლიმპი 2“-ს 2:1 სძლია, „ნორჩმა დინამოელმა“ 35-ე საფეხბურთო სკოლის ალსაზრდელები 4:1 დაამარცხა. მატჩი მესამე ადგილისთვის „ოლიმპი 2“-სა და 35-ე საფეხბურთო სკოლას შორის ფრედ დასრულდა - 3:3. ტურნირის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ორივე გუნდს მესამე ადგილი მიეკუთვნა. ფინალური შეხვედრის მსაჯობა, ტრადიცისამებრ, ვეტერან მსაჯს **ანატოლი მილჩენკოს** დაევალა. „ნორჩმა დინამოელმა“ „ავაზა-ვისოლს“ 5:2 მოუგო და დავით ყიფიანის თასის მფლობელიც გახდა.

გამოვლინდნენ ტურნირის საუკეთესონიც: მეკარე **ლაშა გურგენიძე** („ოლიმპი 2“), მცველი **ნიკა ნინუა** („ნორჩი დინამოელი“). ფინალის საუკეთესო გოლის ავტორად „ავაზა-ვისოლის“ ფეხბურთელი **მათე მინდიაშვილი**, ხოლო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად „ნორჩი დინამოელის“ ათი ნომერი **გიორგი ჭანკვეტაძე** დასახელდნენ. ჭანკვეტაძეს თბილისის „დინამოს“ ახალი ათნომრიანი მაისურაც უსახსოვრეს.

ტურნირის მონაწილე ოთხივე გუნდს სამახსოვრო საჩუქრები, მედლები და თასები გადაეცათ.

ლევან ყიფიანი: „მას შემდეგ, რაც მამაჩემი გარდაიცვალა, ტურნირი ყოველწლიურად მისი დაბადების დღეს იმართება. მოზარდთა ასეთი შეჯიბრებები მათაც წაადგებათ და მთლიანად ქართულ ფეხბურთსაც დიდ სამსახურს გაუწევს. ვიმედოვნებ, მომავალში უფრო მასშტაბური გახდება“.

ბადრი მაჭავარიანი: „მეოთხე წელია, რაც ეს ტურნირი ტარდება. წლეულს გუნდებმა საუკეთესო შემადგენლობები გამოიყვანეს. საპრიზო ადგილებისა და საჩუქრების გარეშე არც ერთი მონაწილე არ დარჩენილა“.

**სალომე ხარატიშვილი**

ლეგიონი



დავით სირაძე



ალეკო ამისულაშვილი (მარცხნივ)

# ჯანოს და საბას პირველ-პირველი

## ამისულაშვილი სიმბოლურშია

რუსული „ჩემპიონატი“ **ჯანო ანანიძის** სატრანსფერო ღირებულებად 2 მილიონ ევროს მიიჩნევს, თუმცა, თუკი ჩვენებური ასე გააგრძელებს, მისი ფასი საგრძნობლად გაიზრდება - შაბათს 18 წლის ლეგიონერმა წლევანდელ პრემიერლიგაში პირველი გოლი გაიტანა, თან ეს მოსკოვურ დერბიში მოახერხა. „სპარტაკი“ „ლოკომოტივს“ ესტუმრა და 2:0 დაამარცხა. ანანიძემ რუსულ პრემიერლიგაში მეხუთე გოლი მიითვალა და ეს 35 მატჩში მოახერხა (8 თამაში, 2 გოლი - 2009 წლის სეზონში, 23 თამაში, 2 გოლი - 2010-ში და 4 თამაში, 1 გოლი წლეულს). გოლამდე ჯანომ ერთი დიდებული პასიც გააკეთა, გოლი კი 44-ე წუთზე გაიტანა, როცა „სპარტაკი“ მასპინძელთა შეტევებს იგერიებდა. ანანიძემ საჯარიმოს რკალიდან მეკარისგან მარცხენა კუთხეში დაარტყა ზუსტად. 2 წუთში ესპანელმა **სერხიო როდრიგესმა** მეორეც შეაგდო. ჩვენებური **ვალერი კარპინმა** 83-ე წუთზე შეცვალა. „ჩემპიონატმა“ მას 6,5 ბალი დაუწერა (სულ სამმა მიიღო ასეთი შეფასება, როდრიგესმა, ჯანომ და მეკარე **დიკანმა**). „სპარტაკი“ 14 მატჩიდან 21 ქულით მე-8 ადგილზეა.

ნიჟნი ნოვგოროდის ქართული ლეგიონი პირველად გავიდა მოედანზე **ომარ თეთრაძის** დარიგების გარეშე, მისმა მემკვიდრემ **დმიტრი ჩერიშევმა** კი სადებიუტო მატჩში ვერ ივარგა, „ვოლგამ“ შინ „ზენიტთან“ 0:2 წააგო. მარცხის მიუხედავად, ეს მატჩი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ სეზონში **გოგიტა გოგუასთვის**, მისი თანაგუნდელები კი ვერაფრით გამოირჩნენ. ოთხი ქართველი სასტარტოში იყო (**ლაშა სალუქვაძე, გია გრიგალავა**, გოგიტა გოგუა და **ოთარ მარცვალაძე**), 63-ე წუთზე კი **მათე ვაწაძეც** გამოჩნდა. გოგუამ ფლანგზე ქართული წარმოშობის ზენიტელი **იგორ ჩემინავა** დაჩაგრა, რომელმაც თამაშის შემდეგ აღნიშნა კიდეც ეს: *„გოგუას წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელი იყო. მას ძალიან კარგი დრიბლინგი აქვს. გამუდმებით ცენტრისკენ იწევდა და შემდეგ კარს ემუქრებოდა. თუმცა ჩვენ „ვოლგას“ თამაში კარგად შევისწავლეთ და მეც მწვრთნელის მითითებებს ვასრულებდი“*. სხვათა შორის, ერთ-ერთ ეპიზოდში ჩემინავამ გოგუას წინააღმდეგ ფეხებში ვარდნა შეასრულა, მსაჯმა კი ჩვენებური გააფრთხილა სიმულაციისთვის. „ჩემპიონატმა“ გოგუას 6 ბალი დაუწერა, სალუქვაძეს - 5,5, სხვებს - 5. „ვოლგა“ 13 ქულით მე-13 ადგილზეა.

**დავით სირაძის** „სპარტაკი“ ნალჩიკში ვერას გახდა „ცსკა-სთან - 0:2. ჩვენებური სასტარტო შემადგენლობაში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს (შეფასება - 6). აი, რა თქვა თამაშის შემდეგ დათომ: *„დასანანია, მომენტები ჩვენ არანაკლები გვქონდა, მაგრამ ცსკა-ს ძალიან უმართლებდა, ყველა დარტყმა კარში წავიდა“*. ნალჩიკელები 9 ქულით ბოლო ადგილზე არიან.

**ნუკრი რევიშვილმა** კარი კვლავ მშრალად შეინახა. ამ სეზონში ეს „ანჟის“ გოლკიპერმა მეექვსედ მოახერხა 12 თამაშში. მართალია, პერმში „ამკარის“ ფორვარდები სულ სამჯერ დაემუქრნენ მის კარს, მაგრამ 59-ე წუთზე **ბელორუკოვის** დარტყმულს საგოლე ეთქმოდა. ამასთან, რუსული მედიის აზრით, ჩვენებური ორჯერ შეცდა გამოსვლაზე. „ჩემპიონატმა“ ქართველ მეკარეს 6 ბალი დაუწერა. „ანჟი“ 23 ქულით მე-5 ადგილზეა.

დერბი მოიგეს **ალეკო ამისულაშვილმა** და მისმა „კრასნოდარმა“ (1:0). როგორც დერბის შეშვენის, „ყუბანთან“ მატჩში იყო წითელი ბარათებიც, ვერგატანილი პენალტიც და კვანძის დრამატული გახსნაც - გოლი ბოლო წუთებზე. ალეკომ 90 წუთი ითამაშა (6 ბალი), „კრასნოდარი“ 20 ქულით მეცხრეა.

**ლევან გვაზავას** „ტერეკმა“ 2:0 მოუგო „კრილია სოვეტოვს“. ჩვენებურმა 70 წუთი ითამაშა (6 ბალი). კარიერაში პირველად მოხვდა რუსული პრემიერლიგის მატჩის განაცხადში 19 წლის **საბა კვირკველია** - „რუბინმა“ სტუმრად „როსტოვს“ 3:1 მოუგო, საბა კი სათადარიგო იყო. სხვათა შორის, წინა დღეს მან დუბლების მატჩში (რომელიც „რუბინმა“ მერაბ ურიდიას გოლით 1:0 მოიგო) შეუცვლელად ითამაშა.

წუხელ „ჩემპიონატმა“ მე-14 ტურის სიმბოლური ნაკრები შეადგინა, რომელშიც ერთი ჩვენებური მოხვდა - ალეკო ამისულაშვილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინფრასტრუქტურა



# აღარ გვინდა ტალახი, ღმერთო, მოგვეც ბალახი

## 3 საფარი 2 500 000 ლარად
## 3 სტადიონი პირველ ოქტომბრამდე

ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე საინტერესო ინფორმაციას წავაწყდით: 14 ივნისს ფედერაციამ ფოთის, ქობულეთისა და გორის ცენტრალურ სტადიონებზე უეფას სტანდარტების შესაბამისი მოედნის საფრის დაგების სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადა.

მოედნების მოსაწყობად ფედერაციას საქართველოს მთავრობის 2011 წლის 24 მაისის №1125 განკარგულების თანახმად 2,5 მილიონი ლარი ჩაერიცხება.

ფედერაცია ტენდერში მონაწილეობისთვის იწვევს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას. მოედნის საფრების დაგების წინაპირობად ფედერაცია ითხოვს უეფას სტანდარტების შესაბამის ხარისხს, მინდვრის საფრის მიწოდება-დაგებას, საჭირო ტექნიკის შეძენას და სხვა სამუშაოების შესრულებას.

სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ფედერაციამ უკვე დაიწყო. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება სამივე ლოტზე 2.500.000 ლარია. ანუ თითო მოედნის დაგებას დაახლოებით 833 ათასი ლარი მოხმარდება, სამუშაოს დასრულების ვადად კი 1 ოქტომბერია მითითებული.

სამუშაოთა დროული და შეუფერხებელი შესრულებისთვის ფედერაცია პრეტენდენტ კომპანიებს მკაცრ მოთხოვნებს უყენებს: პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს ცნობა საქალაქო სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის საქმის წარმოება, ხოლო უცხოურ კომპანიებს - დოკუმენტები შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილის** თქმით, სატენდერო განცხადება ახლახან გამოქვეყნდა და ჯერ უცნობია, რამდენ კომპანიას სურს ტენდერში მონაწილეობა, თუმცა გვითხრა, წესით, ეს პროცესი არ უნდა გაიწელოსო.

ამ სამი სტადიონიდან უმაღლესი ლიგის მატჩებს ორი მოემსახურება – გორის და ფოთის არენები, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები “მიხეილ მესხის” სტადიონზეც, რომელიც სექტემბრისთვის მზად უნდა იყოს. ეროვნულ სტადიონზე ბალახის საფრის მდგომარეობა გამოსწორდა და მისი გამოცვლა საჭირო აღარ გახდა.

ამას გარდა, კლუბებთან შეხვედრისას ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** თქვა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს საქართველოს ნაკრების ტექნიკური ცენტრი “ბასაც” უმასპინძლებს. ნაკრების ბაზაზე კი საქართველოში საუკეთესო მინდვრის საფარია. ამ მოედნის გამკეთებელი ბერძნული კომპანია დააგებს საფარს ქუთაისის “ტორპედოს” სტადიონზე, მშვენიერი მოედანია ზესტაფონში.

ასე რომ, იმედია, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 12 გუნდიდან 9 ხარისხიან მინდვრებზე მიიღებს სტუმრებს: “დინამო”, “ტორპედო”, “ზესტაფონი”, “კოლხეთი”, “დილა” და “გაგრა” ბალახისსაფრიანზე (“გაგრა” დროებით ითამაშებს “მერანზე”, სადაც კარგი მინდორია), “ვიტ ჯორჯია” და რუსთავის “ოლიმპი” - ხელოვნურსაფრიანზე. ცხინვალის “სპარტაკი” სექტემბრიდან “მიხეილ მესხზე” გადაბარგდება.

იმედია, ფედერაცია ჩანაფიქრს დროულად განახორციელებს და იმ სამი გუნდის მოედნებსაც მიხედავს (მარტვილის “მერანის”, ბოლნისის “სიონის”, ზუგდიდის “ბაიასი”), რომელთა მდგომარეობა უკეთესის სურვილს ტოვებს.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე

# ხორვატია იოლად გადარჩა

3 ივნისს საქართველოს ნაკრებთან საშინაო მატჩისას ხორვატმა გულშემატკივრებმა ტრიბუნაზე სვასტიკიანი ტრანსპარანტი გამოფინეს და ფაშისტურ ლოზუნგებს სკანდირებდნენ. ამ ამბავს უეფასგან მძაფრი რეაქცია მოჰყვა და ცნობილი იყო, რომ ხორვატიის საფეხბურთო კავშირს ფინანსური სანქცია არ ასცდებოდა. გამორიცხული არც ის იყო, მათი ნაკრებისთვის მომდევნო საშინაო შეხვედრის ცარიელ სტადიონზე ჩატარება მიესაჯათ.

საბოლოოდ, ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ მოსალოდნელზე ლმობიერი გადაწყვეტილება მიიღო – ხორვატები 80 ათასი ევროთი დააჯარიმა, რაც, დაგვეთანხმებით, არ არის წელში გამტეხი თანხა. თანაც, ხორვატიის საფეხბურთო კავშირი იმ ზარალს გადაურჩა, რომელიც უმაყურებლო თამაშით მიადგებოდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი


ანდრე ვილას ბოასი

# მორატის ფავორიტი: ვილას ბოასი

## პრესაში ანჩელოტის გვარმაც გაიჟღერა

ერთი ხანობა, დღე არ გავიდოდა, რომ "რომას" შესახებ სამწვრთნელო ცნობები არ გავრცელებულიყო – საბოლოოდ, გუნდი **ლუის ენრიკემ** ჩაიბარა და ეს საგაც დასრულდა. "ჯალოროსისგან" ესტაფეტა "ინტერმა" გადაიბარა და უკვე მილანურ გრანდზე გვიწევს ახალ-ახალ ინფორმაციებთან გაცნობა. **მასიმო მორატი** პირველად **მარსელო ბიელსას** შეეხმიანა და მას მილანში გადაცხოვრება შესთავაზა, მაგრამ არგენტინელი სპეციალისტისგან მტკიცე უარი მიიღო. დღემდე არ სახელდება კონკრეტული მიზეზი, თუმცა კულუარებში ერთი ვერსია აქტიურად მუსირებს – თურმე მორატი ადრეც აწარმოებდა ბიელსასთან მოლაპარაკებებს, პრაქტიკულად შეთანხმებული ჰქონდათ ყველა დეტალი, როდესაც "ინტერის" პრეზიდენტმა გადაწყვეტილება შეცვალა და არჩევანი **ჟოზე მოურინიოზე** შეაჩერა. როგორც შემდეგ გამოჩნდა, მორატიმ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია ბიელსასთვის, რომელსაც თურმე ჩალაგებული ბარგის ამოლაგება მოუხდა. გამომდინარე აქედან, ბიელსამ მორატის უარი სტკიცა და მოლაპარაკების წამოწყებაც კი არ ისურვა.

ბიელსას მსგავსად, გამოირიცხა **სინიშა მიხაილოვიჩის** კანდიდატურაც, რომელიც ფლორენციაში რჩება და არსად წასვლას არ აპირებს. მოვუსმინოთ სერბ სპეციალისტს: *"პრესაში ბევრი სისულელე იწერება და მათ შორის ის, რომ შესაძლოა "ინტერის" მთავარი მწვრთნელი გავხდე. ეს გამორიცხულია და მინდა საჯაროდ განვაცხადო, რომ "ფიორენტინაში" ვრჩები. გასულ ზაფხულს არაერთი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ არჩევანი "ვიოლაზე" შევაჩერე, რაც ერთი წუთითაც არ მინანია. ფლორენციაში იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ აქ ერთი წლით დავრჩენილიყავი – დიდი და სერიოზული გეგმები მაქვს, ასე რომ, "ინტერი" ჩემს ინტერესის სფეროში არ შედის".*

ვერ გეტყვით, მორატის ჰქონდა თუ არა ინტერესი მიხაილოვიჩის მიმართ, მაგრამ ფაქტია რომ არც ამ საქმისგან გამოვა რამე. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით კი სენიორ მასიმოს ნომერი პირველი კანდიდატურა პორტუგალიელი სპეციალისტი **ანდრე ვილას ბოასია**. მისი თავკაცობით, "პორტუმ" გასული სეზონი ფანტასტიკურად ჩაატარა, პორტუგალიის ჩემპიონატის და ევროპის ლიგის გათამაშება ერთი ამოსუნთქვით მოიგო. ამბობენ, რომ ვილას ბოასის კანდიდატურა მორატის ჟოზე მოურინიომ ურჩია, ვისთანაც "ინტერის" პრეზიდენტს დღემდე ინტენსიური სატელეფონო კავშირი აქვს. "ინტერის" ანდრეს მიმართ ინტერესი, კლუბის სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** დაადასტურა:

*"მისი შედეგები აღფრთოვანებას იწვევს და ბუნებრივია, მის მიმართ გვაქვს ინტერესი. მოლაპარაკების პროცესი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ამას არაფერი უდგას წინ და უახლოეს პერიოდში აუცილებლად შევეხმიანებით. ვიცი, რომ დიდი სურვილი აქვს "პორტუსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში მოსინჯოს ძალები, ამასთან, ევროპის სუპერთასზე "ბარსელონას' შეეჭიდოს. მესმის, რომ მისი დარწმუნება იოლი არ იქნება, თუმცა მაინც იმედიანად ვარ განწყობილი".*

გუშინ პორტუგალიურმა სპორტულმა გაზეთმა "რეკორდმა" "ინტერის" გულშემატკივრებისთვის სამწუხარო ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც ვილას ბოასმა უკვე შეუთვალა უარი მილანური გრანდის მესვეურებს. თუმცა, ეს ვერსია თავად მწვრთნელის კომენტარით არ არის გამყარებული და გამომდინარე აქედან, მის უტყუარობაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებთ. შესაძლოა ეს პორტუგალიელთა სურვილი უფრო იყოს, ვიდრე რეალობა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და არ ვიმარჩიელოთ.

"კორიერეს" მტკიცებით, "ინტერი" "პორტუს" თავდამსხმელით, **რადამელ ფალკაოთიც** დაინტერესებულია. 25 წლის კოლუმბიელ თავდამსხმელს საოცარი სეზონი ჰქონდა და უდიდესი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებებში. ფალკაო 2009 წლიდან ირიცხება "პორტუში", ამ ხნის განმავლობაში 50 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 41 გოლი გატანილი, რაც მართლაც რომ შესანიშნავი მაჩვენებელია. ბუნებრივია, "პორტუ" ასე იოლად ვერ შეელევა მწვრთნელს და საუკეთესო ფეხბურთელს, თუმცა "ინტერი" ცდას არ დააკლებს, რაც ბრანკას სიტყვებით დადასტურდა.

ბრანკა იქით იყოს და, პრესასთან ურთიერთობას არც მასიმო მორატი გაურბის, მისი თქმით, ახალი მწვრთნელის საკითხი მალე გადაწყდება: *"ბიელსამ მართლაც უარი გვითხრა და ამას ვადასტურებ. მიზეზი? – დასამალი არაფერია, მან გვითხრა, რომ მოლაპარაკების წამოწყების სურვილი არ აქვს, როგორც ჩანს, რაღაცით ძალიან იმედგაცრუებულია. გვქონდა კონტაქტი სხვა მწვრთნელებთან, რომლებმაც დიდი სურვილი გამოთქვეს ჩვენთან თანამშრომლობის. არჩევანს ძალიან მალე გავაკეთებთ, თუმცა დღეს კანდიდატების დასახელებისგან თავს შევიკავებ. საინტერესოა, რომ "ინტერის" მომავალი ჟურნალისტებმა კარლო ანჩელოტისაც დაუკავშირეს და ამ საკითხზე მას კომენტარი ჩამოართვეს. ჩემდა გასაკვირად, კარლო უარზე არ წავიდა, რაც ერთობ სასიამოვნო იყო. თუმცა, გამოგიტყდებით და მისთვის შეთავაზება აზრადაც არ მოგვსვლია. დიდ პატივს ვცემ ანჩელოტის, მაგრამ ჩვენ სხვა ყაიდის მწვრთნელი გვჭირდება".*

ბოლოს კიდევ ერთი ინფორმაცია "ინტერის" შესახებ, რომელიც **ლუსიოს** უკავშირდება. ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ბრაზილიელი მცველის გადაბირებით არაერთი გუნდია დაინტერესებული - ეს ინფორმაცია ფეხბურთელის პირადმა აგენტმა **ალესანდრო ლუკიმაც** დაადასტურა, თუმცა შემდეგი დაამატა: *"დიახ, ლუსიოს შეძენა ბევრს სურს, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი კლიენტი "ინტერში" გააგრძელებს ასპარეზობას. კლუბის მესვეურებთან მიმდინარე მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია შესული და სულ მალე ახალ კონტრაქტს გავაფორმებთ. ლუსიო ბედნიერად გრძნობს თავს მილანში და არსად წასვლას არ აპირებს. პირდაპირ მითხრა, რომ მისი ერთადერთი სურვილი "ინტერის" ღირსების დაცვაა".*

**ლაშა წიკლაური**

კალჩო

# აბეტე: კალჩოპოლი აღარ განმეორდება


ჯანკარლო აბეტე

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მაშინ ხდება აქტუალური პერსონა, როდესაც კალჩოში სკანდალია და მტყუანმართალი ირკვევა. გამომდინარე იქიდან, რომ იტალიური ფეხბურთი და სკანდალი განუყოფელი მცნებებია, **ჯანკარლო აბეტეს** ხშირად უწევს ჟურნალისტებთან ურთიერთობა. გასულ სეზონში, ამ თვალსაზრისით სერია B იყო ყურადღების ცენტრში – არაერთი საეჭვო რეზულტატი დაფიქსირდა და შედეგად, რამდენიმე დამნაშავეც გამოვლინდა, მათ შორის, **ლუჩანო მოჯი**, რომელიც სამუდამოდ მოკვეთეს იტალიური ფეხბურთიდან. დღემდე ეჭვმიტანილის სტატუსი აქვს **ჯუზეპე სინიორის**, რომელიც საშინაო პატიმრობაში იმყოფება და თავის მართლება უწევს. მოკლედ, კალჩო თავის სტიქიაშია, ისევე როგორც აბეტე:

*"საფეხბურთო სამყარო ცოცხალი ორგანიზმია, სადაც ყველაფერს აქვს თავისი ადგილი., ისევე როგორც ეს რეალურ ცხოვრებაშია. ჩვენი მისიაა, რომ სიბინძურეს ვებრძოლოთ, კორუფცია აღმოვფხვრათ და ვფიქრობ, რომ ამას წარმატებით ვახერხებთ. მთლიანობაში, იტალიური ფეხბურთი სუფთაა, თუმცა არიან პერსონები, რომლებიც ჯერ კიდევ ცდილობენ მის ლაფში ამოსვრას. შესაბამისად, დამნაშავეთა გამოვლენა და მათ მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების გატარება გრძელდება. იტალიურ ფეხბურთს კალჩოპოლი ნამდვილად აღარ ემუქრება, რადგან ჩვენ დროულად ვახდენთ რეაგირებას წვრილმან დარღვევებზეც კი, რათა პრობლემების დაგროვება ავიცილოთ თავიდან. კორუფციასთან ბრძოლა გაგრძელდება, სანქციები კი უმკაცრესი იქნება".*

**ლაშა წიკლაური**

რუსეთი. პრემიერლიგა. XIV ტური

# ხელკეტი და ელექტროშოკი... ფეხბურთელებს!

**როსტოვი–რუბინი 1:3**

**გოლები:** 0:1 ლებედენკო (14), 1:1 კირიჩენკო (50, პენალტით), 1:2 რიაზანცევი (82), 1:3 კისლიაკი (90)

**ყუბანი–კრასნოდარი 0:1**

**გოლი:** 0:1 დრინჩიჩი (67)

*58-ე წუთზე ტრაორემ (ყუბანი) ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** ტუბიჩი (56, კროსნოდარი), არმაში (88, ყუბანი)

**ვოლგა–ზენიტი 0:2**

**გოლები:** 0:1, 0:2, ა. კერჟაკოვი (9, 19)

**ნალჩიკი–ცსკა 0:2**

**გოლები:** 0:1 დუმბია (19), 0:2 იგნაშევიჩი (65, პენალტით)

**ლოკომოტივი–სპარტაკი 0:2**

**გოლები:** 0:1 **ანანიძე** (44), 0:2 როდრიგესი (45)

**გაძევება:** გილერმე (58, „ლოკომოტივი")

**ტერეკი–კრილია 2:0**

**გოლები:** 1:0 პავლენკო (28), 2:0 ალსიდაროვი (56), პენალტით)

**დინამო–ტომი 3:0**

**გოლები:** 1:0 სამედოვი (27), 2:0 კურანი (38), 3:0 კოკორინი (44)

**ამქარი–ანჟი 0:0**

სკანდალური და „ხმაურიანი" გამოდგა რუსული პრემიერლიგის განვლილი ტური: სამსაჯო შეცდომები კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც „ვოლგასა" და „ზენიტის" შეხვედრისას მოხდა. მოგეხსენებათ, რომ რუსული პრემიერლიგის ყველაზე „ქართულ გუნდს" ამ მატჩში ახალი მწვრთნელი, **დიმიტრი ჩერიშევი** მოძღვრავდა, რომელმაც ამ პოსტზე **ომარ თეთრაძე** შეცვალა. ამ წყვილში ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, **ლუჩანო სპალეტის** „ზენიტი" იყო და რუსეთის ნაკრების ფორვარდის, 28 წლის **ალექსანდრ კერჟაკოვის** „დუბლით" ქვეყნის ჩემპიონმა „დაგეგმილი" გამარჯვება მოიპოვა. ეს შედეგი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, აი, ტრიბუნებზე მომხდარი არეულობა კი, ალბათ, დიდხანს იქნება განსჯის საგანი: ნიჟნი ნოვგოროდის მილიცია სასტიკად გაუსწორდა სტუმართა ათასობით ფანს! თანაც, მხოლოდ ხელკეტები კი არ გამოუყენებია - ელექტროშოკიც იხმარეს! სხვათა შორის, დაზარალებულთა შორის... „ზენიტის" ფეხბურთელიც, ამ სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, 28 წლის **დანკო ლაზოვიჩიც** არის; არადა, ლაზოვიჩზე ადგილობრივმა მილიციელმა იმ დროს იხმარა ელექტროშოკი, როცა სერბმა ფორვარდმა მაისურა გაიძრო და თავის ქომაგებს საჩუქრად გადაუგდო. სანკტ-პეტერბურგში ჩასულ ლაზოვიჩს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა და სხეულის დაზიანების ფაქტიც დადასტურდა: ოფიციალური დიაგნოზით, სერბ თავდამსხმელს ელექტროტრავმა და პირველი ხარისხის დამწვრობა აღენიშნება! ყველაზე უცნაური ის არის, რომ მასპინძლები მომხდარში სტუმართა ფანებს ადანაშაულებენ, რომელთა ზღვარგადასული ქმედებების აღკვეთა „კანონის ფარგლებში" მოხდაო...

„ვოლგასა" და „ზენიტის" ამ სკანდალურმა მატჩმა ტურის სხვა მოვლენები „დაჩრდილა", არადა, ჩერიშევის გარდა კიდევ ორ მწვრთნელს ჰქონდა დებიუტი უმაღლეს ლიგაში. „ტერეკიდან" გაშვებული **რუუდ გულიტი** დროებით ადგილობრივმა სპეციალისტმა **ისა ბაიტიევმა** შეცვალა და სადებიუტო მატჩში წარმატებასაც მიაღწია. აი, ნალჩიკის „სპარტაკს" კი არც მწვრთნელის შეცვლამ უშველა: **ვლადიმერ ეშტრეკოვის** ნაცვლად გუნდი **სერგეი ტაშუევს** ჩააბარეს, მაგრამ ჩემპიონატის აუტსაიდერი ერთპიროვნულ ლიდერთან ცსკა-სთან ორბურთიანი სხვაობით დამარცხდა. „სპარტაკი" ამ მატჩში, სულ მცირე, ფრეს მაინც იმსახურებდა: მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტიც შექმნა, ბურთის ფლობის მხრივაც უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ფავორიტმა მეტოქემ კლასისა და... მსაჯის დახმარებით გაიმარჯვა. 23 წლის კოტდივუარელმა **სეიდუ დუმბიამ** თავისი გუნდის პირველივე შეტევა გოლით დაასრულა, მეორე ტაიმში კი შეხვედრის არბიტრმა მასპინძელთა კარში საეჭვოზე-საეჭვო პენალტი დანიშნა, რომელიც, ტრადიციულად, ზუსტად გამოიყენა 31 წლის **სერგეი იგნაშევიჩმა.** მასპინძელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული 29 წლის **დავით სირაძე** გახლდათ, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი პარტნიორები დამაგვირგვინებელ ფაზაში მოიკოჭლებდნენ.

თანდათან თმობს პოზიციებს მახაჩყალის „ანჟი": **გაჯი გაჯიევის** გუნდმა მხოლოდ ქულის მოპოვება შეძლო „ამკართან" შეხვედრაში; თუმცა, ჩვენთვის სასიხარულო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მშრალად შეინახა საკუთარი კარი 24 წლის **ნუკრი რევიშვილმა.** ბურთების სხვაობით „ანჟის" უკვე მოსკოვის „დინამოც" უსწრებს: დროებითი მწვრთნელის, **სერგეი სილკინის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა პირველ ტაიმშივე გადაწყვიტა მატჩის ბედი. მასპინძელთა გასახარად, როგორც იქნა, გოლის გატანაც შეძლო გუნდის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობადმა სახემ, 29 წლის **კევინ კურანიმ.** თუმცა, ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე, დინამოელთა კაპიტანი, 31 წლის **ანდრეი ვორონინი** გახლდათ, სამივე გოლში აქტიური მონაწილეობა რომ მიიღო. დაბოლოს, მოსკოვურ „დერბიზეც" — „სპარტაკმა" პირველი ტაიმის მიწურულს ორი გოლი გაუტანა „ლოკომოტივს" და რუსების „სახალხო გუნდმაც" სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა. ამ შეხვედრის ერთ-ერთი გა-



დანკო ლაზოვიჩი

მორჩეული მოთამაშე 18 წლის **ჯანო ანანიძე** იყო — ჩვენებურმა ეფექტური გოლიც გაიტანა და მეორე ტაიმში მართლაც ზღაპრული პასით თანაგუნდელი **ველიტონი** მეტოქის მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ 24 წლის ბრაზილიელმა უაღრესად ხელსაყრელი მომენტით ვერ ისარგებლა.

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 13 | 8 | 4 | 1 | 26-9 | 28 |
| 2. ზენიტი | 14 | 7 | 5 | 2 | 25-12 | 26 |
| 3. რუბინი | 14 | 6 | 6 | 2 | 21-11 | 24 |
| 4. დინამო | 14 | 6 | 5 | 3 | 19-17 | 23 |
| 5. ანჟი | 14 | 6 | 5 | 3 | 12-11 | 23 |
| 6. ლოკომოტივი | 14 | 6 | 4 | 4 | 22-15 | 22 |
| 7. ყუბანი | 14 | 6 | 3 | 5 | 15-13 | 21 |
| 8. სპარტაკი | 14 | 6 | 3 | 5 | 14-15 | 21 |
| 9. კრასნოდარი | 14 | 5 | 5 | 4 | 16-17 | 20 |
| 10. ამქარი | 14 | 4 | 4 | 6 | 11-17 | 16 |
| 11. ტერეკი | 14 | 4 | 3 | 7 | 11-17 | 15 |
| 12. ტომი | 14 | 3 | 6 | 5 | 14-22 | 15 |
| 13. ვოლგა | 13 | 4 | 1 | 8 | 14-15 | 13 |
| 14. როსტოვი | 14 | 3 | 3 | 8 | 16-24 | 12 |
| 15. კრილია | 14 | 2 | 5 | 7 | 8-19 | 11 |
| 16. ნალჩიკი | 14 | 1 | 6 | 7 | 11-21 | 9 |

**მომდევნო ტური. 22 ივნისი**

ცსკა-ლოკომოტივი
ზენიტი-ყუბანი
კრასნოდარი-ტერეკი
კრილია-ანჟი
რუბინი-ვოლგა
სპარტაკი-დინამო
ტომი-როსტოვი
ამქარი-ნალჩიკი

# უცხოური ფეხბურთი

## ამბები




## გრანადა გრანდებში

35-წლიანი პაუზის შემდეგ „გრანადა" პრიმერადივიზიონშია. ანდალუსიურმა კლუბმა ლა ლიგის მომავალი გათამაშების ბოლო ვაკანტური საგზური მოიპოვა პლეი ოფის ფინალში „ელჩეს" ძლევით. საპასუხო მატჩი ვალენსიის მხარეში 1:1 დასრულდა და სწორედ სტუმრად გატანილმა ბურთმა „გრანადა" დააწინაურა. „ოქროს გოლი" 28-ე წუთზე ახალგაზრდა ნიგერიელმა ფორვარდმა **ოდიონ იგჰალომ** გაიტანა, რომელიც „უდინეზეს" საკუთრებაა და ესპანეთში იჯარის წესით თამაშობს. „გრანადას" **ფაბრი გონსალესი** წვრთნის, გუნდმა სეგუნდადივიზიონში მე-5 ადგილი დაიკავა.

„გრანადა" 1931 წელს დაარსდა, თამაშობს „ესტადიო ნუევო ლოს კარმენესზე" (16,5 ათასი მაყურებელი). ლა ლიგაში ორჯერ „გრანა" მე-6 ადგილზე გავიდა (1972, 1974), ხოლო 1959 წელს გუნდმა „სამეფო თასის" ფინალში ითამაშა. ამრიგად, მომავალ პრიმერაში 4-4 კლუბი ეყოლებათ მადრიდსა და ანდალუსიას, 3-3 ვალენსიას და ბასკებს (ბასკთა ქვეყანა, ნავარა), ორი კლუბი კატალონიურია, ასტურიას, კანტაბრიას, არაგონსა და ბალეარებს - თითო.

## გრანდი ვარდება?

არგენტინის ჩემპიონატი წუხელ გვიან დასრულდა, თუმცა „რივერ პლეიტისთვის" მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, როგორ დასრულდებოდა ბოლო ორი შეხვედრა - კლუბმა შინ „ლანუსთან" 1:2 წააგო და „ზონა პრომოსიონში" ანუ გასავარდნ პლეი ოფში თამაში გაინაღდა. ასეთი დამცირება არგენტინული ფეხბურთის ფლაგმანსა და ყველაზე ტიტულოვან კლუბს არასოდეს გადახდომია. „რივერ პლეიტს" „კოპა სუდამერიკანას" უკვე მოპოვებული საგზურიც ჩამოართვეს - ასეთია წესი...

## ჟოზე სქემას ცვლის

„მარკა" ამტკიცებს, რომ მომავალ სეზონში **ჟოზე მოურინიო** 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემას 4-3-3-ზე შეცვლის. მიზეზი კი ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელის **ნური შაჰინის** დამატება ყოფილა. ასე ჟოზე გამოუთავისუფლებს 23 წლის თურქს ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ადგილს სასტარტოში. დაცვის ხაზს ჟოზე არ შეცვლის, ნახევარდაცვაში **სამი ხედირა** მარჯვნივ გადავა, **ჩაბი ალონსო** შუაში ითამაშებს, მარცხნივ კი - შაჰინი. წინა სამი ტრიო ასეთი იქნება: **იოზილი, ბენზემა** და **რონალდო**. ამ განლაგებით **კაკა** და **დი მარია** სათადარიგოთა სკამზე რჩებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ინგლისი. პრემიერლიგა 2011-12 კალენდარი

**I ტური. 13 აგვისტო**

ბლექბერნი-ვულვზი
ფულჰემი-ასტონ ვილა
ლივერპული-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-სუონსი
ნიუკასლი-არსენალი
ქუინზ პარკი-ბოლტონი
სტოკი-ჩელსი
ტოტენჰემი-ევერტონი
ვესტ ბრომვ.-მანჩესტერ იუნ
ვიგანი-ნორვიჩი

**II ტური. 20 აგვისტო**

არსენალი-ლივერპული
ასტონ ვილა-ბლექბერნი
ბოლტონი-მანჩესტერ სიტი
ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი
ევერტონი-ქუინზ პარკი
მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი
ნორვიჩი-სტოკი
სანდერლენდი-ნიუკასლი
სუონსი-ვიგანი
ვულვზი-ფულჰემი

**III ტური. 27 აგვისტო**

ასტონ ვილა-ვულვზი
ბლექბერნი-ევერტონი
ჩელსი-ნორვიჩი
ლივერპული-ბოლტონი
მანჩესტერ იუნ-არსენალი
ნიუკასლი-ფულჰემი
სუონსი-სანდერლენდი
ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი
ვიგანი-ქუინზ პარკი

**IV ტური. 10 სექტემბერი**

არსენალი-სუონსი
ბოლტონი-მანჩესტერ იუნ
ევერტონი-ასტონ ვილა
ფულჰემი-ბლექბერნი
მანჩესტერ სიტი-ვიგანი
ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი
ქუინზ პარკი-ნიუკასლი
სტოკი-ლივერპული
სანდერლენდი-ჩელსი
ვულვზი-ტოტენჰემი

**V ტური. 17 სექტემბერი**

ასტონ ვილა-ნიუკასლი
ბლექბერნი-არსენალი
ბოლტონი-ნორვიჩი
ევერტონი-ვიგანი
ფულჰემი-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-ჩელსი
სანდერლენდი-სტოკი
სუონსი-ვესტ ბრომვიჩი
ტოტენჰემი-ლივერპული
ვულვზი-ქუინზ პარკი

**VI ტური. 24 სექტემბერი**

არსენალი-ბოლტონი
ჩელსი-სუონსი
ლივერპული-ვულვზი
მანჩესტერ სიტი-ევერტონი
ნიუკასლი-ბლექბერნი
ნორვიჩი-სანდერლენდი
ქუინზ პარკი-ასტონ ვილა
სტოკი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ბრომვიჩი-ფულჰემი
ვიგანი-ტოტენჰემი

**VII ტური. 1 ოქტომბერი**

ასტონ ვილა-ვიგანი
ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-ჩელსი
ევერტონი-ლივერპული
ფულჰემი-ქუინზ პარკი
მანჩესტერ იუნ-ნორვიჩი
სანდერლენდი-ვესტ ბრომვ.
სუონსი-სტოკი
ტოტენჰემი-არსენალი
ვულვზი-ნიუკასლი

**VIII ტური. 15 ოქტომბერი**

არსენალი-სანდერლენდი
ჩელსი-ევერტონი
ლივერპული-მანჩესტერ იუნ
მანჩესტ. სიტი-ასტონ ვილა
ნიუკასლი-ტოტენჰემი
ნორვიჩი-სუონსი
ქუინზ პარკი-ბლექბერნი
სტოკი-ფულჰემი
ვესტ ბრომვიჩი-ვულვზი
ვიგანი-ბოლტონი

**IX ტური. 22 ოქტომბერი**

არსენალი-სტოკი
ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი
ბლექბერნი-ტოტენჰემი
ბოლტონი-სანდერლენდი
ფულჰემი-ევერტონი
ლივერპული-ნორვიჩი
მანჩეს. იუნ-მანჩესტერ სიტი
ნიუკასლი-ვიგანი
ქუინზ პარკი-ჩელსი
ვულვზი-სუონსი

**X ტური. 29 ოქტომბერი**

ჩელსი-არსენალი
ევერტონი-მანჩესტერ იუნ
მანჩესტერ სიტი-ვულვზი
ნორვიჩი-ბლექბერნი
სტოკი-ნიუკასლი
სანდერლენდი-ასტონ ვილა
სუონსი-ბოლტონი
ტოტენჰემი-ქუინზ პარკი
ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული
ვიგანი-ფულჰემი

**XI ტური. 5 ნოემბერი**

არსენალი-ვესტ ბრომვიჩი
ასტონ ვილა-ნორვიჩი
ბლექბერნი-ჩელსი
ბოლტონი-სტოკი
ფულჰემი-ტოტენჰემი
ლივერპული-სუონსი
მანჩესტერ იუნ-სანდერლ.
ნიუკასლი-ევერტონი
ქუინზ პარ.-მანჩესტერ სიტი
ვულვზი-ვიგანი

**XII ტური. 19 ნოემბერი**

ჩელსი-ლივერპული
ევერტონი-ვულვზი
მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი
ნორვიჩი-არსენალი
სტოკი-ქუინზ პარკი
სანდერლენდი-ფულჰემი
სუონსი-მანჩესტერ იუნ
ტოტენჰემი-ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი
ვიგანი-ბლექბერნი

**XIII ტური. 26 ნოემბერი**

არსენალი-ფულჰემი
ბოლტონი-ევერტონი
ჩელსი-ვულვზი
ლივერპული-მანჩესტ. სიტი
მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი
ნორვიჩი-ქუინზ პარკი
სტოკი-ბლექბერნი
სანდერლენდი-ვიგანი
სუონსი-ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი

**XIV ტური. 3 დეკემბერი**

ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ
ბლექბერნი-სუონსი
ევერტონი-სტოკი
ფულჰემი-ლივერპული
მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი
ნიუკასლი-ჩელსი
ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვ.
ტოტენჰემი-ბოლტონი
ვიგანი-არსენალი
ვულვზი-სანდერლენდი

**XV ტური. 10 დეკემბერი**

არსენალი-ევერტონი
ბოლტონი-ასტონ ვილა
ჩელსი-მანჩესტერ სიტი
ლივერპული-ქუინზ პარკი
მანჩესტერ იუნ-ვულვზი
ნორვიჩი-ნიუკასლი
სტოკი-ტოტენჰემი
სანდერლენდი-ბლექბერნი
სუონსი-ფულჰემი
ვესტ ბრომვიჩი-ვიგანი

**XVI ტური. 17 დეკემბერი**

ასტონ ვილა-ლივერპული
ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი
ევერტონი-ნორვიჩი
ფულჰემი-ბოლტონი
მანჩესტერ სიტი-არსენალი
ნიუკასლი-სუონსი
ქუინზ პარკი-მანჩესტერ იუნ
ტოტენჰემი-სანდერლენდი
ვიგანი-ჩელსი
ვულვზი-სტოკი

**XVII ტური. 20 დეკემბერი**

ტოტენჰემი-ჩელსი
ვიგანი-ლივერპული
ვულვზი-ნორვიჩი
ქუინზ პარკი-სანდერლენდი
ასტონ ვილა-არსენალი
მანჩესტერ სიტი-სტოკი
ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი
ბლექბერნი-ბოლტონი
ევერტონი-სუონსი
ფულჰემი-მანჩესტერ იუნ

**XVIII ტური. 26 დეკემბერი**

არსენალი-ვულვზი
ბოლტონი-ნიუკასლი
ჩელსი-ფულჰემი
ლივერპული-ბლექბერნი
მანჩესტერ იუნ-ვიგანი
ნორვიჩი-ტოტენჰემი
სტოკი-ასტონ ვილა
სანდერლენდი-ევერტონი
სუონსი-ქუინზ პარკი
ვესტ ბრომვ.-მანჩესტერ სიტი

**XIX ტური. 31 დეკემბერი**

არსენალი-ქუინზ პარკი
ბოლტონი-ვულვზი
ჩელსი-ასტონ ვილა
ლივერპული-ნიუკასლი
მანჩესტერ იუნ-ბლექბერნი
ნორვიჩი-ფულჰემი
სტოკი-ვიგანი
სანდერლ.-მანჩესტერ სიტი
სუონსი-ტოტენჰემი
ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი

**XX ტური. 2 იანვარი**

ასტონ ვილა-სუონსი
ბლექბერნი-სტოკი
ევერტონი-ბოლტონი
ფულჰემი-არსენალი
მანჩესტ. სიტი-ლივერპული
ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ
ქუინზ პარკი-ნორვიჩი
ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი
ვიგანი-სანდერლენდი
ვულვზი-ჩელსი

**XXI ტური. 14 იანვარი**

ასტონ ვილა-ევერტონი
ბლექბერნი-ფულჰემი
ჩელსი-სანდერლენდი
ლივერპული-სტოკი
მანჩესტერ იუნ-ბოლტონი
ნიუკასლი-ქუინზ პარკი
სუონსი-არსენალი
ტოტენჰემი-ვულვზი
ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი
ვიგანი-მანჩესტერ სიტი

**XXII ტური. 21 იანვარი**

არსენალი-მანჩესტერ იუნ
ბოლტონი-ლივერპული
ევერტონი-ბლექბერნი
ფულჰემი-ნიუკასლი
მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი
ნორვიჩი-ჩელსი
ქუინზ პარკი-ვიგანი
სტოკი-ვესტ ბრომვიჩი
სანდერლენდი-სუონსი
ვულვზი-ასტონ ვილა

**XXIII ტური. 31 იანვარი**

სანდერლენდი-ნორვიჩი
სუონსი-ჩელსი
ტოტენჰემი-ვიგანი
ვულვზი-ლივერპული
ბოლტონი-არსენალი
მანჩესტერ იუნ-სტოკი
ასტონ ვილა-ქუინზ პარკი
ბლექბერნი-ნიუკასლი
ევერტონი-მანჩესტერ სიტი
ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი

**XXIV ტური. 4 თებერვალი**

არსენალი-ბლექბერნი
ჩელსი-მანჩესტერ იუნ
ლივერპული-ტოტენჰემი
მანჩესტერ სიტი-ფულჰემი
ნიუკასლი-ასტონ ვილა
ნორვიჩი-ბოლტონი
ქუინზ პარკი-ვულვზი
სტოკი-სანდერლენდი
ვესტ ბრომვიჩი-სუონსი
ვიგანი-ევერტონი

**XXV ტური. 11 თებერვალი**

ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი
ბლექბერნი-ქუინზ პარკი
ბოლტონი-ვიგანი
ევერტონი-ჩელსი
ფულჰემი-სტოკი
მანჩესტერ იუნ-ლივერპული
სანდერლენდი-არსენალი
სუონსი-ნორვიჩი
ტოტენჰემი-ნიუკასლი
ვულვზი-ვესტ ბრომვიჩი

**XXVI ტური. 25 თებერვალი**

არსენალი-ტოტენჰემი
ჩელსი-ბოლტონი
ლივერპული-ევერტონი
მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი
ნიუკასლი-ვულვზი
ნორვიჩი-მანჩესტერ იუნ
ქუინზ პარკი-ფულჰემი
სტოკი-სუონსი
ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი
ვიგანი-ასტონ ვილა

**XXVII ტური. 3 მარტი**

ბლექბერნი-ასტონ ვილა
ფულჰემი-ვულვზი
ლივერპული-არსენალი
მანჩესტერ სიტი-ბოლტონი
ნიუკასლი-სანდერლენდი
ქუინზ პარკი-ევერტონი
სტოკი-ნორვიჩი
ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი
ვიგანი-სუონსი

**XXVIII ტური. 10 მარტი**

არსენალი-ნიუკასლი
ასტონ ვილა-ფულჰემი
ბოლტონი-ქუინზ პარკი
ჩელსი-სტოკი
ევერტონი-ტოტენჰემი
მანჩესტერ იუნ-ვესტ ბრომვიჩი
ნორვიჩი-ვიგანი
სანდერლენდი-ლივერპული
სუონსი-მანჩესტერ სიტი
ვულვზი-ბლექბერნი

**XXIX ტური. 17 მარტი**

ასტონ ვილა-ბოლტონი
ბლექბერნი-სანდერლენდი
ევერტონი-არსენალი
ფულჰემი-სუონსი
მანჩესტერ სიტი-ჩელსი
ნიუკასლი-ნორვიჩი
ქუინზ პარკი-ლივერპული
ტოტენჰემი-სტოკი
ვიგანი-ვესტ ბრომვიჩი
ვულვზი-მანჩესტერ იუნ

**XXX ტური. 24 მარტი**

არსენალი-ასტონ ვილა
ბოლტონი-ბლექბერნი
ჩელსი-ტოტენჰემი
ლივერპული-ვიგანი
მანჩესტერ იუნ-ფულჰემი
ნორვიჩი-ვულვზი
სტოკი-მანჩესტერ სიტი
სანდერლენდი-ქუინზ პარკი
სუონსი-ევერტონი
ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი

**XXXI ტური. 31 მარტი**

ასტონ ვილა-ჩელსი
ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ
ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი
ფულჰემი-ნორვიჩი
მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი
ნიუკასლი-ლივერპული
ქუინზ პარკი-არსენალი
ტოტენჰემი-სუონსი
ვიგანი-სტოკი
ვულვზი-ბოლტონი

**XXXII ტური. 7 აპრილი**

არსენალი-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-ფულჰემი
ჩელსი-ვიგანი
ლივერპული-ასტონ ვილა
მანჩესტერ იუნ-ქუინზ პარკი
ნორვიჩი-ევერტონი
სტოკი-ვულვზი
სანდერლენდი-ტოტენჰემი
სუონსი-ნიუკასლი
ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი

**XXXIII ტური. 9 აპრილი**

ასტონ ვილა-სტოკი
ბლექბერნი-ლივერპული
ევერტონი-სანდერლენდი
ფულჰემი-ჩელსი
მანჩესტ. სიტი-ვესტ ბრომვიჩი
ნიუკასლი-ბოლტონი
ქუინზ პარკი-სუონსი
ტოტენჰემი-ნორვიჩი
ვიგანი-მანჩესტერ იუნ
ვულვზი-არსენალი

**XXXIV ტური. 14 აპრილი**

არსენალი-ვიგანი
ბოლტონი-ტოტენჰემი
ჩელსი-ნიუკასლი
ლივერპული-ფულჰემი
მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა
ნორვიჩი-მანჩესტერ სიტი
სტოკი-ევერტონი
სანდერლენდი-ვულვზი
სუონსი-ბლექბერნი
ვესტ ბრომვიჩი-ქუინზ პარკი

**XXXV ტური. 21 აპრილი**

არსენალი-ჩელსი
ასტონ ვილა-სანდერლენდი
ბლექბერნი-ნორვიჩი
ბოლტონი-სუონსი
ფულჰემი-ვიგანი
ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერ იუნ-ევერტონი
ნიუკასლი-სტოკი
ქუინზ პარკი-ტოტენჰემი
ვულვზი-მანჩესტერ სიტი

**XXXVI ტური. 28 აპრილი**

ჩელსი-ქუინზ პარკი
ევერტონი-ფულჰემი
მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ
ნორვიჩი-ლივერპული
სტოკი-არსენალი
სანდერლენდი-ბოლტონი
სუონსი-ვულვზი
ტოტენჰემი-ბლექბერნი
ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა
ვიგანი-ნიუკასლი

**XXXVII ტური. 5 მაისი**

არსენალი-ნორვიჩი
ასტონ ვილა-ტოტენჰემი
ბლექბერნი-ვიგანი
ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი
ფულჰემი-სანდერლენდი
ლივერპული-ჩელსი
მანჩესტერ იუნ-სუონსი
ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი
ქუინზ პარკი-სტოკი
ვულვზი-ევერტონი

**XXXVIII ტური. 13 მაისი**

ჩელსი-ბლექბერნი
ევერტონი-ნიუკასლი
მანჩესტერ სიტი-ქუინზ პარკი
ნორვიჩი-ასტონ ვილა
სტოკი-ბოლტონი
სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ
სუონსი-ლივერპული
ტოტენჰემი-ფულჰემი
ვესტ ბრომვიჩი-არსენალი
ვიგანი-ვულვზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალენდარი

# მანჩესტერ იუნაიტედის კოშმარი



ალექს ფერგიუსონი

ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მომავალი სეზონის დასაწყისი ნამდვილი კოშმარული აქვს. მიმომხილველები, რომლებიც 2011-12 წლების კალენდრის ანალიზს ცდილობენ, იხსენებენ, რომ სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი ტრადიციულად მძიმედ იწყებს და ასკვნიან, რომ მას ეს წლეულს, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს — ერთია, როდესაც კალენდარი გინდობს და მეორე, როდესაც პირველივე ტურებში რთული ბრძოლები გელის. თუმცა, კომპიუტერმა მხოლოდ „იუნაიტედი“ როდი გაიმეტა. ასე მაგალითად, „ტოტენჰემი“ სანყის შვიდ შეხვედრაში ოთხ კონკურენტს ხვდება. როგორ შეხვდა ამ ამბავს „დეზების“ თავკაცი **ჰარი რედნაპი**?

„რაც მწვრთნელად ვმუშაობ, ასეთი რთული დასაწყისი მგონი არც კი მქონია“ — ამბობს საქმეში ჭიპმოჭრილი სპეციალისტი.

არც „არსენალს“ უდგას დალხენილი ცხოვრება. **არსენ ვენგერის** ხალხს, პირველ კვირებში, შიდა თუ საერთაშორისო ასპარეზზე ტყავიდან გამოძრომა მოუწევთ.

მიმომხილველები წერენ, რომ გასულ ჩემპიონატში პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლას მაისიდან სამი გუნდიღა შემორჩა — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჯილდო ბოლოსწინა ტურში დაისაკუთრა. ვითომ, მომავალში იგივე გამეორდება? ზოგი მიმომხილველი წერს, რომ ამჯერად, ბევრი რამ, შესაძლოა, გაცილებით ადრე გაირკვეს. ეს კი ძალიან იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ითამაშებს „ჩელსი“. „ლურჯების“ მომავალ მწვრთნელ **გუს ჰიდინკს** შეხვედრათა შესანიშნავი განრიგი ერგო. ფაქტია: „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ჩელსის“ კალენდარი ორი რადიკალურად განსხვავებული რამ გახლავთ. ფერგიუსონის ბიჭებს პირველ ცხრა ტურში ხუთ კონკურენტთან ელით დაპირისპირება — თუმცა, რასაკვირველია, ყველაფერი პირობითია. ჯობს დავაყოლოთ, რომ ეს ხუთი გუნდი „იუნაიტედს“ მეტ-ნაკლებ კონკურენციას გასულ სეზონში უწევდნენ, თორემ ვინ იცის, მომავალ ჩემპიონატში რა მოხდება.

ჩემპიონი სეზონს 13 აგვისტოს, „ვესტ ბრომვიჩთან“ შეხვედრით იწყებს, მაგრამ შემდეგ, სანაკრებო შესვენებამდე, ზედიზედ მასპინძლობს „ტოტენჰემ ჰოთსპურსა“ და „არსენალს“. და როდის შეხვდება „იუნაიტედს“ „ჩელსი“? ეს თამაში 17 სექტემბერს „ოცნებათა თეატრში“ ანუ „ოლდ ტრეფორდზეა“ დანიშნული.

კიდევ ერთი ურთულესი მონაკვეთი სერ ალექსსა და მის ამალას ოქტომბრის შუაში აქვს. 15 ოქტომბერს მათ „ენფილდ როუდზე“ **კენი დალგლიშის** „ლივერპულთან“ ელით ურთიერთობის გარკვევა, შვიდ დღეში კი მანჩესტერული დერბია — შეხვედრას „იუნაიტედი“ მასპინძლობს.

ზემოთ „ტოტენჰემი“ ვახსენეთ და, სავარაუდოდ, ინგლისის ჩემპიონზე რთულ დღეში ის არის. „სფურზს“ პირველი თამაში „ევერტონთან“ აქვს (კაცმა რომ თქვას, არც ეს უნდა იყოს იოლი შეხვედრა), შემდეგ კი ზედიზედ ორ მანჩესტერულ გუნდთან უწევს ჭიდაობა: სტუმრად „იუნაიტედთან“ და შინ „სიტისთან“. 17 სექტემბერს რედნაპის შეგირდებს „უაით ჰართ ლეინზე“ „ლივერპული“ ჩააკითხავს, 1 ოქტომბერს კი ჩრდილოლონდონური დერბია — „არსენალი“ მოდის სტუმრად. ისევ რედნაპი:

*„ამაზე რთული რა უნდა იყოს. „ევერტონი“ მებრძოლი გუნდია და მისი დამარცხება ყოველთვის ძნელია, მერე კი „ოლდ ტრეფორდზე“ „იუნაიტედთან“ გვიწევს შეხვედრა, რასაც კომენტარი არ სჭირდება. არც შინ „სიტისთან“ შეხვედრაა იოლი. თუმცა, საკითხს მეორენაირადაც შეიძლება შევხედოთ. ჩვენ დიდებული თამაშები გველის. ამაზე საინტერესო რაღა უნდა ინატროს გუნდმა. განსაკუთრებით, საშინაო შეხვედრებს ველი მოუთმენლად. გადაჭედილ „უაით ჰართ ლეინზე“ დიდი ამბები დატრიალდება“.*

„არსენალი“, რომელსაც 2005 წლის შემდეგ ტიტული არ მოუგია, ორ ცეცხლს შუაა. ერთი მხრივ პრემიერლიგა, მეორე მხრივ კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრები — ამბიციურ „მეთოფეებს“ ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა სჭირდებათ.

ვენგერის ხალხს პირველი თამაში ნიუკასლში, „კაჭკაჭებთან“ ელით. ეს ის გუნდია, რომელთანაც „არსენალს“ გასულ სეზონში დაუვიწყარი ლაფსუსი მოუვიდა — 4:0-ს იგებდა და 4:4 დაამთავრა. შემდეგ კი ერთმანეთს მოსდევს ურთულესი თამაშები შინ „ლივერპულთან“ და სტუმრად „მანჩესტერ იუნაიტედთან“. არც ოქტომბერი ჩანს „მეთოფეთათვის“ იოლი: „ტოტენჰემთან“ თამაშზე ზემოთ მოგახსენეთ და ამას „ჩელსისთან“ ურთიერთობის გარკვევა ემატება.

ვერ გეტყვით, რამდენად შეიძლება ტიტულის კანდიდატი ვუწოდოთ „ლივერპულს“, მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ „კოპის მეფე კენი“ „წითლებს“ ოქროზე დაგეშავს, მაშინ მათ ცუდი კალენდარი არ აქვთ - ოქტომბრის ბოლომდე პოტენციურ კონკურენტთაგან მხოლოდ სამს, „არსენალს“, „სპურზსა“ და „იუნაიტედს“ ხვდება. პირველ დღეს მერსისაიდელები „სანდერლენდს“ ხვდებიან, მეორე ტურში კი „ემირეიტზე“ მიდიან არსენალთან ძალების შესამოწმებლად. „წითლების“ კაპიტანი, **სტივენ ჯერარდი** ამბობს:

*„თუ პრეტენზია გაქვს, თავიდანვე ყოჩაღად უნდა დაიწყო. პირველ ტურებში ფეხის დაცდენა გამორიცხულია. მეორე მხრივ, „არსენალთან“ თამაში დიდი გამოცდაა. იმედი მაქვს, რომ მანამდე რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს დავიმატებთ და „სანდერლენდთანვე“ გავიმარჯვებთ. პირველ ტურში მოგება „არსენალთან“ თამაშის წინ საკუთარი თავის რწმენას მოგვცემს“.*

ბოლოს კი მესამე ადგილზე გასულ „მანჩესტერ სიტიზეც“ ვთქვათ: ისტლენდელები პირველ სამ თვეში ექვსეულის გუნდებს მხოლოდ ორჯერ ხვდებიან, თუმცა, კალენდარმა **რობერტო მანჩინის** გუნდს სხვა უხერხულობა შეუქმნა: ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ყოველი თამაშის შემდეგ „სიტის“ პრემიერლიგაში გასვლა აქვს — შინ ვერ ბრუნდება ხეირიანად დასასვენებლად.

● ტოტენჰემ ჰოთსპური

# მოდრიჩი დაილუკა?

გასულ უქმეებზე **ლუკა მოდრიჩის** თავს დიდი ამბები დატრიალდა — ჯერ თავად თქვა, „ტოტენჰემიდან“ „ჩელსიში“ გადასვლა მინდაო, რასაც ისეთი ეფექტი ჰქონდა, სჯობდა ყუმბარა გამსკდარიყო, მერე კი „დეზების“ თავმჯდომარემ, **დენიელ ლივიმ** განაცხადა, რომც მომკლათ, 25 წლის ხორვატს არ გავყიდიო. რასაკვირველია, მოდრიჩმა კარგად იცოდა, რომ რისკავდა. ის „უაით ჰართ ლეინზე“ გმირად მიაჩნიათ და სხვაგან გადასვლის სურვილი კლუბშიც და ტრიბუნებზეც, შესაძლოა, ღალატად ჩამოართვან. „ჩელსიში“ რომ ვერ გადავიდესმ მოდრიჩს „შებღალული“ სახელით მოუწევს „სფურზში“ კარიერის გაგრძელება, მაგრამ მეორე მხრივ, საჯაროობა ხომ კლუბზე ზეწოლის ნაირსახეობაა.

*„ახლა „ტოტენჰემის“ თავმჯდომარეს უნდა შევხვდე. როდესაც კონტრაქტს ხელს ვაწერდით, შევთანხმდით, რომ თუ სხვა კლუბი გამოჩნდებოდა, ის შემოთავაზებას ბრმად არ უარყოფდა და განიხილავდა“.*

„ჩელსიმ“, „ტოტენჰემს“ თავიდან 22 მილიონი ფუნტი შესთავაზა, რაც რედნაპს სიცილად არ ეყო. მეორე წინადადება უკვე 30 მილიონი გახდა.

*„მე მინდა გადავიდე „ჩელსიში“, რომელსაც ამბიციური მეპატრონე ჰყავს. „ლურჯებს“ პრემიერლიგის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება უნდათ. თან, „ჩელსიში“ გადასვლა ლონდონში დარჩენას ნიშნავს. მე მიყვარს ეს ქალაქი. ინგლისის დედაქალაქში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ასევე არიან ჩემი ოჯახის სხვა წევრებიც“.*

გაზეთები წერენ, რომ ხორვატის ეს ნათქვამი ნათელს ჰფენს, რატომ არ იაქტიურეს უფრო მეტად მანჩესტერის გუნდებმა, „იუნაიტედმა“ და „სიტიმ“, რომელთაც ასევე სურთ მოდრიჩის ყიდვა. თურმე, ფეხბურთელს ლონდონიდან წასვლა არ უნდა და მათ ეს, სავარაუდოდ, იცოდნენ.

*„არანაირი სურვილი არ მაქვს „ტოტენჰემთან“ ურთიერთობა გავიფუჭო. აქ სასიამოვნო წლები გავატარე და გულშემატკივრისთვისაც მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ასეა: მოთამაშეები კლუბებს ტოვებენ და არა იმიტომ, რომ იქაურობა არ მოსწონთ, არამედ მხოლოდ საფეხბურთო მიზეზების გამო. ასეთი რამ არც „ტოტენჰემისთვის“ არის უცხო. რა არის გასაკვირი, თუკი უფრო დიდ კლუბში მინდა გადასვლა? მოკლედ, მე თავმჯდომარეს დაველაპარაკები, ოღონდ ტრანსფერს არ ვთხოვ, ეს ჩემი მხრიდან ულირსი საქციელი იქნებოდა. იმედი მაქვს, რომ „ჩელსი“ ყველა მხარისთვის მისაღებ წინადადებას იტყვის და კლუბები ბუნებრივად, თავად შეთანხმდებიან ყველაფერზე“* — დააგვირგვინა მოდრიჩმა, რომელიც ამჟამად შვებულებაშია.

„სფურზის“ თავმჯდომარე დენიელ ლივიმ მოდრიჩის გაყიდვაზე ამთავითვე უარი განაცხადა.

*„მინდა ყველას გასაგონად კიდევ ერთხელ, ძალიან მკაფიოდ ვთქვა, რომ ამ ზაფხულს ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვას არ ვაპირებთ. ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ. მომავლის „ტოტენჰემი“ უდიდეს მიზნებს დაისახავს და ამისათვის მაღალი დონის ფეხბურთელები გვჭირდება. მოდრიჩს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, რაც არ უნდა შემომთავაზონ მის სანაცვლოდ, არ გავყიდი. „ჩელსის“ ჩვენი პოზიცია წერილობითი ფორმით გავუგზავნე. რატომღაც, ამ კლუბისთვის ეს საკმარისი არ არის. ვიმეორებ: მოდრიჩი არ იყიდება! თემას დახურულად ვაცხადებ!“*



ლუკა მოდრიჩი

● ასტონ ვილა

# დიდი ეკის დიდი ჩეკი

მაშ, **ალექს მაკლიში** „ბირმინგემ სიტიდან“ „ასტონ ვილაში“ რატომ გაიქცაო, არა? იმიტომ, ბატონებო, რომ მისი შემოსავალი ორნახევარჯერ გაიზარდა. ბირმინგემის მეორე კლუბმა დიდ ეკად წოდებულ შოტლანდიელს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და წელიწადში 2 მილიონი ფუნტი დაუნიშნა, „ლურჯები“ კი იმის გამო, რომ პრემიერლიგიდან ჩემპიონშიფში გავარდნენ, მწვრთნელს გასამრჯელოს 800 000-მდე უმცირებდნენ. ხელფასის ასეთი მომატება ნამდვილად საოცნებოა. ასეთი რამის გამო კაცმა, როგორც ჩანს, ყველაფერი უნდა აიტანო — მოგეხსენებათ, მაკლიშის „ვილას“ მწვრთნელად დანიშვნას თვით „ვილას“ ფანები აპროტესტებდნენ. მათ გამოსვლებიც კი მოაწყვეს და როგორ არ ლანძღეს ქალაქის მეორე ბოლოდან გამოპარული, მაგრამ დიდი ეკი პირობას დებს, რომ გუნდს საუცხოოდ აათამაშებს და ამ ხალხს გააჩუმებს.



*„ვიცი, ზოგიერთმა ჩვენმა ფანმა ეჭვი გამოთქვა და ისიც ვიცი რატომაც, მაგრამ ახლა ჯერი ჩემზეა. მე ამ ხალხს უნდა დავუმტკიცო, რომ სწორედ ის კაცი ვარ, რომელსაც „ასტონ ვილას“ გაძლიერება შეუძლია. ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ მუშაობას ჩვენი გუნდის ნიჭიერი და მონდომებული ფეხბურთელების ჯგუფთან. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ პირველი, რაც გავაკეთე, ბოდიმურ ჰითის საწვრთნელი ბაზის დათვალიერება იყო. აღფრთოვანებული დავრჩი. ინფრასტრუქტურა შესანიშნავია. მზად ვარ თავით გადავეშვა საქმეში. მინდა მალე დავიწყოთ სეზონისთვის მზადება. ახლა საქმე ფეხბურთის თამაშზეღაა მიმდგარი“.*

დიდ ეკს მხარი „ვილას“ 24 წლის ფორვარდმა **გებრიელ აგბონლაჰორმა** დაუჭირა. მან თქვა, რომ ფეხბურთელები ერთხმად ამოუდგებიან მაკლიშს მხარში.

*„ახალ ცხოვრებას ვიწყებთ და ეს ძალიან კარგია. მაკლიშის მოსვლას მივესალმებით, რადგან ის ძალიან კარგი მწვრთნელია. გადახედეთ მის შედეგებს „რეინჯერსსა“ და შოტლანდიის ნაკრებში. მისი ხელმძღვანელობით გუნდები ყოველთვის კარგად გამოდიოდნენ. მისი ხელმძღვანელობით „ბირმინგემი“ გარკვეული სტილით თამაშობდა და ჩვენი ფანები ნერვიულობენ, მაკლიშმა იგივე სტილი „ვილაშიც“ რომ არ გადმოიტანოს, მაგრამ ეს გამორიცხულია, რადგან „ვილა“ სხვა გზას ადგას. ჩვენ ბევრი ნიჭიერი შემტევი ფეხბურთელი გვყავს და შესაბამისად შემტევი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ. მინდა ვთხოვო გულშემატკივრების იმ ნაწილს, ვინც მაკლიშის მოსვლას ეწინააღმდეგება, მისცენ მას დრო და შედეგის მიხედვით განსაჯონ“.*

შეგახსენებთ, რომ „ასტონ ვილას“ გასულ სეზონში ერთობ თავისებური მდგომარეობა ჰქონდა. ჯერ იყო და, ჩემპიონატის დაწყებიდან ხუთ დღეში **მარტინ ო'ნილი** მოხსნეს თანამდებობიდან, შემდეგ კი მის ნაცვლად ფრანგი **ჟერარ ულიე** მიიყვანეს, რომელმაც მაინცდამაინც ვერ ააწყო საქმე, ბოლოს კი ავადაც გახდა და სამსახური დატოვა. 52 წლის მაკლიში განაგრძობს:

*„იმ დღეს, როდესაც შვებულებები დასრულდება და ფეხბურთელები ბაზაზე დაბრუნდებიან, დაიწყება ჩვენი დიდი თავგადასავალი. ჩემთვის დიდი პატივია ისეთი კლუბის მწვრთნელად მუშაობა, როგორიც „ასტონ ვილაა“.*

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში მაკლიშმა „ბირმინგემ სიტის“ ინგლისის ლიგის თასი მოაგებინა, თუმცა ამ დიდ წარმატებას დიდი იმედგაცრუებაც მოჰყვა — დიდ ეკს გუნდი პრემიერლიგიდან გაუვარდა. „ლურჯების“ ხელმძღვანელებს დღემდე ეჭვი აქვთ, რომ სამწელიწადნახევრიანი თანამშრომლობის შემდეგ მაკლიშის ასეთი ნაუცბათევი გაქცევა „ასტონ ვილას“ წაქეზებული იყო. ბოლო ინფორმაციით, თითქოს საქმე ჩაფარცხული იყო, მაგრამ როგორც ირკვევა, „ბირმინგემ სიტის“ თავმჯდომარე კვლავ ცდილობს საქმის გამოძიებას და ადვოკატები ჰყავს დაქირავებული.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

● ევროპის ჩემპიონატი. U 21. III ტურის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს შვეიცარია რა ყოფილა!

## როგორ დაინგრა ინგლისური ოცნება წამებში

ეს ის შვეიცარიის ნაკრებია, რომელსაც ოთარ გაბელიას გუნდი საკვალიფიკაციო ჯგუფში ტოლ-სწორად ებრძოლა. ჩვენებურებმა 2009 წლის ნოემბერში ალპებში მარიო გავრანოვიჩის ერთადერთი გოლის წყალობით მოგვიგეს, შარშან მაისში კი თბილისში 0:0 ვეთამაშეთ. ახლა პიერლუიჯი ტამის გუნდი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე იოლად უმკლავდება მეტოქეებს და უკვე ნახევარფინალშია.

იმის გამო, რომ ინგლისის ნაკრები ვერ გავიდა ნახევარფინალში, ლონდონის ოლიმპიადის 3 საგზურის მფლობელის ვინაობა (ინგლისელებს მასპინძლობის გამო ისედაც აქვთ) ვერ გადაწყდა. ახლა ნახევარფინალში დამარცხებულები ერთმანეთს მე-3 ადგილისთვის კი არა, არამედ ოლიმპიადის საგზურისთვის შეებრძოლებიან. ნახევარფინალები კი ასეთია: შვეიცარია-ჩეხეთი და ესპანეთი-ბელარუსი.



შვეიცარიელები მეჰმედის გოლს ზეიმობენ

### A ჯგუფი

ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ კურიოზული სიტუაცია შეიქმნა - ერთბაშად სამმა გუნდმა დააგროვა 3-3 ქულა დააგროვა ბურთების ერთნაირი სხვაობით (3-5). და, რა გამოდის? ნახევარფინალში ის გუნდი გავიდა, რომელმაც ყველაზე დიდი ანგარიშით წააგო პირველადგილოსან შვეიცარიასთან! აპრობირებული, მაგრამ ცოტა არ იყოს, უსამართლო წესია. ისე, დანიელებმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ - შინაურ ასპარეზზე, ამდენი მაყურებლის თვალწინ, როგორ შეიძლებოდა დებიუტანტ ისლანდიასთან წაგება, და თან ასეთი ანგარიშით?



ისლანდიამ დამსახურებულად იმარჯვა

**შვეიცარია-ბელარუსი 3:0**

**შვეიცარია (4-1-4-1):** ზომერი - კოხი, კლოზე, როსინი, ბერარდი (75. დაპრელა) - ლუშტენბერგერი - შაჩირი, ჯაკა (52. აბრაში), ფრაი, ემეგარა (65. ფელტშერი) - მეჰმედი.

**ბელარუსი (4-4-2):** გუტორი - ვერეტილო, ფილიპენკო, პოლიაკოვი, მატვეიჩიკი - ნეხაიჩიკი, დრაგუნი, სივაკოვი, პერეპეჩკო (46. ხვოშჩინსკი (70. გაიდუჩიკი)) - ბაგა, სკავიში (54. ვორონკოვი).

**გოლები:** 1:0 მეჰმედი (5-პენ), 2:0 მეჰმედი (43), 3:0 ფელტშერი (93)

**გაძევება:** მატვეიჩიკი (68)



**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
ადმირ მეჰმედი (შვეიცარია)

**ისლანდია-დანია 3:1**

**ისლანდია (4-1-4-1):** ბიორნსონი - იონსონი, ეიოლფსონი, ფიოლუსონი, ვალგარდსონი - ა. გუნარსონი - გისლასონი (68. სიგურდარსონი), ბიარნასონი (79. სმარასონი), სიგურდსონი, გუდმუნდსონი - სიგტორსონი.

**დანია (4-1-4-1):** ანდერსენი - ვასი (78. მ. ნიელსენი), მ. იორგენსენი, ბიელანდი, ბოილესენი - პოვლსენი - კადრიი, ერიქსენი, იენსენი (88. აგერი), ნ. იორგენსენი - ნ. ნიელსენი.

**გოლები:** 1:0 სიგტორსონი (58), 2:0 ბიარნასენი (60), 2:1 კადრიი (81), 3:1 ვალგარდსონი (92)



**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
კოლბეინ სიგტორსონი (ისლანდია)

ორჰუსში თამაშის შემდეგ ორივე გუნდი ზეიმობდა - 3:0-ის მომგები შვეიცარიაც და დიდი ანგარიშით განადგურებული ბელარუსიც, ჯგუფის მეორე მატჩიდან სლავებისთვის „ჩიტს“ დიდებული ამბები მოჰქონდა. ასე რომ, ისლანდიელთა კარის გაჯახუნებით ბელარუსებმა ისარგებლეს. არადა, შვეიცარიასთან მატჩში საერთოდ ვერაფერი აჩვენეს.



ინგლისელთა ზეიმი ნაადრევი გამოდგა

პიერლუიჯი ტამის ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს, რომელიც უპირველესად გუნდური თამაშით გამოირჩევა და დაცვაში უშეცდომოა (ევროპის ჩემპიონატზე ჯერ გოლი არ გაუშვია). ამასთან, ტამის გუნდის დიდი უპირატესობა ისიცაა, რომ აწყობილი მექანიზმის იქით, მათ მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალისტებიც ჰყავთ.

ტამიმ ბელარუსებთან მატჩში მარიო გავრანოვიჩი **ადმირ მეჰმედით** შეცვალა და არც ინანა, მეჰმედიმ დიდებულად ითამაშა და დუბლი შეასრულა. ერთი გოლიც შეცვლაზე შესულმა **ფრანკ ფელტშერმა** დაამატა.

პირველი გოლი შვეიცარიელთა ლიდერის, **ჯერდან შაჩირის** მახვილგონივრული თამაშის წყალობით გავიდა, მისი დიდებული პასის შემდეგ საჯარიმოში **ინოსენტ ემეგარა** შეიჭრა და **ოლეგ ვერეტილო** იძულებული გახდა მეტოქე წესების დარღვევით შეეშერებინა. პენალტის ნიშნულიდან მეჰმედიმ მეკარე ერთ კუთხეში გააგზავნა, ბურთი კი - საპირისპიროში.

მეორე გოლი ბელარუსთა შეცდომის გამო გავიდა, **ფილიპენკომ** ბურთი ისე მოიგერია, პირდაპირ **ჯაკას** მიუვიდა, ალბანური წარმოშობის ნახევარმცველმაც უმალ მოძებნა მეჰმედი - 2:0.

ბელარუსთა იმედები 68-ე წუთზე დასამარდა, როცა **სერგეი მატვეიჩიკმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და სლავები 10 კაცის ამარა დარჩნენ. ახლა მათი იმედი მხოლოდ ოლბორგის სტადიონზე განვითარებული მოვლენები იყო. ამიტომაც არც ფელტშერის გოლს შეუწუხებია ისინი დიდად, რადგან ოლბორგიდან მათთვის გასაოცარი ამბავი მოვიდა - 3:0.

**პიერლუიჯი ტამი** (შვეიცარიის მწვრთნელი): *„მოხარულები ვართ, რომ ჩვენი პირველი ამოცანა ამ ტურნირზე შევასრულეთ - სავსებით დამსახურებულად გავედით ნახევარფინალში. ახლა ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ჩვენ წინ დიდი შესაძლებლობაა და მინდა, ეს შანსი გამოვიყენოთ და ფინალში გავიდეთ. სამწუხაროდ, ნახევარფინალში დისკვალიფიკაციის გამო გრანიტ ჯაკა ვერ დაგვეხმარება, თუმცა ჩვენ 23-კაციანი შემადგენლობა გვყავს და ყველას შეცვლა შეგვიძლია“.*

**გეორგი კონდრატიევი** (ბელარუსის მწვრთნელი): *„ადრეც მითქვამს, რომ უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით. ამ შეხვედრაშიც კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ორი სულელური შეცდომის გამო დავისაჯეთ. შემდეგ კიდევ იყო გაძევება, რომელიც არცთუ დამსახურებული მგონია. ამდენი მიზეზის შემდეგ უბრალოდ ძნელი იყო შვეიცარიის ტექნიკურ ნაკრებთან თანაბრად თამაში. ამის შემდეგ მხოლოდ ოლბორგის იმედად ვიყავით და ძალიან გაგვიმართლა - მადლობა ისლანდიას! ახლა კარგად უნდა გავაანალიზოთ ჯგუფური ეტაპი, დაცვას უნდა მივხედოთ“.*

ისლანდიამ დანიას სირცხვილი აჭამა - ოლბორგში 3:1 მოუგო, მართალია, ეს ნახევარფინალში გასასვლელად არ ეყო, მაგრამ ახალგაზრდული ჩემპიონატების დებიუტანტი ნაკრები შინ თავაწეული მიდის.

პირველ ტაიმში ცოცხალი თამაში გაჩაღდა, თუმცა სველი მოედანი მცველებს საიმედოდ თამაშის საშუალებას არ აძლევდა. ამის გამო ორივე ნაკრებს ძალიან უჭირდა. მე-20 წუთზე მასპინძელთა გოლკიპერმა სასწაულებრივ მოიგერია ისლანდიელთა დარტყმული, როცა **იონსონის** დარტყმის შემდეგ ბურთმა მიმართულება მოულოდნელად იცვალა, **ანდერსენმა** მაინც მოახერხა გუნდის გადარჩენა. დრო გადიოდა და... ისლანდიელთა უპირატესობა იზრდებოდა და იზრდებოდა. 58-ე წუთზე მათ თავისას მიაღწიეს - **ბიარნასენის** ჩამოწოდებულს **სიგტურსონმა** თავი დაუხვედრა. 2 წუთში თავად ბიარნასენმა გაიტანა თავით.

მესამე გოლიც თავით გავიდა, ოღონდ, ამჯერად, თავი დანიელმა **კადრიიმ** გამოიჩინა. აი, სწორედ ამ გოლმა დალუპა ისლანდიის ნაკრები, მათ რომ 3:0 მოეგოთ, ნახევარფინალში გავიდოდნენ. არადა, მესამე გოლის (თან რა გოლის!) გატანა ისლანდიელებმა მოასწრეს - **ვალგარდსონმა** შორიდან ისეთი ძალით დაარტყა, რომ ბურთი ხარიხას მოხვდა და კარის ბადეში ისე ალმოჩნდა - 3:1. ორივე გუნდი ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობა.

**ეიოლფურ სვერისონი** (ისლანდიის მწვრთნელი): *„ასეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენ ვართ, ფინალურ ეტაპზე მოხვედრაც წარმატებაა, თუმცა მე იმით ვამაყობ, რომ მაღალი დონის გუნდი გვყავს. განა, ეს დღეს თვალნათლივ არ გამოჩნდა? სამშობლოში ყველას დიდი იმედი აქვს ამ ბიჭების და მომავალში ჩვენ ევროპულ ფეხბურთში მცირე კორექტივების შეტანას ვაპირებთ. სამწუხარო ისაა, რომ მიზნამდე კიდევ ერთი გოლი დაგვაკლდა. ძალიან ემოციური თამაში იყო და ვერც მე ვიკავებდი თავს, მით უფრო, რომ ეს არც ფეხბურთელობისას შემეძლო“.*

**კელდ ბორდინგაარდი** (დანიის მწვრთნელი): *„ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო თამაში. ძალიან დამწუხრებული ვართ შედეგით. ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ ისევ ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ. ასე იყო წინა ორ თამაშშიც“.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 9 |
| 2. ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 3. ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 4. დანია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |

### B ჯგუფი

საოცარი რამ შეემთხვა **სტიუარტ პირსის** გუნდს, რომელიც ბოლოსწინა წუთამდე **დენი უელბეკის** გოლის წყალობით იგებდა. შემდეგ კი ჩეხებმა ზედიზედ ორი გოლი შეაგდეს და ფეხბურთის სამშობლოს შვილები სამშობლოში გაისტუმრეს. ესპანეთის ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ფავორიტობა - უკრაინას 3:0 მოუგო. დუბლი შეასრულა „ვალენსიას“ ლიდერმა **ხუან მატამ**, ერთი გოლი კი **ადრიან ლოპესის** ანგარიშზეა.

**ინგლისი-ჩეხეთი 1:2**

**ინგლისი (4-2-4):** ფილდინგი - უოლკერი, სმოლინგი, ჯონსი, ბერტრანდი - ჰენდერსონი (64. ლენსბერი), მუამბა - კლევერლი (76. ოლბრაიტონი), სტარიჯი, უელბეკი, სინკლერი (87. როუზი).

**ჩეხეთი (4-1-4-1):** ვაცლიკი - ჩელუსტკა, სუხი, მაზუხი, ლესიაკსი - გეცოვი - დოჩკალი, მარეჩეკი, მორავეკი (83. ხრამოსტა), კოვარჟიკი (68. ჩერნი) - კოზაკი (83. პეხარტი).

**გოლები:** 1:0 უელბეკი (76), 1:1 ხრამოსტა (89), 1:2 პეხარტი (94)



**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
მარსელ გეცოვი (ჩეხეთი)

**უკრაინა-ესპანეთი 0:3**

**უკრაინა (4-2-3-1):** კანიბალოცკი - ბუტკო, რაკიცკი, კრივცოვი, სელინი - ჩესნაკოვი, ბილიი (39. გოლოდიუკი) - კონოპლიანკა, გარმაში, იარმოლენკო (81. ვიცენეცი) - ზოზულია.

**ესპანეთი (4-5-1):** დე ხეა - მონტოია (82. ასპილიკუეტა), ბოტია, ა. დომინგესი, დიდაკ ვილა - მატა, ტ. ალკანტარა, ხ. მარტინესი (76. პარეხო), ანდერი, მუნიაინი - ა. ლოპესი (80. კრკიჩი).

**გოლები:** 0:1 მატა (10), 0:2 ა. ლოპესი (27), 0:3 მატა (72-პენ)

**გაძევება:** გარმაში (71)



**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
ხუან მატა (ესპანეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 2. ჩეხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 3. ინგლისი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 4. უკრაინა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**ნახევარფინალები**

22 ივნისი: შვეიცარია-ჩეხეთი, ესპანეთი-ბელარუსი

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის ნაკრები



მიხაელ ბალაკი და იოახიმ ლიოვი

# განრისხებული ბალაკის პასუხი

## გამოსათხოვარი მატჩი, რომელიც შემომთავაზეს, ფარსია! იოახიმ ლიოვის ფარისევლობას ბოლო არ უჩანს!

იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს ამბავი სკანდალის გარეშე არ ჩაივლიდა, რადგან **მიხაელ ბალაკსა** და გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს**, ასევე ბუნდესგუნდის მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფს** შორის დაპირისპირება არც ახლა დაწყებულა და არც ერთი წლის წინ. ბალაკი არასდროს მალავდა ლიოვით უკმაყოფილებას, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ კი, გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ბირჰოფთან იჩხუბა და მას ხელითაც შეეხო – მიზეზი: ბალაკს მიაჩნდა, რომ წაგებული ფინალის შემდეგ ზეიმი უადგილო იყო და ბირჰოფი და ლიოვი უაზრო პოპულისტობაში დაადანაშაულა.

თუმცა ეს ძალიან ძველი ამბავია, ახალი კი ის არის, რომ მას მერე, რაც ლიოვმა თქვა, ბალაკი აღარ მჭირდებაო (ეს კი ორიოდ დღის წინ მოხდა), მიხაელმა ბუნდესმწვრთნელს და საერთოდ გერმანიის საფეხბურთო კავშირს მაგრად შეუტია.

„ფორმა და შინაარსი იმ განცხადებისა, რომლითაც ლიოვმა საფეხბურთო გერმანიას ოფიციალურად ამცნო, რომ მე აღარ ვჭირდები, ზუსტად, ასი პროცენტით ასახავს იმას, თუ როგორ მექცეოდა გერმანიის ნაკრების თავკაცი იმ მძიმე ტრავმის შემდეგ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, შარშან მივიღე,“ - აცხადებს ბალაკი თავის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც მან პარასკევს საღამოს გააკეთა და რომელშიც ლიოვის მიერ მისთვის შეთავაზებულ გამოსათხოვარ მატჩს ბრაზილიასთან, ფარსს უწოდებს, თავად იოგის კი ფარისევლად მოიხსენიებს.

„ფორმამ და შინაარსმა მეც ნეგატიურად გამაკვირვა, რადგან ბუნდესმწვრთნელის ქცევა აბსოლუტურად არ შეესაბამება იმას, რასაც ჩვენ, მიხაელს და მე გვეუბნებოდა,“ - ეს კი ბალაკის მრჩევლის, **მიხაელ ბეკერის** სიტყვებია, ბალაკი კი ამბობს, ლიოვს ამ ერთი წლის განმავლობაში თავი ისე ეჭირა და ისეთ განცხადებებს აკეთებდა, თითქოს ჩემთან მიმართებაში ღიად და გულახდილად იქცეოდა, ახლა კი, ამ ყველაფრის შემდეგ, არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ იოახიმ ლიოვი ფარისეველიაო.

„იმ ამხანაგური შეხვედრის გამოსათხოვარ მატჩად მოხსენიება, რომელიც დიდი ხანია, დაგეგმილია, ჩემი აზრით, ფარსია. ვიცი, რომ ჩემი გულშემატკივრების წინაშე ვალდებული ვარ, გამოსათხოვარ მატჩში მონაწილეობა მივიღო, მაგრამ ამ წინადადების მიღება არ შემიძლია, რადგან ყველაზე მეტად ფარსს და ფარისევლობას ვერ ვიტან. ევროპის 2008 წლის ფინალის შემდეგ გამართული ზეიმიც ფარსი იყო, რადგან ფინალი წაგებული გვქონდა და იმ ზეიმშიც ამიტომ არ მივიღე მონაწილეობა,“ - განმარტავს 34 წლის ბალაკი.

### მიხაელ ბალაკის განცხადება სიტყვასიტყვით

„გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური განცხადებით შევიტყვე, რომ ბუნდესმწვრთნელს აღარ ვჭირდები. ფორმა და შინაარსი ამ განცხადებისა ასი პროცენტით ასახავს იმას, თუ როგორ მექცეოდა გერმანიის ნაკრების თავკაცი იმ მძიმე ტრავმის შემდეგ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, შარშან მივიღე. ლიოვს სურს, ყველა დააჯეროს, რომ მე, როგორც გერმანიის ნაკრების კაპიტანს, გულახდილად მექცეოდა, რომ ჩემთან ყოველთვის ღია იყო და რომ ჩემთვის გერმანიის ნაკრების კარიც ღია იყო. ეს კი იოგის მხრიდან ნამდვილი ფარისევლობაა!

ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩი დიდი ხნის დაგეგმილია და ახლა ამ შეხვედრის გამოსათხოვარ მატჩად მონათვლა, ჩემი აზრით, ფარსია, რომელსაც ვერაფრით მივიღებ – მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ფანების წინაშე ვალდებული ვარ, გამოსათხოვარ თამაშში ვიასპარეზო.“

### გერმანიის საფეხბურთო კავშირის რეაქცია

გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბალაკის ასეთ შეტევაზე პასუხის გაცემა, ცხადია, არ დააგვიანა. გენერალური მდივანი **ვოლფგანგ ნირსბახი** მიიჩნევს, რომ მიხაელის ასეთი რეაქცია ძალიან სამწუხაროა. „მარტის შემდეგ ლიოვს რეგულარული კავშირი ჰქონდა მიხაელ ბალაკთან და შექმნილ სიტუაციაზე აბსოლუტურად გულახდილად ესაუბრებოდა, რადგან როგორც გერმანიის ნაკრების კაპიტანმა, მიხაელმა ეს დაიმსახურა. ბრაზილიასთან ტესტ-მატჩისთვის ბალაკის გამოსათხოვარი შეხვედრის სტატუსის მინიჭება კი ლიოვმა ნამდვილად გულახდილად იგულისხმა და ჩვენ ყველას ძალიან გვინდოდა, რომ ბალაკს ეს წინადადება მიეღო,“ - აცხადებს ნირსბახი.

ყველაზე საინტერესო კი ალბათ თვითონ ლიოვის კომენტარია, რომელსაც აქვე გთავაზობთ: „მე ზუსტად ვიცი, რის შესახებ ველაპარაკებოდი ბალაკს, რას შევპირდი და რა შევთავაზე. არაფრის შეცვლას არ ვაპირებ,“ - თქვა იოგიმ შაბათს.

ნირსბახმა კი უფრო მკაცრი განცხადებაც გააკეთა: „არ მესმის და ვერასდროს გავიგებ, რატომ იხმარა ბალაკმა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „ფარსი“ და „ფარისევლობა“. ჩემი აზრით, მას აბსოლუტურად კორექტულად ვექცეოდით. მიხაელს ყველაფერი შევთავაზეთ, ყველა კარი ღია დავუტოვეთ. მას უბრალოდ უნდა გადაეწყვიტა, როდის სურდა ნაკრებიდან წასვლა.“

### შესთავაზა თუ არა ლიოვმა ბალაკს მე-100 მატჩიც?

როგორც იცით, მიხაელ ბალაკს გერმანიის ნაკრებში 98 მატჩი აქვს ჩატარებული. ლიოვი და ნირსბახი იმასაც ამბობენ, რომ მათ მიხაელს არა მარტო ბრაზილიასთან თამაში, არამედ ურუგვაისთან ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობაც შესთავაზეს, რათა მას პრესტიჟული, 100-მატჩიანი კვოტა შეესრულებინა და ისტორიაში დარჩენილიყო როგორც ფეხბურთელი, რომელმაც ბუნდესგუნდში 100 მატჩი ჩაატარა. ურუგვაისთან მატჩი 29 მაისს შედგა (2:1 გერმანიის სასარგებლოდ), ბალაკს კი ამაზეც უარი უთქვამს.

„მიხაელმა გვითხრა, ჩემთვის ნაკრებში 100-მატჩიანი კვოტის შესრულებას მნიშვნელობა არ აქვსო და ურუგვაისთან თამაშზე უარი თქვა, - ამბობს ნირსბახი და იქვე დასძენს, - ავსტრიასთან და აზერბაიჯანთან მატჩების შემდეგ კი მასთან დაკავშირება შეუძლებელი გახდა. მიხაელი არც ტექსტურ შეტყობინებებზე გვპასუხობდა და არც სატელეფონო ზარებზე. პირადად მეც და ლიოვმაც, არაერთხელ დავუტოვეთ შეტყობინება, რომ დაერეკა, მაგრამ მისგან არაფერი გვსმენია. ჩვენ ბალაკთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება გვსურს.“

● ტრანსფერი

# პანდერი სლომკამ წაიყვანა

## ჯერ მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი

„შალკეს“ მარცხენა მცველი **კრისტიან პანდერი** (ორი მატჩი გერმანიის ნაკრებში), რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად ტრავმირებული იყო, „ჰანოვერმა“ გადაიბირა. მას მერე, რაც ცნობილი გახდა, რომ გელზენკირხენული კლუბი 27 წლის პანდერს ახალ კონტრაქტს არ უფორმებდა, კრისტიანისთვის ორი კლუბი იბრძოდა, მაგრამ „ჰანოვერმა“ „ვოლფსბურგს“ აჯობა. ფეხბურთელი არ უარყოფს, „ჰანოვერს“ უპირატესობა იმის გამო მივანიჭე, რომ ამ კლუბს ჩემი ყოფილი და უსაყვარლესი მწვრთნელი **მირკო სლომკა** წვრთნისო.

„ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს, რაც „ჰანოვერმა“ გასულ სეზონშიც დაამტკიცა. კარიერაში უიღბლობა დამჩემდა და მინდა, რომ ამას ბოლო სწორედ „ჰანოვერში“ მოეღოს. სლომკასთან მუშაობა კი თავის დროზე „შალკეშიც“ ძალიან მსიამოვნებდა და ახლაც ბედნიერი ვარ, რომ ვითამაშებ კლუბში, რომლის მწვრთნელი სწორედ მირკო სლომკაა,“ - უთხრა პანდერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

კრისტიანი „წითლებთან“ კონტრაქტს ჯერ მხოლოდ 2012 წლამდე გააფორმებს, რადგან „ჰანოვერს“ რისკზე წასვლა არ სურს. ფეხბურთელი ხშირად შავდება და ამიტომაცაა, რომ ჯერ მხოლოდ ერთწლიან ხელშეკრულებას უფორმებენ. თანაც, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა დრო, როცა პანდერი გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნეოდა – 2007 წლის აგვისტოში მან „უემბლიზე“ ინგლისის ნაკრებს გოლი გაუტანა. მაშინ პანდერი ფორმის პიკში იყო, მაგრამ შემდეგ ტრავმებმა მოუღო ბოლო.

### იტალიელი თავდამსხმელი შალკეში?

„შალკემ“ კი, ჩვენი იტალიელი და გერმანელი კოლეგების ცნობით, იტალიელ თავდამსხმელს დაადგა თვალი. „გაძეტა დელო სპორტი“ და „კიკერი“ წერენ, რომ **ლევან ყენიას** კლუბს „ტორინოს“ ფორვარდ **როლანდო ბიანკის** გადაბირება სურთ. ამ უკანასკნელმა გასულ სეზონში, სერია B-ში 19 გოლის გატანა შეძლო. აღსანიშნავია, რომ „შალკესთან“ ერთად, 28 წლის **ბიანკის** ყიდვა „ნაპოლის“, „კატანიას“, ყაზანის „რუბინსა“ და „პორტუსაც“ უნდათ.

● აუგსბურგი

# დებიუტანტმა პირველმა დაიწყო

## აუგსბურგში ჩემპიონ გოგიას ელოდებიან

ბუნდესლიგის ახალი სეზონისთვის მზადება 18 კლუბიდან პირველმა „აუგსბურგმა“ დაიწყო – გუნდმა, რომელმაც გასულ სეზონში გაიფორმა პირველი ბუნდესლიგის საგზური და ელიტაში დებიუტანტი იქნება. პირველივე ოფიციალურ ვარჯიშზე, რომელიც მთავარმა მწვრთნელმა **იოს ლუჰუკაიმ** შაბათს ჩაატარა, აუგსბურგელებმა რეკორდი დაამყარეს – კლუბის არსებობის ისტორიაში პირველად მოხდა ისე, რომ გუნდის ვარჯიშს 2000 გულშემატკივარი დაესწრო. ფანები თავიანთ გმირებს უდიდესი აპლოდისმენტით შეეგებნენ.

პირველი ვარჯიშის შემდეგ, „აუგსბურგის“ მენეჯერმა **ანდრეას რეტიგმა** განაცხადა, რომ აგვისტოს ბოლომდე გუნდს მინიმუმ სამი ფეხბურთელი დატოვებს და მაქსიმუმ 2 ახალწვეული შეემატება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, აუგსბურგელები „შალკეს“ ნახევარმცველ **ალბერტ შტრაიტს** ეპატიჟებიან, რომელიც გელზენკირხენულ კლუბში ორი წლის წინ „აინტრახტიდან“ დიდი იმედებით გადავიდა, მაგრამ იმედგაცრუების გამო მოყვარულებში გადაისროლეს და პირველ გუნდში დღემდე არ დაუბრუნებიათ. „შალკეს“ შტრაიტის თავიდან მოშორება უნდა – მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

მოგეხსენებათ, „აუგსბურგმა“ „ვოლფსბურგის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი, წარმოშობით ქართველი, ისე კი გერმანიის მოქალაქეობის მქონე და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ნახევარმცველი **აკაკი გოგია** გადაიბირა. ამ უკანასკნელმა შაბათს გერმანიის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში ითამაშა და გერმანიის A იუნიორთა შორის ჩემპიონი გახდა: „ვოლფსბურგმა“ „კაიზერსლაუტერნი“ 4:2 დაამარცხა, გოგიამ კი მეოთხე გოლი გაიტანა. შესაბამისად, აკაკი გოგიას „აუგსბურგის“ პირველ ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღია. მასთან ერთად, ლუჰუკაის კანადელი **მარსელ დე იონგი** (შვებულებაშია) და ალბანელი თავდამსხმელი **ედმონდ კაპლანიც** (სანაკრებო პაუზა) დააკლდნენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ
განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს სასტუმრო კომფორტული ნომრებით- ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ტყვიის სროლა. მიუნხენის მსოფლიოს თასი

# მიუნხენში ფინალს აცდნენ



**ნინო სალუქვაძემ** მისთვის არცთუ ისე შედეგიანი 579 ქულით და XVIII ადგილით დაიწყო გამოსვლა მიუნხენში მიმდინარე მსოფლიოს თასზე. ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი გუშინ სპორტული პისტოლეტით სროლაში გამოვიდა და ასპარეზობა საკმაოდ ცუდად დაიწყო - პირველივე სერიაში ორი ტყვია რვიანში მოხვდა მესამე და მეხუთე გასროლებზე. მართალია, ამ სერიაში უფრო ხშირად - შვიდჯერ, 10-იანის ნიშნულს არ ასცდენია, ყველაზე დაბალი შედეგი მაინც აქ ჰქონდა, 95 ქულა. მომდევნო ორში ბევრად მობილიზებულმა ისროლა - ფარის შუაგულს მხოლოდ ორ-ორჯერ დააცილა, სხვები ისევ ათიანებში გაარტყა და 98-98 ქულა დააგროვა. თუმცა ერთი კია, რომ 10-იანები მთლად ცენტრში არ გამოუვიდა დასმული, მაგრამ სერიების საბოლოო შედეგებს მაინც არა უშავდა.

სალუქვაძეს შეჯიბრების მეორე ნახევარში, სწრაფ სროლებში 30 ცდიდან მხოლოდ ერთი 8-იანი ჰქონდა, მაგრამ 10-იანებში მორტყმაც უფრო უჭირდა, ძირითადად 9-იანები დააზიანა და 96, 95 და 97 ქულა დააგროვა. როგორც ხედავთ, აქ ყველაზე უკეთ ბოლო სერიაში გაისარჯა, რაც ხშირად ხდება მის კარიერაში, ეს კი ძლიერ ნებისყოფაზე მიუთითებს. არადა, პარადოქსია, რომ სწორედ ამ სერიაში ჰქონდა ის ერთადერთი 8-იანიც. სამაგიეროდ, ათიანებს გაარტყა რვაჯერ.

ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონს ჯამში 579 ქულა დაუგროვდა და XVI-XIX ადგილები გაიყო გერმანელ **შტეფანი თურმანთან**, მონღოლ **მუნკზულ ჩოგბადრანთან** და კორეელ **იუნ ჰი კვაკთან** ერთად. დამატებით სროლებში გერმანელმა 20 ქულა დააგროვა, მონღოლმა - 19, სალუქვაძემ - 16, კორეელმა - 13 და ცხრილშიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდნენ.

შესარჩევი ტურნირი 584 ქულით ბულგარელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მარია გროზდევამ**, ჩეხმა ოლიმპიადის ვერცხლისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანმა, ევროპის ჩემპიონმა **ლენკა ჰიკოვა-მარუსკოვამ** და ახალგაზრდებში ასევე ევროპის პირველობის გამარჯვებულმა უნგრელმა **სოფია ჩონკამ** მოიგეს. 583 ქულა ჰქონდა ჩინელ **ჯინჯინ ჭანს**, მისმა თანაგუნდელმა **ჯინ იუანმა** და ფრანგმა ევროპის ჩემპიონმა **სელინ გობერვილმა** 582-ით დაამთავრეს საკვალიფიკაციო ეტაპი, ფინალურ ოქტეტში კი 581 ქულით ბოლო მონაწილეებად ფრანგი **სტეფანი ტიროდი** და უკრაინელი **ინა კრიაჩკო** შევიდნენ.

ფინალურ სერიაში ყველაზე კარგად ჩინელი იუანი გაისარჯა - 205,8 ქულა გაარტყა და საგრძნობლად გაუსწრო სხვებს. მას ჯამში 787,8 დაუგროვდა და ოქროს მედალიც ირგუნა. ვერცხლი გროზდევამ მოიპოვა 787,3-ით, ბრინჯაო - მარუსკოვამ 786,0-ით.

მოგეხსენებათ, მსოფლიოს თასის ეტაპებზე ლონდონის ოლიმპიადის საგზურებიც გაიცემა - სპორტულში - ორ-ორი. ამ ტურნირის შემდეგ ლონდონის თამაშების მონაწილეთა სიას გროზდევა და ჩონკა შეემატნენ. საყურადღებოა, რომ ჯერაც ლიცენზიის გარეშე რჩება სერბი ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **იასნა სეკარიჩი** - ერთ-ერთი იმ ორიდან, ვისაც ოლიმპიადებში მონაწილეობის მხრივ სალუქვაძის რეკორდის გამეორება ანუ ოლიმპიადაზე მეშვიდედ გამოსვლა შეუძლია. სეკარიჩმა ამჯერად 576 ქულა დააგროვა და 31-ზე დარჩა. მიუნხენში გამოვიდა სალუქვაძის რეკორდის მეორე პოტენციური გამმეორებელი - ბერძენი **აგატა კასუომიც**, რომელიც 580 ქულით მე-12-ე იყო. 45 წლის ქალბატონი შეჯიბრებებში იმდენად აქტიურად არ ჩანდა ხოლმე, მაგრამ, ეტყობა, სერიოზულად ფიქრობს მეშვიდე ოლიმპიადაზე მოხვედრას.

იქიდან გამომდინარე, რომ სალუქვაძეს ოლიმპიური ლიცენზიაც მოპოვებული აქვს და მსოფლიოს თასის სუპერფინალისაც, ამ შეჯიბრებას მისთვის წმინდა სატურნირო დატვირთვა აქვს - შეამოწმოს იარაღი, ფიზიკური მომზადება, გამძლეობა, ტექნიკურ-ტაქტიკური ასპექტები, იგრძნოს საშეჯიბრო ატმოსფერო...

გუშინვე მიუნხენში ვაჟთა შორის სპორტული პისტოლეტიდან **ლევან ქადაგიძემაც** ისროლა და 542 ქულით 62-ე ადგილზე გავიდა. ის ყველაზე უკეთ პირველ სერიაში გამოვიდა - 97 ქულა დააგროვა, სხვებში კი საკმაოდ სუსტად იასპარეზა. საერთოდ, მან ექვსი სერიიდან 90-იან მიჯნას მხოლოდ სამში გადააბიჯა.

ვაჟთა შორის პირველი იყო **ტომოუკი მაცუდა** (იაპონია) - 665,7 ქულა, მეორე - **ანდრია ზლატიჩი** (სერბეთი) - 662,9, მესამე - **ჯუზეპე ჯორდანო** (იტალია) - 659,6. აღსანიშნავია, რომ პარაშუტისა და მოტოციკლეტების მოყვარული 36 წლის სამხედროსთვის ეს კარიერის პირველი მედალია ნებისმიერი რანგის ტურნირზე. მეტიც - მას მსოფლიოს ჩემპიონატზეც კი არასოდეს უასპარეზია.

მიუნხენში ჩვენები კიდევ ერთხელ დადგებიან ცეცხლის ხაზზე - პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, ოღონდ ამჯერად ცალ-ცალკე. ქადაგიძე ხვალ ისვრის, სალუქვაძე - ზეგ, ტურნირის ბოლო დღეს. ამით მსოფლიოს თასის ცალკეული, სუპერფინალისთვის შესარჩევი ეტაპებიც დასრულდება, ჩვენებურთათვის კი უახლოესი სამიზნე 1-14 აგვისტოს ბელგრადში გასამართი ევროპის ჩემპიონატი იქნება. მოგეხსენებათ, პნევმატურიდან სროლაში ანალოგიური შეჯიბრება მარტში იტალიურ ბრეშაში ჩატარდა (იქ სალუქვაძე 21-ე იყო), ამიტომ ასპარეზობა სერბეთში მხოლოდ სპორტულიდნ სროლაში გაიმართება. იმედია, იქ ახალგაზრდებსაც გააგზავნიან, თორემ ამჯერად უფულობის გამო გერმანიაში ამ დუეტის გარდა ვერავინ გაუშვეს.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



# მსოფლიოზე ნანალაშვილი და ბენიძე გაემგზავრებიან

გუშინ ქუთაისში დამთავრდა 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა (მთავარი მსაჯი **ალექსანდრე არსენიძე**), რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 31 წარმომადგენელი იბრძოდა მსოფლიოს პირველობის ორი საგზურისთვის. ეს შეჯიბრება წლეულს ინდოეთში გაიმართება.

გოგონებში ჩემპიონობა მოიპოვა დიდოსტატმა **ქეთი ნანალაშვილმა**. ბოლო ტურში მან ანა თედოშვილს სძლია და 8 ქულა მოაგროვა. წარმატებას მიაღწია **მერი არაბიძემაც** (შავი ფიგურებით მარიამ ნულაიას აჯობა), მანაც 8 ქულა მოაგროვა, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ერგო. 6,5 ქულით მესამე ადგილი **ანა შამათავას** ხვდა.

ვაჟებში კარგა ხანს ერთპიროვნულად მეწინავეობდა **დავით ბენიძე**. ბოლო ტურში მან გიორგი სიბაშვილთან პაექრობისას მონაგარს კიდევ ერთი ქულა შესძინა და 8 ქულით ოქროს მედალთან ერთად მსოფლიოს პირველობის საგზურიც დაიმსახურა. **დავით ლომსაძემ** გუშინ გიორგი ცხადაძე დაამარცხა და 6,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. 5,5 ქულით ბრინჯაო **მამუკა ქოჩაკიძემ** მოიპოვა.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

# ნაკრებს გეგმები შეეცვალა

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები 19 ივნისს იაპონიაში ერთობლივ ვარჯიშებზე უნდა გაფრენილიყო, მაგრამ გეგმები შეიცვალა და ჩვენები სტიქიური კატასტროფებით გატანჯულ „ამომავალი მზის ქვეყანას“ ივნისის ბოლო დღეს ეწვევიან. გეგმების შეცვლის მიზეზი იაპონური მხარის თხოვნა გახდა - ზუსტად იმ დღეებში, როცა ჩვენებს იქ ვარჯიში უნდა დაეწყოთ, იაპონელებს ქვეყნის უნივერსიადა ჰქონიათ და მისთვის მშვიდად მომზადების სურვილი გამოუთქვამთ. უნივერსიადა 30 ივნისს მთავრდება, ჩვენებიც ამ დღეს ჩავლენ და 1 ივლისიდან შეკრებასაც დაიწყებენ. ვარჯიშები ძიუდოს ორ იქაურ აკადემიაში ჩატარდება, ბოლო ვადა კი კვლავაც 23 ივლისია, რადგან მერე აკადემიაში საზაფხულო არდადეგები იწყება.

ჩვენი ნაკრების ავსტრიელი მთავარი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერი** იაპონიაში 16 კაცის წაყვანას გეგმავს. ეს შეკრება მწვრთნელმა მსოფლიოს პირველობისთვის უკეთ მოსამზადებლად ტალინის და სან პაულუს მსოფლიოს თასებს და რიო დე ჟანეიროს „დიდ მუზარადს“ ამჯობინა. არადა, სამივე სალიცენზიო ტურნირია. გუნდი ამჟამად თბილისშია შეკრებაზე, თუმცა, შესაძლოა, ორშაბათიდან დუშეთში წაიყვანონ ოლიმპიურ ბაზაზე, სადაც იაპონიაში წასვლამდე დარჩებიან.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# უკეთ, ვიდრე პირველ დღეს

ანკარაში გრძელდება მოკრივეთა ევროპის 39-ე ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით ჩაება. ასპარეზობის პირველ-ორ დღეს წარმატებასთან ერთად, სამწუხაროდ, დანაკლისიც გვაქვს.

უკვე გაუწყეთ, რომ შეჯიბრების სტარტზე **ჯაბა ხოსიტაშვილმა** (75 კგ) დაძაბულ პაექრობაში 14:13 მოუგო ინგლისელ ენტონი ოგოგოს. დღეს იგი პოლონელი ტომაზ იაბლონსკის მძლეველ (19:12) უნგრელს - ზოლტან ჰარკსას დაუპირისპირდება.

შაბათს ბრწყინვალედ იასპარეზა **ზაალ კვაჭატაძემ** (69 კგ). ქართველმა მოკრივემ პირველსავე რაუნდში ბელგიელი მოჰამედ სდერი ნოკაუტში გაგზავნა. მისი მეტოქე იქნება უკრაინელი დენის ლაზარევი, რომელმაც ვასილ ბელოუსს აჯობა - 15:12.

მეორე წრეში გავიდა ევროპის პრიზიორი **ნიკოლოზ იზორია** (56 კგ), რომელიც მძიმე ტრავმით გამოწვეული დიდი ხნის უქმობის შემდეგ ისევ დაუბრუნდა რინგს. პეკინის ოლიმპიადის მონაწილემ ანკარაში დამაჯერებლად დაამარცხა შოტლანდიელი იოზეფ ჰემი - 16:9. დღეს იგი ირლანდიელ ჯონ ნევინის გაუწევს მეტოქეობას. ამ უკანასკნელმა გზიდან უკრაინელი პავლო იშჩენკო ჩამოიცილა - 19:13.

სამწუხაროდ, ჩემპიონატს სტარტიდანვე გამოეთიშნენ **ავთანდილ ჭუბაბრია** (49, დამარცხდა თურქ ფერჰატ ფეხლივანისთან), **ბაკურ გოგოჭური** (64, ინგლისელ თომას სთელკერთან) და **ლევან გულედანი** (91, მე-3 რაუნდში ნოკაუტით წააგო ირლანდიელ გონორ შეინანთან).

**ვაჟა დანელია**

ფარიკაობა

# გალაქტიონ ჩიქოვანის მემორიალი

რამდენიმე დღის წინ ქუთაისში მოფარიკავეთა საქართველოს თასის ლია გათამაშება გაიმართა, 17-19 ივნისს კი სპორტის სასახლემ კიდევ ერთ ტურნირს - საქართველოს დამსახურებული მწვთნელის გალაქტიონ ჩიქოვანის სახელობის მეექვსე საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც 1992-94 წელს დაბადებულმა მოფარიკავეებმა იასპარეზეს. გალაქტიონ ჩიქოვანის სახელს უკავშირდება ქუთაისში პირველი ფარიკაობის სექციის ჩამოყალიბება. წლევანდელ ტურნირში სომხეთის, აზერბაიჯანის და ქუვეითის წარმომადგენლებმა იასპარეზეს. პირველ დღეს ხმალში გამარჯვება ქუთაისელ **სანდრო ბაზაძეს** დარჩა, მან ფინალში თანაქალაქელი **მიხეილ მარდალეიშვილს** მოუგო. მანამდე ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლაში კი ქუვეითელ **ალ შამალს** სძლია. სხვათა შორის, სანდრომ ამას წინათ გამართულ საქართველოს თასზე ვერცხლის მედალი მოიპოვა და ფინალში მის უფროს ძმასთან ბექასთან დამარცხდა. ხმალში გოგონათა შორის გამარჯვება დარჩა თბილისელ **თეოდორა კახიანს**, რომელმაც ფინალში ქუთაისელ **ანა სინატაშვილს** მოუგო. კარგი შთაბეჭდილება დატოვა დაშნაში რუსთაველმა **გიორგი ქაფიანიძემ**, რომელმაც ეს ტურნირი გასულ წელსაც მოიგო. ამჟამად მან ფინალში სომეხი სპორტსმენის **მიქაელ მიქაელიანის** წინააღმდეგობა დაძლია და კვლავ პირველი ადგილი მოიპოვა. ტურნირის ბოლო დღეს რაპირაში ძალიან დაძაბული გამოდგა თბილისელი **არჩილ უგულავასა** და სომეხი **მიკაელ ოგანესიანის** ფარიკაობა. პაექრობა ქულა-ქულაში მიმდინარეობდა და მხოლოდ ბოლოს მოახერხა ქართველმა სპორტსმენმა უპირატესობის მოპოვება (15:11) და საბოლოოდ ოქროს მედალსაც დაეუფლა. გოგონებში ფინალში ერთმანეთს თბილისის წარმომადგენელი **თეონა გოგლიძე** და სომეხი **ალპინა ატოანი** დაუპირისპირდნენ. ამჯერად სტუმარმა იმარჯვა.



**ხმალი ვაჟები**

1. სანდრო ბაზაძე (ქუთ.)
2. მიხეილ მარდალეიშვილი (ქუთ.)
3. იური ნებიერიძე (ქუთ.)
3. ალ შამალი (ქუვეითი)

**რაპირა ვაჟები**

1. არჩილ უგულავა (თბ.)
2. მიკაელ ოგანესიანი (სომ.)
3. ლუკა ღალანიძე (თბ.)
3. ემილ დანელიანი (სომხ.)

**დაშნა ვაჟები**

1. გიორგი ქაფიანიძე (რუსთ.)
2. მიქაელ მიქაელიანი (სომხ.)
3. არმენ არაზიანი (სომხ.)
3. რობერტ ხაჩატრიანი (სომხ.)

**ხმალი გოგონები**

1. თეოდორა კახიანი (თბ.)
2. ანა სინატაშვილი (ქუთ.)
3. თამარ ტეტემაძე (ბათ.)
3. ქრისტინა ნოზაძე (თბ.)

**რაპირა გოგონები**

1. ალპინა ატოიანი (სომხ.)
2. თეონა გოგლიძე (თბ.)
3. ასმიკ აგაბაბიანი (სომხ.)
3. მერი გოქაძე (ქუთ.)

**დაშნა გოგონები**

1. მარი ლომიძე (თბ.)
2. ხატია ლელაძე (ქუთ.)
3. ლანა ნაზარევა(რუსთ.)
3. ასია ბოგოსოვა (სომხ.)

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**პასუხები: თარაზულად:** 3. „ბასკო“, 5. „ხარები“, 6. სანია, 9. ფილა, 10. სვანეთი, 11. კონი, 14. ხანტეი, 15. ფალკაო, 17. კაპელო, 18. სორელი, 19. დანი, 20. ევრა, 25. პასი, 26. ტურისტი, 27. ტოტი, 28. „იბერია“, 32. კრივი, 33. ოსერი.

**შვეულად:** 1. ოსლო, 2. ლეკო, 3. ბირთვი, 4. ბაჯო, 5. ხარიხა, 7. ალანია, 8. ფოთი, 12. ბერლინი, 13. კალოევი, 14. ხოკეი, 16. ობინა, 21. ტაიჭი, 22. ლუიზაო, 23. ეტლი, 24. ატაცი, 28. „თორი“, 29. „ბარი“, 30. აჯეი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


ალექსანდრე ბაქში

# თბილისის თასი მოიგლიჯეს, თელავში გადაინაცვლეს

**ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე 10 ქვეყნის 120 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს თბილისის თასს ორ ასაკობრივ ჯგუფში. მასპინძლებმა განსაკუთრებით 16-წლიანებში იყოჩაღეს. გოგონებში **ანი გოგვაძემ**, რომელიც მეორე ნომრად იყო განთესილი, ზედიზედ სძლია **მარიამ კიკნაძეს** (6:2, 6:3), **ეკატერინა გუბანოვას** (ყაზახეთი, 6:2, 3:6, 6:3), **ალინა ზუბკოვას** (ბელარუსი, 7:6, 6:2), გადამწყვეტ პაექრობაში კი რუსი **ელიზავეტა ვორონოვა** დაამარცხა 6:0, 6:3 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იგი ახლოს იყო დუბლთან: ანა ახალკაცთან ერთად წყვილთა ორთაბრძოლების ფინალში გავიდა, მაგრამ **ბარბარე ერისთავისა** და **ეკატერინე ლასარეიშვილის** დუეტს ვერ აჯობა (3:6, 4:6) და მეორე ადგილს დასჯერდა. ვაჟებში პირველი ნომრად იყო განთესილი **გიორგი ჯავახიშვილი** და მანაც სტატუსი გაამართლა. ნახევარფინალში სომეხ **მიქაელ ავეტისიანს** მოუგო (6:0, 7:6), ფინალში **ალექსანდრე დავლიანიძის** მძლეველ (6:3, 1:6, 6:4) შოთა მეფარიძეს დააყრევინა ფარ-ხმალი (6:2, 6:2). **დავლიანიძემ** 14 წლის **ალექსანდრე ბაქშისთან** ერთად გაიმარჯვა წყვილთა შეხვედრებში. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ჩვენებმა მიქაელ ავეტისიანისა და **სურენ ბალდასარიანის** (სომხეთი) დუეტი დაჯაბნეს - 7:5, 6:4.

ბაქშიმ ერთეულთა თანრიგშიც გამოიჩინა თავი. მან მთელი ტურნირი, ასე ვთქვათ, ერთი ამოსუნთქვით განვლო და იოლად აჯობა მეტოქეებს: სომეხ **დავიდ მურადიანს** (6:1, 6:0), თურქ ბეიზიტს (6:1, 6:3), რუს **იგამბერდიევს** (6:3, 6:4) და აზერბაიჯანელ **აიხან მანეფლის** (6:3, 6:1). სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ ბოლო პერიოდში ბაქშის ოსტატობის ზრდას, რაც შედეგებიდანაც ნათლად ჩანს. თბილისელმა ჩოგბურთელმა წლეულს ისრაელში ორ საერთაშორისო ტურნირში მოსინჯა ძალები და ორჯერვე ფინალში გავიდა, თურქეთში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პირველობაზე 14-წლიანებში მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო. ამ ასპარეზობის შედეგებით, ასაკების მიხედვით 4-4 საუკეთესო გოგო და ბიჭი, მათ შორის - ალექსანდრე ბაქში, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ იუნიორთა დიდი სლემის ტურში მიიწვია საკუთარი სახსრებით. ახალგაზრდა ჩოგბურთელები აგვისტოში 5 ტურნირში იასპარეზებენ. გერმანიასა და ავსტრიაში გამგზავრებამდე ბაქში ტრაბზონში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას შოთა მეფარიძესთან ერთად.

ლეილა მესხის კორტებზე, 14-წლიანებში, ბაქშის გარდა, პირველ ადგილზე გავიდა **მარიამ ბოლქვაძისა** და **ქრისტინე გეგეშიძის** დუეტი, რომელმაც გადამწყვეტი ორთაბრძოლა პირველ ნომრად განთესილ სომეხ **არევიკ თუმანიანისა** და რუს **ვალერია ურზუმოვას** ინტერნაციონალურ წყვილს მოუგო - 6:3, 3:6, 11:9. ვაჟთა წყვილებში სტუმრებმა გაიმარჯვეს: **ტიმურ იგამბერდიევმა** (რუსეთი) და **აიხან მანაფლიმ** (აზერბაიჯანი) დაძაბულ დუელში დააყრევინეს ფარ-ხმალი **ანტონ ბანდარუკსა** (ბელარუსი) და **პაველ კოტოვს** (რუსეთი) 2:6, 6:3, 10:5.

გოგონებშიც სტუმარი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე: რუსმა **ვალერია ურზუმოვამ** თანამემამულე **ადელია ზაბიროვას** აჯობა - 6:1, 7:5.

თბილისის თასი მონაწილეებმა თელავში გადაინაცვლეს, სადაც დღეიდან „რენას და დათოს თასი" გათამაშდება.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ორი წაგებული ფინალი და მეცხრე კორტი

შაბათს ორმა ჩვენებურმა ითამაშა საერთაშორისო ტურნირების ფინალებში და, სამწუხაროდ, ორივემ წააგო. 28 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (221) სტამბოლში, 25-ათასიან ტურნირში იყო პირველ ნომრად განთესილი. მაკამ ფავორიტობა საქმით დაამტკიცა, ზედიზედ 4 მატჩი მოიგო და ფინალში გავიდა, მაგრამ იქ პოლონელ **მარტა დომაჩოვსკასთან** (272) ვერას გახდა. დომაჩოვსკა ადრე მსოფლიოს 37-ე ჩოგანიც ყოფილა, ახლა კი სტამბოლში მე-2 ნომრად იყო განთესილი. ორივე სეტი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, პოლონელი გადამწყვეტ მომენტში სჯობდა ქართველს - 7:5, 6:3. ჩახნაშვილმა 34 სარეიტინგო ქულა იკმარა (რომ მოეგო, 50 ქულას მიიღებდა).

ხარკოვში (უკრაინა, 25 ათასი დოლარი) ასევე ტურნირის პირველი ჩოგანი იყო **სოფიო შაფათავა** (299). 22 წლის ქართველი ფინალში ლიტველ **ლინა სტანჩიუტეს** (418) შეხვდა და მოულოდნელად, იოლად დამარცხდა - 2:6, 1:6. შაფათავაც, ჩახნაშვილის მსგავსად, 34 სარეიტინგო ქულას გამორჩა.

გუშინ გაირკვა უიმბლდონის პირველობის პირველი დღის განრიგი. 21 წლის **ანა ტატიშვილი** (120) პირველად თამაშობს ასეთი პრესტიჟული ტურნირის ძირითად ბადეში. მისი მეტოქე რუსი **ანასტასია პივოვაროვაა** (114). ეს შეხვედრა მე-9 კორტზე გაიმართება და პირველია სიაში. სწორედ, ტატიშვილი და პივოვაროვა გახსნიან ამ კორტზე უიმბლდონის წლევანდელ გათამაშებას. ეს მატჩი ჩვენი დროით, 15 საათზე დაიწყება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს ნაკრები

# ვის წაიყვანს კოკოშკოვი?

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქეებმა, რუსეთმა და უკრაინამ გაფართოებული შემადგენლობები უკვე დაასახელეს... ლოგიკურად, ნებისმიერ ქართველ გულშემატკივარსაც და ჟურნალისტსაც გაუჩნდა სურვილი, რაც შეიძლება მალე შეიტყოს საქართველოს ნაკრებში გამოძახებულთა ვინაობა. მთავარი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** არ ჩქარობს. როგორც გავიგეთ, ნაკრების შემადგენლობის გამოქვეყნებამდე კიდევ მოგვიწევს ცოტა მოცდა - 18-კაციან სიას გულშემატკივარი 27-28 ივნისს გაეცნობა.

როგორც ხედავთ, უკვე გადაწყვეტილია, რომ საწყის ეტაპზე ეროვნულში 18 კალათბურთელი ივარჯიშებს. შესაძლოა, კანდიდატთა რიცხვი ოცსაც ასცილებოდა, იგორ კოკოშკოვს შეკრება თბილისში რომ გაემართა. იგი 18 კალათბურთელს ავსტრიაში იახლებს. იქ მოამზადებს და ევრობასკეტისთვის საუკეთესო თოთხმეტეულს შეარჩევს. მოგეხსენებათ, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის წინ ფიბა-ევროპამ ნაკრებებს ლიტვაში 14 კალათბურთელის წაყვანის უფლება მისცა. მწვრთნელი კი ყოველი მატჩის წინ განაცხადში 12 მოთამაშეს შეიყვანს.

■ ■ ■

სად რამდენი სპორტსმენი წავა, ეგ გავარკვიეთ, ახლა საინტერესოა, პასუხი კითხვაზე - ვინ? ვინ მოხვდება ევრობასკეტზე ქართველთა 14-კაციან განაცხადში. ეს აგვისტოში გაირკვევა, თუმცა თოთხმეტს ვინ ჩივის, როცა არც წინასწარი შემადგენლობა ვიცით. როგორც გითხარით, მწვრთნელი ჯერაც ფიქრობს ვინ შეიყვანოს გაფართოებულ სიაში და საბოლოო პასუხს ივნისის ბოლოს მოგვცემს. მანამდე მკითხველი ინფორმაციულ სიმწირეში რომ არ ვამყოფოთ, ჩამოგითვლით იმ კალათბურთელების ვინაობას, რომელთა 18-კაციან სიაში მოხვედრა გადაწყვეტილია.

მაისშივე ითქვა - საქართველოს ნაკრების შეკრებაზე სხვა კანდიდატებთან ერთად ის კალათბურთელები ივარჯიშებენ რომლებიც 2010 წელს შესარჩევ ტურნირში მონაწილეობდნენო. ასეთი თორმეტია: **გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე, ტორინ გრინი, კოტე ტუღუში, ანატოლი ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, თორნიკე შენგელია, ნიკა ცქიტიშვილი, ნიკა მეტრეველი, გიორგი შერმადინი, ზაზა ფაჩულია.**

ამ შემადგენლობას დაემატება **ვლადიმერ ბოისა,** რომელიც ეროვნულ ნაკრებში 1998 წლიდან თამაშობს, გასულ წელს მუხლის ოპერაცია გადაიტანა და ჩვენს გუნდს ვერ დაეხმარა.

ცნობილია ისიც, რომ შეკრებაზე უკვე დაუძახეს **ლევან ფაცაციას, მიხეილ ბერიშვილსა** და **გიორგი შარაბიძეს**. შეგროვდა 16 კალათბურთელი. კიდევ ვინ მოხვდება ნაკრებში ჯერ არ ვიცით, თუმცა კანდიდატები შეიძლება როგორც საქართველოს ჩემპიონატში ვეძებოთ, ასევე ახალგაზრდულ ნაკრებში და ესპანეთის პირველობაზე...

■ ■ ■

20-წლამდელთა ნაკრებს ეროვნულის მეორე მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი** ხელმძღვანელობს. მას ახალგაზრდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე (ბოსნიაში) 13 ივლისს მიჰყავს, მატჩები 14-ში დაიწყება. შეჯიბრების დასრულების შემდეგ მწვრთნელიცა და 20-წლამდელთა ნაკრების გამორჩეული კალათბურთელებიც ეროვნულს 25 ივლისს შეუერთდებიან. თორნიკე შენგელია იგორ კოკოშკოვის სიაში რომ არის, უკვე მოგახსენეთ. კიდევ ვინ გადავა ახალგაზრდულიდან ეროვნულში, 20-წლამდელების ოფიციალურ მატჩებზე იქნება დამოკიდებული. შეიძლება ეს **მერაბ ბოქოლიშვილი** იყოს, რომელმაც გასული სეზონი იტალიურ „აველინოში" გაატარა...

ამ ქვეთავშივე უნდა შევეხოთ **ტაირონ ელისის** საკითხს, რომელიც საქართველოს ნაკრებში 2006-დან 2009-მდე თამაშობდა. თუმცა, შარშან ზაფხულს ოჯახური გარემოებების გამო ჩვენს ნაკრებს ვერ დაეხმარა. ამიტომ მის ნაცვლად ნაკრებში ტორინ გრინი მიიწვიეს. არ არის გამორიცხული, იგორ კოკოშკოვმა გრინის პარალელურად ტაირონ ელისსაც უხმოს და 14-კაციან საევრობასკეტო სიაში შეიყვანოს. რადგან კონკრეტული მატჩის წინ 12-კაციან განაცხადში ნებისმიერი გუნდის მწვრთნელს მხოლოდ ერთი ნატურალიზებულის შეყვანის უფლება აქვს, იგორ კოკოშკოვი თავისი შეხედულებისამებრ იმოქმედებს - ან გრინს ათამაშებს, ან ელისს. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია. დაუბრუნდება თუ არა ნაკრებს ელისი, 27-28 ივნისს გავიგებთ.

ნაკრების დანარჩენ 5 კანდიდატზე მას შემდეგ უფრო ვრცლად ვილაპარაკებთ, რაც შემადგენლობა ოფიციალურად გამოცხადდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ცვლილებები არმიაში

# ჩემპიონს ლევან მოსეშვილი აღარ გაწვრთნის

საქართველოს ჩემპიონი „არმია" თურქული შეკრებიდან 16 ივნისს დაბრუნდა. გუნდი სეზონის დასრულების შემდეგ ორკვირიან შეკრებაზე იყო. გარდა იმისა, რომ კალათბურთელები ემზადებოდნენ, რთული სეზონის მერე ანთალიაში დასვენების საშუალებაც ჰქონდათ.

მოგეხსენებათ, „არმია" მომავალ სეზონში ევროჩელენჯზე იასპარეზებს, რისთვისაც გუნდის ხელმძღვანელები შემადგენლობის გაძლიერებას აპირებენ. მკითხველს აინტერესებს, როგორც სატრანსფერო სიახლეები, ასევე თურქული შეკრების შედეგები. ამიტომ, გუშინ დავუკავშირდით „არმიის" მთავარ მწვრთნელ **ლევან მოსეშვილს**... თუმცა, ბატონი ლევანი როგორც ყოფილი მწვრთნელი ისე გველაპარაკა.

სახსრები მაწუხებდა და „არმიას" თურქულ შეკრებაზე არ გავყოლილვარო, გვითხრა გამოცდილმა სპეციალისტმა. თუმცა გუნდის თბილისში დაბრუნების შემდეგ მისთვის უთქვამთ, რომ ახალი სეზონისთვის „არმიას" სხვა მწვრთნელი გაუძღვება. ლევან მოსეშვილი გუნდის ორგანიზაციაში დარჩება. მას ხომ დიდი წვლილი მიუძღვის სადებიუტო სეზონში „არმიის" წარმატებაში. 2010-11 წლების სეზონში გუნდმა საქართველოს თასი, სუპერთასი და ჩემპიონობა მოიგო.

სამწვრთნელო საკითხთან დაკავშირებით ზოგი რამ დღეს გაირკვევა და უფრო კონკრეტულად ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ. ახლა მხოლოდ იმას დავძენთ, რომ „არმიას" თურქეთში მწვრთნელი **ვაჟა მხეიძე** ახლდა.

რადგან თავკაცის საკითხი ბურუსმა მოიცვა, ჯერ ვერც საევროჩელენჯო შემადგენლობაზე ვიტყვით რამეს, რადგან გუნდის შერჩევა სწორედ გუნდის მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი



მატჩის გმირი ბექა მეკოკიშვილი

# აკადემია-აღმოჩენა და ავტორიტეტების რისხვა

| | |
|---|---|
| აკადემია | 30 |
| ლელო | 19 |

**აკადემია** (15-9) ი.დავითაშვილი, გოგოლაშვილი, ნასიძე, მოლოდინაშვილი, ჭუაძე, მარგიანი, ქოპილაშვილი. (1-8) ზაქაშვილი (დიაკონიძე 41), მეკოკიშვილი, ლამბაშიძე, ნებულიშვილი, გაჩეჩილაძე, ნიბლაძე, გოგოლაძე (მაღლაკელიძე 56), ჩხიკვაძე (მოსეშვილი 53)
**3ლ:** მეკოკიშვილი (2), ქოპილაშვილი. 3გ,3ს: მეკოკიშვილი
**ლელო** (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ანდღულაძე, ლომინაძე (კორკელია 41), ჯოგლიძე, მჭედლიშვილი (ჭინჭარაული 76), კაჭარავა. (1-8) სანიკიძე (გაბელია 75), ჭყონია, სუჯაშვილი, კოლელიშვილი (სურგულაძე 60), ი.დაუშვილი (აზალაძე 41), მძინარიშვილი, დ.დაუშვილი, ჯვარშეიშვილი (სარდანაშვილი 31)
**ლ:** მჭედლიშვილი. 4ს,გ: ყიასაშვილი
**მსაჯი:** მ.ჩაჩუა

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში ერთი შეხვედრა გაიმართა და ისიც სენსაციურად დასრულდა. ან იქნებ, ეს სულაც არ იყო სენსაცია? „აკადემიამ", რომელიც მუდამ ბრძოლისუნარიანობით და ჟინიანი თამაშით გამოირჩეოდა, ზედიზედ ორი ფავორიტი დაამარცხა. წინა, მე-6 ტურში აკადემიელებმა საქართველოს ჩემპიონ „ლოკომოტივს" მოუგეს, ამჯერად კი თასის მფლობელი „ლელო" გაანბილეს - 30:19.

მანამდე **პაატა ნარიმანაშვილის** სამწყსომ კიდევ ერთ ფავორიტ „არმიასთან" ითამაშა ფრედ 22:22, თუმცა იმ თამაშის მოგებაც შეეძლოთ. ერთადერთი, ვისაც მათ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს აქამდე დაუმარცხებელი, გათამაშების ლიდერი ქუთაისის „აია" იყო.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ „აკადემიამ" თავისი თამაში იპოვა, გუნდი, რომელიც მთლიანად ამ კლუბის აღზრდილებითაა დაკომპლექტებული, საკმაოდ მრისხანე ძალად ჩამოყალიბდა და მიმდინარე ჩემპიონატში რეალურად შესწევს ძალა მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. ცხადია, გუნდში, საქმე იდეალურად აწყობილი არ არის, ხარვეზი და სუსტი წერტილები „აკადემიას" საკმარისი აქვს, თუმცა ამჟამად დადებითი უფრო მეტია და ეს თამაშზეც აისახა.

თამაში „აკადემიამ" ძალიან აქტიურად დაიწყო, იგრძნობოდა, რომ გუნდის განწყობა, შემართება მხოლოდ გამარჯვებისკენ იყო მიმართული და თითოეულმა მოთამაშემ არაფერი დაიშურა მიზნის მისაღწევად. ანგარიში აკადემიელებმა მე-7 წუთზე გახსნეს. ისინი მეტოქის 22-მეტრიან ზონაში მარცხენა ფრთიდან უტევდნენ. ლელოელები მოწინააღმდეგის მორკინალების მიძალებას მხოლოდ წესის დარღვევით უმკლავდებოდნენ. არბიტრმა ისინი ორჯერ დააჯარიმა, თუმცა „აკადემიამ" კარში დარტყმას საჯარიმოს გათამაშება ამჯობინა და არც შემცდარა. მორიგი მოკლე დრტყმით შერკინების კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა**, რომელიც ზოგადად რაგბიში უნიკალური მოვლენაა, ლელოში შეაღწია. მისი უნიკალურობა კი იმაში გამოიხატება, რომ გუნდის მთავარი დამრტყმელია. ბექამ ლელო თვითონვე გარდასახა და თავისი გუნდი დააწინაურა - 7:0. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეკოკიშვილი ამ მატჩის გმირად იქცა - „აკადემიას" 25 ქულა შესძინა.

„ლელო", ცხადია, მეტოქის ასეთ კადნიერებას არ ელოდა. ყველანაირად ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ეს ტაიმის მე-20 წუთამდე ვერაფრით მოახერხა. სწორედ მატჩის ამ მონაკვეთში შეძლეს ლელოელებმა პირველად მოწინააღმდეგის ნახევარზე გადასვლა და ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

ნელ-ნელა ლელოელებმა მეტოქის აღტყინება ჩააცხრეს და მალე ინიციატივაც ხელთ იგდეს. 26-წუთზე მათ საკმაოდ ეფექტური იერიში წამოიწყეს, რომელიც ლელოთი დასრულდა. „აკადემიას" 22-მეტრიან ზონასთან აგდებული დერეფანი „ლელომ" სუფთად მოიგო, ბურთი პირველხაზელ **მიხეილ სუჯაშვილს** მიაწოდეს, რომელმაც ხაზი გაჭრა და რამდენიმე მტრით წინ წაიწია, მერე ბურთი ყიასაშვილმა აიტაცა და მეტოქის ლელომდე რვა მეტრში შებოჭეს. ლელოელებმა მორკინალებმა რაკიდან რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს და მერე ცხრა ნომრემა **გიორგი კაჭარავამ** ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე მგეზავ **უჩა მჭედლიშვილს** გადააწოდა, რომელმაც ცრუ მანევრით მეტოქეს გვერდი აუარა და ლელო კარის ძელთან გაიტანა, ყიასაშვილმა გარდასახა, მანვე ტაიმის მიწურულს ერთი საჯარიმოც მიითვალა და პირველი ნახევარი „ლელომ" 13:7 მოიგო.

შესვენების შემეგ „აკადემიამ" მეტოქეს კიდევ უფრო შეუპოვარი, უკომპრომისო ბრძოლა გაუმართა. ტაიმის დებიუტში გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს - 16:10. 55-ე წუთიდან მოყოლებული კი, მოედანზე ყველაფერი მხოლოდ ერთ გუნდს გამოსდიოდა.

„აკადემიამ" ჯერ მეკოკიშვილის საჯარიმოთი შეამცირა ანგარიში, მერე კი, 59-წუთზე დაწინაურებაც მოახერხა. მათ მეტოქის ლელოდან 40 მეტრში დერეფნიდან მოლი ააგორეს და 35 მეტრი გაიარეს, იქ თამაში რაკში გადავიდა, მორკინალების რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ, ბურთი ცხრა ნომერმა **გიორგი ქოპილაშვილმა** აიტაცა და მოწინააღმდეგის ლელოში გადადო. გარდასახვა მეკოკიშვილმა გაიტანა - 20:16.

მომდევნო ათ წუთში გუნდებმა ისევ თითო ლელო გაცვალეს - 23:19 და დადგა გადამწყვეტი, დასკვნითი ათი წუთი. მატჩის ამ მონაკვეთში ორივე გუნდს მიეცა ლელოს გატანის შანსი. ლელოელებმა ის ვერ გამოიყენეს, „აკადემიას" ჩათვლის მოედანთან ერთ მეტრში რაკში ბურთი დააყოვნეს და დაჯარიმდნენ.

აი, მათმა მეტოქემ კი შანსი ხელიდან არ გაუშვა. თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, „ლელოს" ფულბეკმა ირაკლი ყიასაშვილმა სრულიად უხიფათო ვითარებაში ბურთი ვერაფრით მოიხელთა და გვერდით ხაზს იქით გადაუვარდა. „აკადემიამ" დერეფანი სუფთად მოიგო, თუმცა მოლის დაყენება ვერ მოახერხა. მორკინალების ორი მოკლე დარტყმის შემდეგ, ისევ მეკოკიშვილმა იყოჩაღა. მისი მიძალება ლელოელებმა ვარ შეაჩერეს და აკადემიელთა საუკეთესო მოთამაშემ გამარჯვების ლელო მიითვალა, რომელიც თვითონვე გარდასახა - 30:19.

| VII ტური |
|---|
| 29 ივნისი |
| არმაზი-ლოკომოტივი |
| 30 ივნისი |
| აია-არმია |
| 25 აგვისტო |
| ხარები-ყოჩები |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 6 | 6 | 0 | 0 | +95 | 12 |
| 2.არმია | 6 | 4 | 1 | 1 | +21 | 9 |
| 3.აკადემია | 7 | 3 | 2 | 2 | +8 | 8 |
| 4.ლელო | 7 | 4 | 0 | 3 | +36 | 8 |
| 5.ლოკომოტივი | 6 | 3 | 0 | 3 | +18 | 6 |
| 6.არმაზი | 6 | 2 | 1 | 3 | -27 | 5 |
| 7.ხარები | 6 | 1 | 0 | 5 | -66 | 2 |
| 8.ყოჩები | 6 | 0 | 0 | 6 | -85 | 0 |

## IRB-ს ერთა თასი

# რევანში შარშანდლისთვის

| | |
|---|---|
| საქართველო | 23 |
| ნამიბია | 18 |

**საქართველო** (15-9) მ.ურჯუკაშვილი (ბ.ურჯუკაშვილი 70), გუგავა, თოდუა, გიგაური, ჩხიკვაძე, ხმალაძე, სამხარაძე (1-8) შველიძე, ბრეგვაძე, ქუბრიაშვილი (კაკოვინი 50), ზედგინიძე (ნემსაძე 62), ვ.მაისურაძე, ბერიშვილი (ბასილაია 20), კოლელიშვილი, ზ.მაისურაძე
**2ლ:** სამხარაძე, გიგაური. 3ს,2გ: მ.ურჯუკაშვილი
**სინბინი:** ჩხიკვაძე
**ნამიბია** (15-9) ბოთა, ვინკლერი, ვიკი, დ.დე ლა ჰერპი, ბოკი (ფილანდერი 56), იანტისი, რ.დე ლაპარპი. (1-8) რედელინჰაუზი, ოკალაჰანი, ტოიტი, კოლი (ბლომი 41), ესტერჰუიზენი, დუ პლესი, კიტშოფი (ფან ლილი74), ნიუვენჰაუზი.
**2ლ:** ვინკლერი, ბოკი. 2ს,გ: იანტისი
**მსაჯი:** ენდრიუ სმოლი (ინგლისი)

საქართველოს ნაკრებმა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დასრულებული ტურნირის ბოლო ტურში ნამიბიის ნაკრებთან შარშან განცდილი მარცხის გამო რევანში აიღო - 23:18.

თამაში ჩვენი გუნდისთვის ძალიან ცუდად დაიწყო და მე-15 წუთისთვის უკვე თორმეტი ქულის სხვაობით აგებდნენ. ნამიბიელებმა მე-6 წუთზე შერკინებაში ბურთი წაგვართვეს და მარჯვნივ ხაზზე გაათამაშეს. „ბორჯღალოსნების" დაცვა ადგილზე დახვდა, მაგრამ აფრიკელებმა ორჯერ ფეხით გადაიკიდეს და ბოლოს კიდესთან ახლოს, ბურთი გარემარბ **ჰეინი ბოკის** ნადავლი გახდა, რომელმაც ანგარიში ლელოთი გახსნა. ფულბეკმა **ქრისანდერ ბოთამ** გარდასახვა ვერ გამოიყენა - 5:0.

აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო კარში ბოლო დარტყმა, რომელიც ნამიბიელებს გაუცუდდათ. ბოთამ და მგეზავმა **ევგენი იანტისმა** ჯამში 6 საჯარიმო ვერ გაიტანეს.

ოთხ წუთში იანტისმა ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა რვა ქულამდე გაზარდა - 8:0. კიდევ ოთხ წუთში უკვე საქართველოს ნაკრების ფულბეკმა **მალხაზ ურჯუკაშვილმა** ორმოცი მეტრიდან ასევე საჯარიმო გაიტანა - 3:8. მალე ნამიბიელებმა შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს. ჩვენ 22-მეტრიან ზონაში ბურთი შერკინებიდან გამოიტანეს, სწრაფად მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გამოათამაშეს, იანტისმა კიდესკენ ფეხით გადაკიდა და გარემარბმა **ლიველინ ვინკლერმა** ლელო გაგვიტანა, იანტისმა გარდასახა - 15:3.

ამის შემდეგ ნამიბიელებს, მეტ-ნაკლებად ხეირიანი აღარაფერი გაუკეთებიათ. ქართველმა მორაგბეებმა ნელ-ნელა შეძლეს გონს მოსვლა და 35-ე წუთზე ლელოს გატანაც მოახერხეს.

დერეფანი ნამიბიელთა ლელოდან 30 მეტრში მოვიგეთ. ბურთი მგეზავ **ლაშა ხმალაძეს** გაუტანეს, რომელმაც დაცვის ხაზის გაჭრა შეძლო, მას ჯერ შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე** წამოეშველა, რომელმაც ბურთი მარჯვნივ მესამეხაზელ **ვიქტორ კოლელიშვილს** გაატანა, ამან სამი მეტოქის გარემოცვაში ათიოდ მეტრი გაიარა, წარმოქმნილი რაკიდან ბურთი ცხრა ნომერმა **ბიძინა სამხარაძემ** აიტაცა და მარცხნივ, გრძელი ფრთისკენ შეუტია, აქ ცრუ მანევრით ორ მეტოქეს ხელიდან გაუსხლტა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. მალხაზ ურჯუკაშვილმა გარდასახა - 10:15, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ „ბორჯღალოსნები" უპირატესობას დაეუფლნენ, შერკინება ჩვეულად მძლავრად ამოქმედდა და თამაშის განახლებიდან ოთხ წუთში ანგარიშში დავწინაურდით. ჩვენმა მორაგბეებმა მეტოქეს ზედ კარის პირდაპირ ლელოს მისადგომებთან სამწუთიანი შტურმი მოუწყვეს, მერე სამხარაძემ, მოულოდნელად, მარცხნივ ხაზზე შუამარბ **რეზო გიგაურს** გადააწოდა, რომელმაც გვერდი ორ მოწინააღმდეგეს აუარა და ბურთი ჩათვლის მოედანში შეიტანა, ურჯუკაშვილმა გარდასახა და მატჩში პირველად დავწინაურდით - 17:15.

ნამიბიელებმა ერთ წუთში ანგარიში ისევ სათავისოდ ხელსაყრელი გახადეს. იანტისმა საჯარიმო გაიტანა - 18:17. ამაზე მახომ ორი საჯარიმოთი უპასუხა და მე-60 წუთისთვის 23:18 დავწინაურდით.

თამაშის დასრულებამდე ოცი წუთი იყო დარჩენილი. ეს საკმარისი დროა, ასეთი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ნამიბიელებმა, მიუხედავად იმისა, რომ 66-ე წუთდან არბიტრმა **ირაკლი ჩხიკვაძე** სინბინში გაუშვა და კაცნაკლულნი დავრჩით, დაცვაში ყურადღებით მოთამაშე „ბორჯღალოსნებს" ვერაფერი დააკლეს.

მონაგარს, იმისა მიუხედავად, რომ რამდენჯერმე ხელსაყრელი ვითარება შექმნეს, ვერც ჩვენმა მორაგბეებმა შემატეს რამე, თუმცა გამარჯვების მოსაპოვებლად 23 ქულაც საკმარისი აღმოჩნდა.

**მატჩის შემდეგ**

**რიჩი დიქსონი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„მიზანი, რასაც ჩვენი ამ ტურნირში მონაწილეობა ითვალისწინებდა, მიღწეულია. განვლილმა თამაშებმა ბევრ კითხვაზე გაგვცა პასუხი. ახლა ჩვენთვის მთავარია გუნდი მსოფლიო თასისთვის სათანადოდ მოვამზადოთ,"* - თქვა **რიჩი დიქსონმა.**

**ჯონ მაგლტონი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„საქართველოს ნაკრებთან მუშაობა შარშან ნოემბერში დავიწყე. ვფიქრობ, საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავე. ალბათ ხედავთ, რომ ეს ბიჭები ნელ-ნელა იზრდებიან. ისინი ძალიან მონდომებულები არიან, უნდათ სულ უფრო მეტი ისწავლონ და თამაშისას უკომპრომისო ხასიათით გამოირჩევიან.*

*ჩვენი ნაკრების შერკინება ძალიან ძლიერი და მობილურია, ახლა მთავარია, მათ დონეს გავუთანაბროთ უკანახაზელების თამაშის დონეც, რაც მეტ ეფექტს და ბევრად უკეთეს შედეგს მოგვცემს.*

*ქართველები ძალიან ლამაზი, კეთილშობილი ხალხია. ყველა ღონეს ვხმარობ რომ ქართული ვისწავლო და მათ მშობლიურ ენაზე ვესაუბრო. ვფიქრობ, რომ ეს უფრო სარგებლის მომტანი იქნება და მათი მხრიდან მეტ პატივისცემას დავიმსახურებ".*

**IRB-ს ერთა თასი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-ს.აფ.კინგზი | 39:12 |
| რუმინეთი-არგენტინა A | 13:37 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ს.აფ.კინგზი - 13 ქულა, 2. საქართველო - 8, 3. არგენტინა A - 7, 4. ნამიბია - 6, 5. რუმინეთი - 5, 6. პორტუგალია - 5.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ზვიად მაისურაძის შეტევა

msy.gov.ge

● რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლოების მეასე პოდიუმი

ამუიქ ენდზე ფორმულა 1-ის პილოტები ისვენებდნენ, ამიტომაც საავტომობილო სამყაროში მთავარი მოვლენა რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი - ლეგენდარული რბოლა „აკროპოლისის რალი“ იყო, რომელიც საბერძნეთის ქვაღორღიან გზებზე გაიმართა.

წელს რალის პირველობა საინტერესოდ მიმდინარეობს, რადგან აღარ შეინიშნება წინა ექვსი ჩემპიონატის ტრიუმფატორის **სებასტიან ლოების** დომინირება. ამ სეზონში ფრანგს ძალიან ავიწროებენ კონკურენტები და ამის დამადასტურებელი იყო „აკროპოლისის რალი“.

მაგალითად, პირველ დღეს რალისტებმა ექვსი სპეცმონაკვეთი გაიარეს და „სიტროენის“ პილოტმა, ნორვეგიელმა **პეტერ სოლბერგმა** 51 წამი მოუგო ამავე მანქანით მოასპარეზე ლოებს. თანაც ფრანგს კვალში ედგნენ **მიკო ჰირვონენი** „ფორდითა“ და **სებასტიან ოჟიე** „სიტროენით“ - მათი ჩამორჩენა ლოებთან 4-5 წამის ინტერვალში მერყეობდა. რა თქმა უნდა, პრეტენდენტებიდან მათი გამორიცხვა არ შეიძლებოდა.

საბოლოოდ, ყველაზე მეტად სებასტიან ოჟიეს გაუმართლა, რომელმაც ბოლო დღეს გამოსტაცა ხელიდან გამარჯვება ლოებს. ამით ახალგაზრდა ფრანგმა საერთო ჩათვლაში შეამცირა სხვაობა თანამემამულესთან და ჰირვონენთან.

*„ეს რალი ძალიან წარმატებული იყო ჩემთვის,* - განაცხადა ბერძნული ეტაპის ტრიუმფატორმა. - *პარასკევს ძალიან გამიჭირდა, მაგრამ შემდეგ ვიპოვე საჭირო ტემპი, განსაკუთრებით ბოლო დღეს, როცა მთელი ძალით ვუტევდი“.*

სხვათა შორის, „აკროპოლისის რალიში“ მოპოვებული მეორე ადგილის წყალობით ლოებმა საიუბილეო - მეასე პოდიუმი დააფიქსირა, თუმცა ჩემპიონატის ლიდერი მაინც ვერ იყო ხასიათზე, რადგან ბოლო მომენტში დაკარგა გამარჯვება. ლოებს მიაჩნია, რომ ოჟიემ არა სისწრაფის, არამედ ტაქტიკის ხარჯზე გაიმარჯვა, რადგან ახალგაზრდა პილოტი სიჩქარეს აგდებდა, რათა მომდევნო დღე მეტოქეებს დაეწყოთ და შესაბამისად, მისთვის გზა გაეწმინდათ.

პირველი დღის ლიდერი **პეტერ სოლბერგი**, საბოლოოდ, მეოთხე ადგილზე გავიდა - მან წინ არამარტო „სიტროენის“ პილოტები, არამედ ჰირვონენიც გაუშვა. რაც შეეხება **კიმი რაიკონენს**, მან ყოველგვარი რისკის გარეშე გაიარა მთელი დისტანცია და ქულათა ზონაში (მეშვიდე ადგილი) მოხვდა.

**VII ეტაპი. საბერძნეთის რალი**

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 4:04.44,3; 2. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - +10,5; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +13,5; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - +38.8; 5. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +5.24,7; 6. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი“) - +6.54,7; 7. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - +8.29,4...

**საპილოტო ჩათვლა**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 146 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 129; 3. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 124; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 76; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - 73; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი“) - 48; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი“) - 36; 8. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - 24; 9. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - 20; 10. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი“) - 20...

● ჩოგბურთი

გრაფი და ბეკერი



# გრაფი შუმის ჩამორჩა

პოპულარულმა გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა თავის მკითხველებს შორის იმის გასარკვევად - ვინ მიიჩნევა გერმანიის ისტორიაში ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად. საერთო ჯამში, ტელეფონითა და ინტერნეტით 50 შეთავაზებული კანდიდატიდან 56 652-მა ადამიანმა აირჩია მისთვის სასურველი ათლეტი.

1988 წელს „დიდი სლემის“ მფლობელმა, ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა **შტეფი გრაფმა** 10.5 პროცენტით მეოთხე ადგილი დაიკავა. სიაში მეექვსე იყო **ბორის ბეკერი**, რომელსაც რესპონდენტთა 3.2 პროცენტმა მისცა ხმა.

გამოკითხვის ლიდერი გახდა ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი**. მან ხმების 28.36 პროცენტი მიიღო, რაც ორჯერ მეტია უახლოეს მდევარზე, ლეგენდარულ ფეხბურთელ **ფრანც ბეკენბაუერზე**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი

# ოქროს კლუბის ახალი წევრი

## იარომირ იაგრი მეათედ გახდა წლის ჰოკეისტი

„ბოსტონ ბრუინზის“ ფორვარდმა **პატრის ბერჟერონმა** სტენლის თასზე გამარჯვების შემდეგ ისტორიაში ჩაწერა თავისი სახელი - ის ე. წ. „ოქროს კლუბის“ წევრი გახდა. კანადელი თავდამსხმელი მხოლოდ 25-ე მოთამაშეა ლიგაში, რომელსაც მოგებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონატი, ოლიმპიადა და სტენლის თასი.

ბერჟერონმა ოლიმპიადის ოქრო შარშან ვანკუვერში მოიგო, მსოფლიოს ჩემპიონატზე 2004 წელს გაიმარჯვა, სტენლის თასს კი რამდენიმე დღის წინ დაეუფლა.

უფრო მეტიც, ბერჟერონი უნიკალური მიღწევის ავტორია: თავიდან პატრისმა მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი პირველი ნაკრებებისთვის, 2005 წელს კი მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე გაემგზავრა და იქაც ოქროს მედალი მოიპოვა.

25 წლის ბერჟერონი „ბოსტონმა“ 2003 წლის დრაფტზე 45-ე ნომრად აირჩია. NHL-ში მან 456 მატჩი ჩაატარა და 337 ქულა დააგროვა.

ბერჟერონი ისეთი ლეგენდარული ჰოკეისტების გვერდით დადგა, როგორებიც არიან: **პეტერ ფორსბერგი, იარომირ იაგრი, ვიაჩესლავ ფეტისოვი, იგორ ლარიონოვი, ჯო საკიკი, ბრენდან შენეჰანი, ვალერი კამენსკი, ალექსანდრ მოგილნი, რობ ბლეიკი, სკოტ ნიდერმაიერი, ნიკლას ლიდსტრიომი, კრის პრონგერი, ჰენრიკ ზეტერბერგი, ერის სტაალი, ჯონათან ტეუვზი** და სხვები.

■ ■ ■

ამასობაში, ლეგენდარული ფორვარდი **იარომირ იაგრი** მეათედ გახდა ჩეხეთის წლის საუკეთესო ჰოკეისტი.

მწვრთნელების, ექსპერტებისა და ჟურნალისტების გამოკითხვაში 39 წლის იაგრმა 1005 ქულა დააგროვა, უკან ჩამოიტოვა „მონრეალ კანადიენსის“ ფორვარდი **ტომაშ პლეკანეცი** (804 ქულა) და „ავანგარდში“ თავისი თანაგუნდელი **რომან ჩერვენკა** (743). ასევე ხუთეულში მოხვდნენ „ატლანტას“ მეკარე **ონდრჟეი პაველეცი** (662) და „ნიუ ჯერსის“ ფორვარდი **პატრიკ ელიაში** (352).

გასულ სეზონში იაგრმა KHL-ის ლიგის 49 მატჩში 50 (19+31) ქულა დააგროვა. წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვეტერანის მონაგარი იყო ხუთი გოლი და ოთხი შედეგიანი პასი. ჩეხეთმა პლანეტის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

როგორც ვთქვით, ეს იაგრისთვის მეათე აღიარებაა. ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა ლეგენდარული მეკარე **დომინიკ ჰაშეკი**, რომელიც ხუთჯერ გახდა ჩეხეთის საუკეთესო მოთამაშე.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2011**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ისლანდია-დანია | 3:1 |
| შვეიცარია-ბელარუსი | 3:0 |
| ინგლისი-ჩეხეთი | 1:2 |
| უკრაინა-ესპანეთი | 0:3 |

**მს. ჩემპიონატი**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| მექსიკა-ჩრ. კორეა | 3:1 |
| საფრანგეთი-არგენტინა | 3:0 |
| კონგო-ჰოლანდია | 1:0 |
| იაპონია-იამაიკა | 1:0 |
| რუანდა-ინგლისი | 0:2 |
| უზბეკეთი-ახ. ზელანდია | 1:4 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ავსტრია (ლ)-დუისბურგი | 1:3 |
| აინტრახტი-შენიცა | 2:1 |
| რიდი-სლოვანი | 1:1 |
| პარტიზანი-რაბოტნიჩკი | 5:1 |

**იტალია**

**სერია B/C. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო რომა-იუვე სტაბია | 0:2 |
| სალერნიტანა-ვერონა | 1:0 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ელჩე-გრანადა | 1:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ჰაუგესუნდი-სტარტი | 1:0 |
| მიოლდე-სიოგნდალი | 2:0 |
| ბრანი-ოლესუნდი | 1:1 |
| ფრედრიკსტადი-ოდ გრენლანდი | 0:1 |
| ლილესტრიომი-სტრიომსგოდ. | 4:2 |
| სტაბეკი-ვიკინგი | 0:1 |
| ვოლერენგა-სარპსბორგი | 2:0 |
| რუსენბორგი-ტრომსიო | 3:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მიონდალენი-ჰიონეფოსი | 2:2 |
| ალტა-ბოდო გლიმტი | 3:3 |
| ჰიოდი-სტრიომენი | 4:0 |
| კონგსვინგერი-ლოვ ჰამი | 4:0 |
| ნილი-ბრინი | 1:2 |
| რანდაბერგი-რანჰაიმი | 1:4 |
| სანდეფიორდი-ჰამ კამი | 1:2 |
| სანდნესი-ასკერი | 4:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ჰალმსტადი-ერებრო | 0:0 |
| გეფლე-ელფსბორგი | 1:0 |
| ტრელებორგი-ჰაკენი | 1:4 |
| მიალბიუ-გიოტებორგი | 0:2 |
| ნორჩოპინგი-ჰელსინგბორგი | 0:0 |
| გაის-აიკ | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლიუნგსკილე-კვიდინგი | 2:1 |
| ბრაგე-ვასტერასი | 2:0 |
| დეგერფორსი-ბრომაპიოკარნა | 1:0 |
| ოსტერი-ანგელჰოლმი | 0:2 |
| ჰამარბიუ-ვარნამო | 1:0 |
| ასირისკა-იონჩოპინგი | 1:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰაკა-ჰიკ | 0:5 |
| იარო-მიუპა | 1:5 |
| მარიეჰამნი-ჰონკა | 1:0 |
| კუოპიო-ტურკუ | 1:1 |
| როვანიემი-ვაასა | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-კპვ | 4:0 |
| ოულუ-ვიიკინგიტი | 2:1 |
| იიპო-ლაჰტი | 0:0 |
| ოპს-ჰამეენლინა | 0:0 |
| კემი-პოპა | 0:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| სლიგო-უნივერსიტი | 4:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეთლონი-ლონგფორდი | 1:1 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| დინამო-ტომი | 3:0 |
| ამკარი-ანჟი | 0:0 |
| ვოლგა-ზენიტი | 0:2 |
| ნალჩიკი-ცსკა | 0:2 |
| ტერეკი-კრილია | 2:0 |
| ყუბანი-კრასნოდარი | 0:1 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 0:2 |
| როსტოვი-რუბინი | 1:3 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| მინსკი-დინამო (ბრ) | 1:1 |
| ბელშინა-ტორპედო | 2:2 |
| ვიტებსკი-შახტარი | 0:2 |
| ბატე-დნეპრი | 5:0 |
| გომელი-დინამო (მნ) | 5:1 |
| ნემანი-ნაფტანი | 4:2 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| ტრანსი-კალიუ | 1:3 |
| პაიდე-კალევი | 1:0 |
| აიაძსი-კურესაარე | 2:2 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| დაუგავა-იურმალა | 1:0 |
| ოლიმპსი-გულბენე | 1:3 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ატლანტასი-შიაულიაი | 0:2 |
| ტაურასი-ბანგა | 0:3 |
| კრუოია-ჟალგირისი | 0:1 |
| დაინავა-კაუნასი | 1:0 |
| ეკრანასი-მაჟეიკიაი | 5:0 |
| სუდუვა-კლაიპედა | 2:1 |

**ბალტიის ლიგა**

| | |
|---|---|
| ვენტსპილსი-სკონტო | 1:1 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-ურაკანი | 5:1 |
| ხიმნასია (ლ-პ)-ბოკა | 2:2 |
| რივერი-ლანუსი | 1:2 |
| არგ. ხუნიორსი-ტიგრე | 1:1 |
| კილმესი-ოლიმპო | 0:1 |
| გოდოი-ოლ ბოისი | 1:0 |
| არსენალი-ესტუდიანტესი | 1:0 |
| ნიუელსი-კოლონი | 1:0 |
| ბანფილდი-სან ლორენსო | 1:1 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-ბაია | 0:1 |
| ამ. მინეირო-კრუზეირო | 1:1 |
| სეარა-სან პაულუ | 0:2 |
| ფიგუერენსე-ატ. პარანაენსე | 2:0 |
| ფლამენგო-ბოტაფოგო | 0:0 |
| გრემიო-ვასკო | 1:1 |
| პალმეირასი-ავაი | 5:0 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| ატ. ნასიონალი-ლა ეკვიდადი | 2:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ელ ნასიონალი-ლიგა დე ლოხა | 0:1 |
| დეპ. კუენსა-ინდეპენდიენტე | 3:1 |
| ემელეკი-ესპოლი | 2:0 |
| იმბაბურა-ბარსელონა | 0:2 |
| ლდუ კიტო-ოლმედო | 1:1 |
| მანტა-დეპ. კიტო | 2:0 |

**კონკაკაფი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| კოსტა რიკა-ჰონდურასი | 1:1 პენ. 2:4 |
| მექსიკა-გვატემალა | 2:1 |
| იამაიკა-აშშ | 0:2 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| ტორონტო-სიეტლი | 0:1 |
| ნიუ ინგლენდი-ჩიკაგო | 1:1 |
| ჰიუსტონი-კოლამბუსი | 0:2 |
| სოლტ ლეიკი-დი სი იუნაიტედი | 1:1 |
| კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1:3 |
| ვანკუვერი-ფილადელფია | 1:0 |
| ჩივასი-დალასი | 1:2 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| გამბა-იოკოჰამა | 2:1 |
| ურავა-შიმიცუ | 1:3 |
| კოფუ-სერეზო | 0:2 |
| კავასაკი-ჰიროშიმა | 2:0 |
| ფუკუოკა-კაშივა | 0:2 |
| ნაგოია-ომიია | 2:2 |
| იამაგატა-კობე | 2:0 |
| კაშიმა-ივატა | 2:0 |
| ნიიგატა-ვეგალტა | 1:1 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი 2011**

**ქალები**

| | |
|---|---|
| თურქეთი-ლიტვა | 58:64 |
| რუსეთი-სლოვაკეთი | 68:66 |
| თურქეთი-სლოვაკეთი | 76:60 |
| რუსეთი-ლიტვა | 64:76 |
| ბელარუსი-ბრიტანეთი | 55:40 |
| ჩეხეთი-ისრაელი | 72:56 |
| ბელარუსი-ისრაელი | 68:41 |
| ჩეხეთი-ბრიტანეთი | 60:45 |
| ესპანეთი-გერმანია | 79:69 |
| პოლონეთი-ჩერნოგორია | 53:70 |
| ესპანეთი-ჩერნოგორია | 57:66 |
| პოლონეთი-გერმანია | 75:60 |
| საბერძნეთი-ლატვია | 67:57 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 86:40 |
| საბერძნეთი-ხორვატია | 63:65 |
| საფრანგეთი-ლატვია | 56:59 (ო) |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მონტეპასკი-კანტუ | 63:61 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ალბა | 72:65 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ისტბურნი**

| | |
|---|---|
| კუნიცინი-სეპი | 4:6, 6:2, 4:6 |
| ნიშიკორი-ტიპსარევიჩი | 2:6, 4:6 |
| სეპი-ტიპსარევიჩი | 7:6, 3:6, 5:3 უარი |

**ATP. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ტურსუნოვი-დოდიგი | 6:3, 6:2 |

**WTA. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ვინჩი-დოკიჩი | 6:7. 6:3, 7:5 |

**WTA. ისტბურნი**

| | |
|---|---|
| კვიტოვა-ჰანტუხოვა | 7:6, 4:2 უარი |
| სტოსური-ბარტოლი | 3:6, 1:6 |
| ბარტოლი-კვიტოვა | 6:3, 6:1 |

● TV პროგრამა

**20 ივნისი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. სეარა-სან პაულო.
**12:00** ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
**14:00** ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ნაპოლი.
**16:00** სუპერ-მატჩი.
**18:00** ჩემპიონის გზა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ალკმაარი.
**20:00** სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ.
**21:30** არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-რასინგი.
**23:30** ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-მანჩესტერ იუნ.
**01:30** სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი.
**12:00** კალათბურთი. ევროლიგა. პარტიზანი-მონტეპასკი.
**14:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-ინგლისი.
**16:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. უიმბლდონი. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**14:55** ჩოგბურთი. უიმბლდონი. I დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**16:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ხორვატია-ლატვია. პოლონეთი (LIVE).
**19:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).
**22:25** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. საბერძნეთი-საფრანგეთი. პოლონეთი (LIVE).

**SPORT+**

**19:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ეკვადორი. მექსიკა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**14:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სინგაპურის თასი. სინგაპური-ფლამენგო (LIVE).
**16:45** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სინგაპურის თასი. იუვენტუსი-ნიუკასლი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ეკვადორი. მექსიკა (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011

# როჯერი და ნოვაკი ერთ მხარეს არიან

ბადისთვის თვალის ერთი გადავლებით ისე ჩანს, რომ **რაფაელ ნადალს** მაინცდამაინც არ გაუმართლა, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, საერთო ჯამში ესპანელი წილისყრით უკმაყოფილო არ დარჩებოდა. მესამე წრეში რაფა ფრთხილად უნდა იყოს **მილოშ რაონიჩის** წინააღმდეგ. მაგრამ ჯერ ერთი კანადელმა ამ სტადიამდე უნდა მიაღწიოს, თანაც ცნობილი არ არის გამოუცდელი მილოში მსოფლიოს პირველ ჩოგანთან შეხვედრაში შეძლებს თუ არა წარმატებით თამაშს. შემდეგ იქნება **ხუან მარტინ დელ პოტრო**, რომლისთვისაც ბალახი არ არის კომფორტული საფარი, ამიტომაც ჯერ გადაწყვეტილი არ არის არგენტინელის მეოთხე წრეში გასვლა.

2010 წლის უიმბლდონის ფინალისტი **ტომაშ ბერდიხი** ბადის პირველ მეოთხედში მოხვდა ნადალთან, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება დარწმუნებით, რომ ჩეხი მეოთხედფინალში ითამაშებს, რადგან ბოლო დროს ტომაში მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ გამოიყურება და, შესაძლოა, **მარდი ფიშმაც** კი მოიტოვოს უკან. თანაც ბერდიხს ნადალთან ბოლო ცხრა შეხვედრა აქვს წაგებული. ასე რომ, რაფაელს საკმაოდ კარგი ბადე აქვს, თანაც პირველი ორი წრე ხიფათს არ შეიცავს, ასე რომ, ესპანელს ექნება დრო უიმბლდონის ბალახთან შესაგუებლად.

რაფაელის სავარაუდო მეტოქე ნახევარფინალში **ენდი მიურეი** იქნება. ამ ეტაპამდე ბრიტანელი მთავარ ხიფათს **ივან ლუბიჩიჩისგან, რიშარ გასკესგან** და **ენდი როდიკისგან** უნდა ელოდოს. ამ უკანასკნელმა ერთხელ უკვე მოუგო შოტლანდიელს უიმბლდონზე. რთული სათქმელია, შეძლებს თუ არა ამერიკელი იმავეს გაკეთებას, რადგან ცოტა ხნის წინ „ქუინზ კლაბის" ტურნირზე მიურეისთან სასტიკად დამარცხდა - 3:6, 1:6. ასე რომ, როლან გაროსის ნახევარფინალის (ნადალი-მიურეი) გამეორება სავსებით რეალურია.

კვლავ ერთად მოხვდნენ ბადის მეორე ნახევარში **როჯერ ფედერერი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. 2008 წლიდან მოყოლებული მათ მხოლოდ ორჯერ შეეძლოთ ერთმანეთის წინააღმდეგ ფინალში თამაში, თანაც ორივეჯერ როლან გაროსზე - 2008 და 2010 წელს. უიმბლდონი კი „დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირია, სადაც ისინი ერთმანეთს ნახევარფინალში არ შეხვედრიან. საერთოდაც, ბალახზე როჯერსა და ნოვაკს ურთიერთობა ჯერ არ გაურკვევიათ.

ფედერერის პირველი მეტოქე ყაზახეთის წარმომადგენელი **მიხაილ კუკუშკინია**. არც ჯოკოვიჩის სასტარტო ბარიერია მაღალი - ის ტურნირს **ჟერემი შარდისთან** მატჩით გახსნის. ფრანგმა ერთი კვირის წინ ნოტინგემის „ჩელენჯერის" ფინალამდე მიაღწია, რომელიც ჰარდზე იმართებოდა. ისე კი, ATP-ის დონეზე შარდის დიდი ხანია სერიოზული შედეგი არ უჩვენებია.

სერბსა და შვეიცარიელს გარკვეული პრობლემები შეიძლება შეექმნათ მესამე წრეში. იქ შვეიცარიელის სავარაუდო მეტოქე იქნება უიმბლდონის ყოფილი ფინალისტი **დავიდ ნალბანდიანი**, რომელიც ახლა არ არის საუკეთესო ფორმაში. ჯოკოვიჩს კი ელის მატჩი **მარკოს ბაღდატისთან**, ვინც ბოლო დროს კარგი ფორმა აკრიფა. თუმცა უკანასკნელ ხანს ისეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა, რომ ჩოგბურთელები, რომლებიც „დიდი სლემის" ჩემპიონატების წინ კარგად თამაშობდნენ დაბალრეიტინგიან ტურნირებში, შემდეგ პირველ წრეში ეთიშებოდნენ ბრძოლას. ასე რომ, კვიპროსელმა ძალიან უნდა მოინდომოს, რომ ვეტერანი **ჯეიმს ბლეიკის** ბარიერი გაიაროს. ნოვაკი, შესაძლოა, უსიამოვნებებს გადაეყაროს მეოთხე წრეში **მიკაელ ლოდრასგან**, თუმცა არ არის გამორიცხული თანამემამულე **ვიქტორ ტროიცკისგან** მიიღოს დახმარება.



ჯოკოვიჩთან ბადის ბოლო მეოთხედში მოხვდა მეხუთე ნომერი **რობინ სიოდერლინგი**. შვედს პირველივე წრიდან რთული ბადე აქვს - აქ მას ბალახის სპეციალისტი **ფილიპ პეტცშნერი** ელოდება. გერმანელი უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონია წყვილებს შორის, ცოტა ხნის წინ კი ჰალეს ტურნირის ფინალში ითამაშა. ამ ბარიერის დაძლევის შემდეგ სიოდერლინგს **კეი ნიშიკორისა** და **ლეიტონ ჰიუიტს** შორის გამარჯვებული ელის. პრინციპში, შვედი თავისი მერვედის ფავორიტია, წესით უნდა გავიდეს მეოთხედფინალში და მისი მატჩი ნოვაკთან ძალიან საინტერესო იქნება.

რაც შეეხება ფედერერს, მეოთხედფინალში მისი ყველაზე რეალური მეტოქე შეიძლება იყოს **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, რომელმაც ცოტა ხნის წინ ლონდონის ტურნირის ფინალში გააღწია. მაგრამ ფრანგის გეგმები, შესაძლოა, **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა** არიოს. უკრაინელმა ცონგას წელს ორჯერ მოუგო, შარშანდელ უიმბლდონზე კი მხოლოდ ხუთსეტიანი ბრძოლის შემდეგ დათმო შეხვედრა. თავად დოლგოპოლოვი პირველ წრეში **ფერნანდო გონსალესს** შეხვდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## უიმბლდონი. კაცების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

ნადალი (ესპ, 1)
რასელი (აშშ)
ანდუხარი (ესპ)
სვიტინგი (აშშ)
მიულერი (ლუქ)
ჰაასი (გერ)
ფონინი (იტა)
რაონიჩი (კან, 31)
დელ პოტრო (არგ, 24)
ჩიპოლა (იტა)
ო. როხუსი (ბელ)
დე შეპერი (საფ)
ჟილი (პორ)
სელა (ისრ)
როჟე ვასელენი (საფ)
სიმონი (საფ, 15)
ფიში (აშშ, 10)
გრანოლერსი (ესპ)
კოლშრაიბერი (გერ)
ისტომინი (უზბ)
ჰაასე (ჰოლ)
რიბა (ესპ)
შტეპანეკი (ჩეხ)
ვერდასკო (ესპ, 21)
ჩელა (არგ, 25)
მატოშევიჩი (ავსტრა)
იანგი (აშშ)
გოგომოლოვი (აშშ)
ბემელმანსი (ბელ)
ბენეტო (საფ)
ვოლანდრი (იტა)
ბერდიხი (ჩეხ, 6)
მიურეი (ბრიტ, 4)
ხიმენო ტრავერო (ესპ)
კამკე (გერ)
კავჩიჩი (სლოვენ)
სტახოვსკი (უკრ)
კოქსი (ბრიტ)
ლუბიჩიჩი (ხორ)
ჩილიჩი (ხორ, 27)
გასკე (საფ, 17)
ხირალდო (კოლ)
კუნიცინი (რუს)
სისლინგი (ჰოლ)
ფიშერი (ავსტრია)
ბოლელი (იტა)
სტარაჩე (იტა)
ვავრინკა (შვეიც, 14)
მონფილსი (საფ, 9)
ბახინგერი (გერ)
ზემლია (სლოვენ)
ლაჩკო (სლოვაკ)
კლემანი (საფ)
კუბოტი (პოლ)
კარლოვიჩი (ხორ)
ტიპსარევიჩი (სერ, 23)
ბელუჩი (ბრა, 30)
შუტლერი (გერ)
ფ. ლოპესი (ესპ)
ბერერი (გერ)
პოსპიშილი (ჩეხ)
ჰანესკუ (რუმ)
ა. ბეკი (გერ)
როდიკი (აშშ, 8)

აქვე გთავაზობთ მესამე წრის პოტენციურ წყვილებს.
ასე იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამ სტადიამდე
მხოლოდ განთესილები მიაღწევენ

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-მილან რაონიჩი (კან, 31)
ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 24)-ჟილ სიმონი (საფ, 15)
მარდი ფიში (აშშ, 10)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 21)
ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 25)-ტომას ბერდიხი (ჩეხ, 6)
ენდი მიურეი (ბრიტ, 4)-მარინ ჩილიჩი (ხორ, 27)
რიშარ გასკე (საფ, 17)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14)
გაელ მონფილსი (საფ, 9)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 23)
ტომაშ ბელუჩი (ბრა, 30)-ენდი როდიკი (აშშ, 8)
დავიდ ფერერი (ესპ, 7)-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ, 26)
ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22)-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 12)
ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 16)-მიხაილ იუჟნი (რუს, 18)
დავიდ ნალბანდიანი (არგ, 28)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)
რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 29)
ფლორიან მაიერი (გერ, 20)-იურგენ მელცერი (ავსტრია, 11)
ვიქტორ ტროიცკი (სერ, 13)-მიკაელ ლოდრა (საფ, 19)
მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 32)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

ფერერი (ესპ, 7)
პერი (საფ)
დოდიგი (ხორ)
ჰარისონი (აშშ)
ბერლოკი (არგ)
კ. ბეკი (სლოვაკ)
გოლუბევი (ყაზ)
გარსია ლოპესი (ესპ, 26)
დოლგოპოლოვი (უკრ, 22)
ფ. გონსალესი (ჩილ)
დე ვოესტი (ს. აფრ)
რამირეს იდალგო (ესპ)
დიმიტროვი (ბულ)
შტებე (გერ)
სოედა (იაპ)
ცონგა (საფ, 12)
ალმაგრო (ესპ, 16)
ნიემინენი (ფინ)
ისნერი (აშშ)
მაუ (საფ)
დევარმანი (ინდ)
ბრემელმაირი (გერ)
მონაკო (არგ)
იუჟნი (რუს, 18)
ნალბანდიანი (არგ, 28)
რასტერი (გერ)
სერა (საფ)
ჰაიდერ-მაურერი (ავს)
მანარინო (საფ)
ნილანდი (ირლ)
კუკუშკინი (ყაზ)
ფედერერი (შვეიც, 3)
სიოდერლინგი (შვე, 5)
პეტცშნერი (გერ)
ნიშიკორი (იაპ)
ჰიუიტი (ავსტრა)
ანდრეევი (რუს)
გაბაშვილი (რუს)
ტომიჩი (ავსტრა)
დავიდენკო (რუს, 29)
ფ. მაიერი (გერ, 20)
ევანსი (ბრიტ)
მალისე (ბელ)
ზვერევი (გერ)
გულბისი (ლატ)
ტურსუნოვი (რუს)
ფალა (კოლ)
მელცერი (ავსტრია, 11)
ტროიცკი (სერ, 13)
მ. გონსალესი (არგ)
ლუ (ტაივ)
რობრედო (ესპ)
მელო (ბრა)
დანჩევიჩი (კან)
უორდი (ბრიტ)
ლოდრა (საფ, 19)
ბალდატისი (კვიპ, 32)
ბლეიკი (აშშ)
სეპი (იტა)
მონტანიესი (ესპ)
ანდერსონი (ს. აფრ)
მარჩენკო (უკრ)
შარდი (საფ)
ჯოკოვიჩი (სერ, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011

# გავიცნობთ ახალ ჩემპიონს?

თითქმის ერთი წელია დებ **უილიამსებს** სერიოზულ დონეზე არ უთამაშიათ, მაგრამ მაინც ჩავიდნენ თავიანთ საყვარელ უიმბლდონზე, სადაც მზად არიან კონკურენტებისთვის ბრძოლის გასამართად. ამასთან, წილისყრამ ისინი კვლავაც ბადის სხვადასხვა მხარეს გაანაწილა.

როგორც იცით, 2000 წლიდან უიმბლდონზე დები უილიამსების ეპოქა დგას. მათ ჯამში ცხრა ტიტული აქვთ მოგებული: **ვენუსი** ხუთგზის ჩემპიონია, **სერენა** - ოთხგზის. შარშანდელ უიმბლდონზე სერენა უილიამსის გამარჯვების შემდეგ ამერიკელები ჩრდილში მოექცნენ. ვენუსმა მხოლოდ ამერიკისა და ავსტრალიის ღია პირველობაზე ითამაშა - პირველში ნახევარფინალამდე მივიდა, მელბურნში კი მესამე წრის მატჩი ტრავმის გამო მიატოვა. უმცროს დას თითქმის ერთწლიანი დასვენება გამოუვიდა. და აი, გასულ კვირას, უიმბლდონის სტარტამდე ერთი კვირით ადრე ორივე უილიამსი ისტბურნის ტურნირზე გამოჩნდა: მათ ორი-ორი ძლიერი მოწინააღმდეგე დაამარცხეს, საკუთარი ამბიციები გამოამჟღავნეს და ლონდონში გაემგზავრნენ. ტრადიციულად, უიმბლდონზე წილისყრამ ისინი ბადის სხვადასხვა მხარეს მოახვედრა. ასე რომ, ახლაც შეიძლება განმეორდეს 2002, 2003, 2008 და 2009 წლების ისტორია, როცა დებმა ფინალში გაარკვიეს ურთიერთობა.

2000 წლიდან მოყოლებული მხოლოდ ორჯერ ვერ გახდა უიმბლდონის გამარჯვებული უილიამსების ოჯახის წარმომადგენელი. ხუთი წლის წინ სერენა ტურნირს ტრავმის გამო ტოვებდა, ვენუსმა კი მხოლოდ მესამე წრემდე მიაღწია. მაშინ ფინალი **ამელი მორესმომ** და **ჟუსტინ ანენმა** გაითამაშეს. ორი წლით ადრე კი სერენა უილიამსს გადამწყვეტ მატჩში უცნაური ამბავი შეემთხვა - მან ყველა კომპონენტში დათმო შეხვედრა 17 წლის რუს **მარია შარაპოვასთან** - 1:6, 4:6. მარია ამჟამადაც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. ის მეხუთე ნომრად არის განთესილი და სერენას მხოლოდ ნახევარფინალში თუ შეხვდება.

თუმცა სამი ყოფილი ჩემპიონის გარდა, ქალთა ბადეში მრავლად არიან სხვა ჩოგბურთელები, რომლებსაც არანაკლები ამბიციები გააჩნიათ. თუ გავითვალისწინებთ დები უილიამსების არაოპტიმალურ სპორტულ ფორმას და შარაპოვას არასტაბილურობას, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ „დიდი სლემის“ რიგით მესამე ტურნირს ახალი გამარჯვებული ეყოლება. მეორე ეშელონის წარმომადგენლებს ისიც უადვილებს საქმეს, რომ



ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი **კიმ კლაისტერსი** ლონდონში საერთოდ არ ჩასულა. საინტერესო იქნება როლან გაროსის სენსაციურ ჩემპიონის, ჩინელი **ნა ლის** გამოსვლა. სხვათა შორის აზიელს უიმბლდონზე ორჯერ მიუღწევია მეოთხედფინალამდე (2006, 2010).

რა თქმა უნდა, კლაისტერსის დანაკარგი მნიშვნელოვანია წლევანდელი უიმბლდონისთვის, მაგრამ ეს ერთადერთი დანაკლისი არ არის. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ ითამაშებენ რუსები **ალისა კლეიბანოვა** და **დინარა საფინა**, უნგრელი **აგნეს შავაი**, არგენტინელი **ხისელა დულკო**, შვეიცარიელები **ტიმეა ბაშჩინსკი** და **პატი შნიდერი**, რომელმაც ორი კვირის წინ დაასრულა აქტიური კარიერა.

უნდა აღინიშნოს, რომ წილისყრამ თანაბრად გადაანაწილა ბადეში ფავორიტები. პირველ მეოთხედში მოხვდნენ მარია შარაპოვა (5), **კაროლინ ვოზნიაცკი** (1), **დომინიკა ციბულკოვა** (24), **იულია გორგესი** (16) და **სამანტა სტოსური** (10).

მეორე მეოთხედში არიან: ნა ლი (3), სერენა უილიამსი (7), **მარიონ ბარტოლი** (9), **ანა ივანოვიჩი** (18), **აგნიეშკა რადვანსკა** (13) და **მარია კირილენკო** (26).

მესამე მეოთხედში ხუთი გამორჩეული მოთამაშეა - **ფრანჩესკა სკიავონე** (6), **ანდრეა პეტკოვიჩი** (11), **დანიელა ჰანტუხოვა** (25), **ვიქტორია აზარენკა** (4) და **ანასტასია პავლიუჩენკოვა** (14).

ბოლო მეოთხედში ორ რუს ფავორიტს - **სვეტლანა კუზნეცოვასა** (12) და **ვერა ზვონარევას** (2) მხარს უმშვენებენ **ვენუს უილიამსი** (23), **პეტრა კვიტოვა** (8), **იანინა ვიკმაიერი** (19) და **ელენა იანკოვიჩი** (15).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## უიმბლდონი. ქალების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

- ვოზნიაცკი (დან, 1)
- პარა სანტონხა (ესპ)
- მირზა (ინდ)
- რაზანო (საფ)
- როდიონოვა (ავსტრა)
- ჰლავაჩკოვა (ჩეხ)
- ა. ბონდარენკო (უკრ)
- გაიდოშოვა (ავსტრ, 27)
- ციბულკოვა (სლოვ, 24)
- ლუჩიჩი (ხორ)
- ჰერცოგი (სლოვენ)
- ლარსონი (შვედ)
- იოჰანსონი (საფ)
- უოტსონი (ბრიტ)
- მედინა გარიგესი (ესპ)
- გორგესი (გერ, 16)
- სტოსური (ავსტრა, 10)
- ჩინკი (უნგ)
- იაკიმოვა (ბლრ)
- არვიდსონი (შვედ)
- ბალტაჩა (ბრიტ)
- ბარტელი (გერ)
- ფლიპკენსი (ბელ)
- პენგი (ჩინ, 20)
- საფაროვა (ჩეხ, 31)
- ჰრადეცკა (ჩეხ)
- ზაკოპალოვა (ჩეხ)
- შეგლი-სმიტი (ბრიტ)
- კერბერი (გერ)
- რობსონი (ბრიტ)
- ჩაკვეტაძე (რუს)
- შარაპოვა (რუს, 5)
- ნა ლი (ჩინ, 3)
- კუდრიავცევა (რუს)
- ლისიცკი (გერ)
- სევასტოვა (ლატ)
- ჟენგი (ჩინ)
- ონდრაშკოვა (ჩეხ)
- დოი (იაპ)
- მატეკი (აშშ, 30)
- ივანოვიჩი (სერ, 18)
- ოუდინი (აშშ)
- ვანდევეგე (აშშ)
- დანილიდუ (საბ)
- ბაროისი (გერ)
- ჩეტკოვსკა (ჩეხ)
- გოვორცოვა (ბლრ)
- ა. რადვანსკა (პოლ, 13)
- ბარტოლი (საფ, 9)
- პლიშკოვა (ჩეხ)
- დომინგეს ლინო (ესპ)
- ოპრანდი (იტა)
- როდინა (რუს)
- სხეპერსი (ს. აფრ)
- ბეგუ (რუმ)
- პენეტა (იტა, 21)
- კირილენკო (რუს, 26)
- ბრიანტი (იტა)
- ტანასუგარნი (ტაილ)
- შვედოვა (ყაზ)
- ჰალეპი (რუმ)
- იოვანოვსკი (სერ)
- რეზაი (საფ)
- ს. უილიამსი (აშშ, 7)

**მესამე წრის სავარაუდო წყვილები ასეთი უნდა იყოს**

კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 27)
დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 24)-იულია გორგესი (გერ, 16)
სამანტა სტოსური (ავსტრა, 10)-შუაი პენგი (ჩინ, 20)
ლუსი საფაროვა (ჩეხ, 31)-მარია შარაპოვა (რუს, 5)
ნა ლი (ჩინ, 3)-ბეტანი მატეკი (აშშ, 30)
ანა ივანოვიჩი (სერ, 18)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 13)
მარიონ ბარტოლი (საფ, 9)-ფლავია პენეტა (იტა, 21)
მარია კირილენკო (რუს, 26)-სერენა უილიამსი (აშშ, 7)
ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6)-ეკატერინა მაკაროვა (რუს, 28)
შაარ პეერი (ისრ, 22)-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 11)
ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 14)-კაია კანეპი (იტა, 17)
დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 25)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)
პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)-რობერტა ვინჩი (იტა, 29)
იანინა ვიკმაიერი (ბელ, 19)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 12)
ელენა იანკოვიჩი (სერ, 15)-ვენუს უილიამსი (აშშ, 23)
ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 32)-ვერა ზვონარევა (რუს, 2)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

- სკიავონე (იტა, 6)
- დოკიჩი (ავსტრა)
- ბ. ზახვალოვა (ჩეხ)
- ვოზნიაკი (კან)
- მორიტა (იაპ)
- პაჩეკი (ავსტრია)
- მაკჰეილი (აშშ)
- მაკაროვა (რუს, 28)
- პეერი (ისრ, 22)
- პერვაკი (რუს)
- კირსტეა (რუმ)
- პარმენტიე (საფ)
- ფალკონი (აშშ)
- დუბუა (კან)
- არნი (უნგ)
- პეტკოვიჩი (გერ, 11)
- პავლიუჩენკოვა (რუს, 14)
- ცურენკო (უკრ)
- დოლონცი (რუს)
- პეტროვა (რუს)
- კ. ბონდარენკო (უკრ)
- კორნე (საფ)
- ერანი (იტა)
- კანეპი (იტა, 17)
- ჰანტუხოვა (სლოვა, 25)
- დიატჩენკო (რუს)
- ჩანგი (ტაივ)
- ერაკოვიჩი (ზელ)
- ს. ზახვალოვა (ჩეხ)
- ბენეშოვა (ჩეხ)
- რიბარიკოვა (სლოვაკ)
- აზარენკა (ბლრ, 4)
- კვიტოვა (ჩეხ, 8)
- გლეტჩი (აშშ)
- ბროუდი (ბრიტ)
- კეოტავონგი (ბრიტ)
- მარინო (კან)
- მეირ-ახლაიტნერი (ავს)
- დუშევინა (რუს)
- ვინჩი (იტა, 29)
- ვიკმაიერი (ბელ, 19)
- ლეპჩენკო (აშშ)
- პივოვაროვა (რუს)
- ტატიშვილი (საქ)
- კრეიბასი (აშშ)
- დულგერუ (რუმ)
- პენგი (ჩინ)
- კუზნეცოვა (რუს, 12)
- იანკოვიჩი (სერ, 15)
- მარტინეს სანჩესი (ესპ)
- ნიკულესკუ (რუმ)
- ბამერი (ავსტრია)
- ო'ბრაიენი (ბრიტ)
- დატე (იაპ)
- ამანმურადოვა (უზბ)
- ვ. უილიამსი (აშშ, 23)
- პირონკოვა (ბულ, 32)
- ჯორჯი (იტა)
- კინგი (აშშ)
- მარტიჩი (ხორ)
- ვესნინა (რუს)
- პოუს ტიო (ესპ)
- რისკე (აშშ)
- ზვონარევა (რუს, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



კაირი ირვინგი

# მწვანე ოთახის ბინადარნი

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ მომავალი დრაფტის საუკეთესო მოთამაშეები დაასახელა. გამოცხადდა 14 კალათბურთელის გვარი, რომლებიც დრაფტის დროს ე. წ. „მწვანე ოთახში" ისხდებიან. ამ მოთამაშეებს მაღალ ნომრად არჩევის ყველაზე მეტი შანსი გააჩნიათ:

სიაში კოლეჯის 11 მოთამაშეა და სამი ლეგიონერი. კოლეჯიდან არიან: **კაირი ირვინგი** (დიუკი), **დერიკ უილიამსი** (არიზონა), **ბრენდონ ნაითი** (კენტუკი), **კემბა უოკერი** (იუკონი), **კოი ლეონარდი** (სან დიეგო), **კრის სინგლტონი** (ფლორიდა), **კლეი ტომპსონი** (ვაშინგტონი), **ჯიმერ ფრედეტი** (ბრიგემი), **ალდეკ ბიორკსი** (კოლორადო) და ტყუპები - **მარკუს** და **მარკიფ მორისები** (კანზასი).

ლეგიონერები: **ენეს კანტერი** (თურქეთი), **იონას ვალანჩიუნასი** (ლიტვა) და **იან ვესელი** (ჩეხეთი).

ყველაზე დიდი მოულოდნელობაა ამ სიაში კონგოელი **ბისმარკ ბაიომბოს** არ ყოფნა, რომელსაც, ჭორების მიხედვით, „ტორონტო" საერთო მეხუთე ნომრად აირჩევს.

პლაჟის ფრენბურთი

# ბრაზილია დომინირებს

იტალიის დედაქალაქ რომში დასასრულს მიუახლოვდა პლაჟის ფრენბურთში მსოფლიოს რიგით მერვე ჩემპიონატი. ოქროს მედლებს კარგად ნაცნობი ბრაზილიური და ამერიკული წყვილები გაითამაშებენ.

ფრენბურთის ესნაირსახეობა სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ წლევანდელ პირველობაზე 31 ქვეყნის 96-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, საპრიზო ფონდმა კი მილიონი დოლარი შეადგინა. გამარჯვებული წყვილი 60 ათასს მიიღებს, ვერცხლის მედლის მფლობელი - 45 ათასს, ბრინჯაოსი - 35 ათასს.

ტურნირი იტალიის დედაქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილას გაიმართა - „ფორო იტალიკოს" პარკში, რომელიც 1960 წლის ოლიმპიადისთვის აშენებული ოლიმპიური სტადიონის მეზობლად მდებარეობს. პარკში რეგულარულად ტარდება სპორტის სხვადასხვა სახეობაში დიდი საერთაშორისო ტურნირები, მათ შორის ჩოგბურთში იტალიის ღია პირველობა. ამჯერად ჩოგბურთელებისთვის განკუთვნილ ხუთ კორტზე ქვიშა დაყარეს და ასპარეზი ფრენბურთელებს დაუთმეს.

ბრმა წილისყრის გამო კაცებს შორის მერვედფინალურ ეტაპზე „ნაადრევი ფინალი" გაიმართა - ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პირველ ნომრად განთესილი დუეტი და წინა ჩემპიონატის გამარჯვებული. მოედნის ერთ მხარეს ამერიკელები - **ტოდ როჯერსი** და **ფილ დალჰაუსერი** იდგნენ, მეორე მხარეს გერმანელი მოქმედი ჩემპიონები - **ჯულიუს ბრინკი** და **იონას რეკერმანი**.

ფავორიტად ამერიკელები მიიჩნეოდნენ და მათ მოიგეს კიდეც პირველი სეტი - 21:17, მაგრამ მომდევნო ორ პარტიაში ორ-ორ ქულიანი უპირატესობით (21:19) **ბრინკმა** და **რეკერმანმა** იმარჯვეს.

საბოლოოდ მათ ნახევარფინალამდე მიაღწიეს, მაგრამ იქ ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით - 15:21 წააგეს ბრაზილიელებთან - **ალისონთან** და **ემანუელთან**, რომლებსაც „დიდი სლემის" ბოლო ორი ტურნირი აქვთ მოგებული პრაღასა და პეკინში.

ასევე წილისყრას უნდა დავაბრალოთ ის, რომ ლატვიელთა წყვილს (**მარტინს პლავინში/იანის სმედინში**) ნახევარფინალამდე იოლი გზა ჰქონდა, მაგრამ იქ მესამე ნომრად განთესილ ბრაზილიელებს - **მარსიო არაუჟოსა** და **რიკარდოს** გადაეყარა (თავად ბალტიისპირელთა განთესვის ნომერი იყო - 15). სხვათა შორის, ბრაზილიელ ვირტუოზებს იოლად არ გაუმარჯვიათ, განსაკუთრებით პირველ სეტში - 22:20, 21:16. ასე რომ, კაცებში ფინალი ბრაზილიური იქნება.

ქალებს შორისაც იყო ერთი მოულოდნელობა: საუკეთესო ოთხეულში მოხვდა ჩეხური დუეტი **ჰანა კლაპალოვასა** და **ლენკა ჰაჟეჩკოვას** შორის. ამ სპორტსმენებს სამშობლოშიც კი არ მიიჩნევენ უძლიერესებად. მათ ოქროსკენ გზა გადაუღობეს დღეისთვის უძლიერესმა ბრაზილიელებმა - **ლარისამ** და **ჟულიანმა**.

მეორე ნახევარფინალში პეკინის ოქროსმედალოსნებმა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა, ამერიკელებმა **კერი უოლშმა** და **მისტი მეი-ტრენორმა** ურთიერთობა გაარკვიეს ბოლო ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორებთან **ჩენ სიუსთან** და **სი ჟანთან**. მართალია, ჩინელებმა ბოლო დროს ძალიან მოუმატეს, მაგრამ თუნდაც არაოპტიმალურ ფორმაში მყოფ სუპერამერიკელებს მაინც ვერ გაუმკლავდნენ.

# ხვალ გადამწყვეტი შეხვედრაა

ლოკაუტთან დაკავშირებული მორიგი, ხუთსაათიანი შეხვედრის შემდეგ NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გააფრთხილა მოთამაშეები და კლუბების მფლობელები - 30 ივნისამდე თითქმის აღარაფერი დარჩა და შემდეგი შეხვედრა, რომელიც სამშაბათს გაიმართება, შეიძლება გადამწყვეტი გახდეს.

*„შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. დრო თითქმის აღარ დარჩა, მხარეები კი, ჩემი აზრით, შორს არიან შეთანხმებასთან. მაგრამ მოთამაშეები და მფლობელები აპირებენ ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ 30 ივნისამდე მიაღწიონ კონსენსუსს. ამ შეხვედრის შემდეგ გახდება ცნობილი - იქნება თუ არა ლოკაუტი"*, - განაცხადა სტერნმა.

ლიგის ხელმძღვანელობას სურს ამ საკითხის მოგვარებას მაქსიმალურად დიდი დრო დაუთმოს, ამიტომაც გააუქმა ლას ვეგასში დაგეგმილი საზაფხულო ლიგა. NBA-ის კომისრის თანაშემწე **ადამ სილვერმა** განაცხადა, რომ ლიგის გაუქმება არ ნიშნავს იმას, რომ ლოკაუტი გარდაუვალია.

*„დღევანდელ შეხვედრაზე გადავწყვიტეთ გავაუქმოთ ზაფხულის ლიგა. ვალდებულნი ვიყავით ამის შესახებ სწორედ ახლა გამოგვეცხადებინა, რადგან იწყებოდა სასტუმროებისა და საკალათბურთო მოედნების დაჯავშნის პროცესი"*, - ამბობს სილვერი.

აღსანიშნავია, რომ ზაფხულის ლიგის პოპულარობა ბოლო წლებში შესამჩნევად გაიზარდა. მის მატჩებს NBA-ის სპეციალიზირებული ტელეარხი გადასცემდა და ამით გულშემატკივრებს ლიგის ახალბედათა ოსტატობის შეფასება შეეძლოთ.





# ჯაბარი, ემინემი და სხვა ამბები

„დალას მავერიქსის" მცველმა **ჯეისონ ტერიმ** გასაყიდად გამოიტანა საკუთარი ავტოგრაფით დამშვენებული სპორტული ფეხსაცმელები, რომლითაც ის ფინალურ სერიაში თამაშობდა. როგორც NBC sports წერს, მიღებული თანხა კალათბურთელის ფონდში ჩაირიცხება, რომელიც ხელს უწყობს საკალათბურთო ბანაკების ორგანიზებას.

*„ცოტათი მიძნელდება ამ ფეხსაცმელებთან განშორება, მაგრამ „რიბოკმა" მთხოვა დახმარება და ამიტომაც გადავდგი ეს ნაბიჯი"*, - ამბობს ტერი.

ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო რეზერვისტმა მოკრძალებით ისიც აღნიშნა, რომ წინააღმდეგი არ იქნება, თუ კლუბი სამუდამოდ დაკიდებს საშინაო არენის თალზე მის მაისურს.

■ ■ ■

ამასობაში, დალასში გრძელდება ჩემპიონობის აღსანიშნავი ზეიმი. „მავერიქსი" მიღებაზე იყო აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამასთან**. ჩატარდა ტრადიციული საჩემპიონო აღლუმი, რომელსაც 250 ათასი კაცი დაესწრო, აბონემენტების მფლობელი 20 ათასი მაყურებელი კი „დალასის" არენაზე შეუშვეს, სადაც ზეიმი გაგრძელდა. ამ ბრწყინვალების დასასრული იყო **დირკ ნოვიცკის** მიერ შესრულებული We Are The Champions, ერთი ჩხუბი და სამი დაპატიმრებული.

■ ■ ■

ცოტა ხნის წინ ვწერდით იმის შესახებ, რომ „ბოსტონ სელტიქსის" ვეტერანმა მცველმა **რეი ალენმა** გამოიყენა თავის კონტრაქტში არსებული პუნქტი და ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი „კელტებთან".

ლიგის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ კალათბურთელს კარგად ესმის, რომ დროა გზა ახალგაზრდებს დაუთმოს, ამიტომაც მზად არის მომავალ სეზონში სათადარიგო მოთამაშის როლს შეეგუოს.

*„ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს - სასტარტო შემადგენლობაში ვიქნები თუ სათადარიგოთა სკამიდან შევალ თამაშში. არც პირად სტატისტიკას ვაქცევ ყურადღებას. იმედი მაქვს, ჩემი გამოცდილება სრულყოფაში დაეხმარება ისეთ კალათბურთელებს, როგორიც არის, მაგალითად, ჯეფ გრინი. ამიტომაც დავრჩი კიდევ ერთი სეზონით"*, - განაცხადა ზუსტი სამქულიანების რაოდენობით NBA-ის რეკორდსმენმა.

■ ■ ■

უახლოესი ორი კვირის განმავლობაში აქტუალური იქნება ქალთა კალათბურთი, რადგან პოლონეთში სტარტი აიღო კონტინენტის პირველობამ. მანამდე კი Yahoo! Sports-ის მიმომხილველმა **ჯო დორიშმა** ქალთა NBA-ში სლემ-დანკების დათვლა სცადა. თუ გამოვრიცხავთ ვარჯიშებს და ჩავთვლით „ყველა ვარსკვლავის მატჩებს", მივიღებთ ექვს ასეთ შემთხვევას. თანაც თავი გამოიჩინა მხოლოდ ოთხმა კალათბურთელმა - **მიშელ სნოუმ**, **კენდის პარკერმა** (მათ WNBA-ის ჩემპიონატის ზედიზედ ორ მატჩში ჩატენეს ბურთი), **სილვია ფაულზმა** და, რა თქმა უნდა, დიადმა **ლიზა ლესლიმ**.

■ ■ ■

თუ ESPN-ს დავუჯერებთ, „იუტა" უახლოეს პერიოდში **დევინ ჰარისის** ან **პოლ მილსეპის** გაცვლას აპირებს (ან ორივეს ერთად). არადა, საქმე ეხება „ჯაზმენთა" საუკეთესო მოთამაშეებს. ჯერჯერობით უცნობია, საით აპირებს ამ მოთამაშეების გაგზავნას „იუტა". შარშან ამ გუნდის ხელმძღვანელებმა ერთხელ უკვე „გამოიჩინეს" თავი, როცა აშკარად წამგებიანი გარიგებით **დერონ უილიამსი** „ნიუ ჯერსიში" გაუშვეს. ასე რომ, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

■ ■ ■

–გასულ უქმეებზე თურქეთში გაირკვა ჩემპიონი - სეზონის ტრიუმფატორი გახდა სტამბოლის „ფენერბაჰჩე", რომელმაც ფინალური სერიის მეექვსე მატჩში სტუმრად 91:88 დაამარცხა თანაქალაქელი „გალათასარაი". თურქეთის ჩემპიონი გახდა ორი ლიტველი - **დარიუშ ლავრინოვიჩი** და **შარუნას იასიკიავიჩუსი**.

■ ■ ■

მოკლე ამბავი Sports Illustrated-დან: ვინ არის პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი? რა თქმა უნდა, **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც გასულ სეზონში 44.5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მშვენიერი კომპენსაციაა წაგებული ფინალისთვის.

■ ■ ■

თუ HoopsHype-ზე გამოქვეყნებულ ჭორებს დავუჯერებთ, „დეტროიტი" **ბენ გორდონის** ან **ჩარლი ვილანუევას** გაცვლას აპირებს, „ჩიკაგო" პირიქით, არ გეგმავს **კარლოს ბუზერის** გაშვებას, „ფილადელფია", როგორც იქნა მივიდა იმ აზრამდე, რომ შესაძლებელია **ანდრე იგუოდალას** ტრეიდი, „მინესოტა" კი **პაუ გასოლის** ხელში ჩაგდებას აპირებს. როგორც ჩანს, „მგლების" ხელმძღვანელობას **რიკი რუბიოსა** და გასოლის ესპანური დუეტის შექმნა აქვს განზრახული.

■ ■ ■

საინტერესე ფოტო დადო „ტვიტერის" სოციალურ ქსელში „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლეგენდამ **ქარიმ აბდულ-ჯაბარმა**. ფოტოს მინაწერი აქვს: *„საკალათბურთო მოედნის მეფე შეხვდა ჰიპ-ჰოპის მეფეს"*.

საინტერესოა ფოტოზე **ემინემის** გამომეტყველება - ან ვერ იცნო „ბებერი" და შეშინდა, ან პირიქით, სიხარულისგან დაიბნა...





ჯაბარი და ემინემი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**